გამოდის ოთხშაბათობით

№20 (284)

# ქართული სიტყვა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ფასი 1 ლარი

20 – 26 მაისი 2015 წ.

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

## პოლიციამ გარდაცვლილი ჟურნალისტის, თეა ასათიანის ძმას საქმე შეუთითხნა?!

მე-13 გვ.

## „ნაციონალებისგან“ გამწარებული თელაველი ბიზნესმენი შურისძიებით იმუქრება!

მე-4 გვ.

## სანდრო მეგუთნიშვილი: „იმ სახელმწიფოს დედაც ვატირე, სადაც წესრიგის დაცვა ყაჩაღს აქვს მინდობილი!“

## რა კომპრომატები ჰქონდა ჟვანიას სააკაშვილზე



მე-2-3 გვ.

„პირველად, როცა ზურამ მიშასთან შეხვედრა მთხოვა, ვუთხარი, ბიძამისი რუსეთის სადაზვერვო სამსახურის პოლკოვნიკია, მიშა კი, მისი „ნასეტკაა“ და რატომ „მტენი“-მეთქი... სააკაშვილი სასაუბროდ დავიბარეთ და როცა ზურამ უთხრა, ხვალიდან „ნაციონალისტი“ უნდა გახდეო, მიშა სკამიდან გადავარდა. კითხვა შემოგვიბრუნა, რამე ხომ არ დავაშავეო? ალბათ, არც კი იცოდა, რა ქერის ორმოში ვარდებოდა.“

## საიდუმლო მეთოდები, რომლებითაც სპეცსამსახურები ადამიანებს აზომბირებენ

## უშიშროების პოლკოვნიკი გვაფრთხილებს

## ვის მოსაკლავად ჩამოიყვანეს სომხეთიდან „ქილერი“




მე-8-9-10-11 გვ.

## „პრემიერმა მითხრა, მალე თამარ სანიკიძე მინისტრი აღარ იქნებაო...“

მე-12 გვ.

## ცნობილი ადამიანები განათლების მინისტრს ბიუჯეტის განიავებასა და ტყუილში ამხელენ!

## ინგა გრიგოლიას „რეაქციის“ კულუარები – როგორ იგეგმება გადაცემა




მე-14-15 გვ.

„ინგასთან მუშაობა მარტივი არაა!“ – სოფო ხუციშვილი წარმატების საიდუმლოს შიფრავს

## ანრი ჯოხაძე: „ქართული პოლიტიკა მოსაწყენი გახდა!“



„ჩემგან „ძველი ბიჭი“ არ გამოვიდოდა!“

მე-16 გვ.

№ 20 (284)
20 – 26 მაისი 2015
ქართული სიტყვა
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

სკანდალი

# ვის მოსაკლავად ჩამოიყვანეს სომხეთიდან „ქილერი“



## რა კომპრომატები ჰქონდა ჟვანიას სააკაშვილზე – შოკისმომგვრელი ინტერვიუ უზენაესი საბჭოს ყოფილ დეპუტატ მირიან მირიანაშვილთან

**„შემომითვალეს, პარტია სააკაშვილისთვის გადამებარებინა, რაზეც არ ვთანხმდებოდი. შემდეგ, მთაში დამიგულეს, ფიქტიური მე-2 ყრილობა ჩაატარეს და გადამირჩიეს. ყველა ამ ფაქტის ამსახველი დოკუმენტი ხარვეზებითაა სავსე. როცა თბილისში დავბრუნდი, იუსტიციის სამინისტროში მივედი, თუმცა არც მან და შემდგომში, არც სასამართლომ ჩემი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. იმ ადმინისტრაციულ აქტს ვასაჩივრებდი, რომლის საფუძველზეც, 2002 წელს „ნაციონალური მოძრაობა“ ახლიდან დარეგისტრირდა. სასამართლოში სარჩელი მქონდა შეტანილი, პარტიის საქმიანობა კი, მაინც უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა. ესეც, თავის მხრივ, კანონდარღვევაა. მოსამართლეს კანონის მიხედვით რომ ემოქმედა, სააკაშვილი არჩევნებამდე ახალი პარტიის დარეგისტრირებას ველარ მოასწრებდა. ამის თავიდან ასაცილებლად, მიშა ჯორბენაძესთან გაიქცა, არიქა, მიშველეო... სხვათა შორის, ჯორბენაძეს მიშაზე კომპრომატები ჰქონდა და კარგა გვარიანად ამიტომაც სცემეს“.**

**მირიან მირიანაშვილმა, რომელიც საქართველოს უზენაესი საბჭოს ყოფილი დეპუტატია, თავის დროზე, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ შექმნა, თუმცა დღევანდელმა „ნაციონალებმა“ პარტია, უბრალოდ, წაართვეს. მოკლედ, „ქართული სიტყვა“ ცნობილი პარტიის დამფუძნებელს ესაუბრა:**

– 1999 წლის შემოდგომაზე, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ჩამოვაყალიბე და 2002 წლამდე პარტიის თავმჯდომარეც ვიყავი, თუმცა პარტიის საიტზე წერია, რომ 2002 წელს ჩამოყალიბდა. საბედნიეროდ, ამავე საიტზე, აღიარებული ვარ, როგორც პარტიის პირველი თავმჯდომარე. შემდეგ, დარეგისტრირდა პარტია „ნაციონალური მოძრაობა საქართველოს გადასარჩენად“, რომელიც „ორკაციანი“ პარტია იყო და რომელიც იმისთვის შეიქმნა, რომ ჩემი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ მოშორების პლაცდარმი შეექმნათ. საბოლოოდ, „ნაციონალური მოძრაობა საქართველოს გადასარჩენად“ ფიქტიურად შემოუერთდა ძირითად პარტიას. მათი შტაბი მერაბიშვილის ერთოთახიან ბინაში იყო. ზემოხსენებული ორი პარტიის შეერთების იმიტაცია ყრილობაზე შედგა, რომელზეც არ ვესწრებოდი. ამავე ყრილობაზე თავმჯდომარეობიდან გადამირჩიეს და ამ თანამდებობაზე მიხეილ სააკაშვილი დანიშნეს. ვაკუუმში ერთი ნორმალური პოლიტიკური ორგანიზაციაც არ ყალიბდება. აუცილებელია პოლიტიკური ამოცანები და მათი გადაჭრის გზების ძიება. ჩემი პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ იმისთვის ჩამოყალიბდა, რომ მაშინდელი ხელისუფლება რევოლუციის გზით ჩამოგვეშორებინა – ხელისუფლების დასამარცხებლად, ქუჩაში ვილაც უნდა გამოსულიყო. მაშინ ერთადერთი აქტიური სოციალური ფენა ნაციონალურ-ზვიადისტური იყო. საზოგადოების ამ ნაწილს შიმშილობის, მიტინგების და სხვადასხვა რადიკალური ქმედების დიდი გამოცდილება ჰქონდა. სწორედ ამ მასის მაორგანიზებელი უნდა ყოფილიყო „ნაციონალური მოძრაობა“. პარტიის ჩამოყალიბების არსებითი დეტალი ის გამოცდილებაა, რომელიც 10-წლიანი პერიოდის განმავლობაში დამიგროვდა...

**– დღევანდელი „ნაციონალებიდან“ თქვენი თავმჯდომარეობისას პარტიაში რომელიმე იყო?**

– არა. პარტიის იმდროინდელი წევრები არაცნობილი სახეები იყვნენ, ჩემი გარემოცვიდან. მაშინ ხშირი იყო ფაქტები, როცა სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაცია პოლიტიკოსებს საკანონმდებლო ორგანოში შესვლის პირობით იბირებდა. სწორედ ასეთი ფაქტის თავიდან ასაცილებლად, პარტია პოლიტიკაში ჩაუხედავი ადამიანებისგან დავაკომპლექტე.

**– ბატონო მირიან, მოდით, დეტალურად აღწერეთ, თუ როგორ გადაგირჩიეს თავმჯდომარეობიდან...**

– შემომითვალეს, პარტია სააკაშვილისთვის გადამებარებინა, რაზეც არ ვთანხმდებოდი. შემდეგ, მთაში დამიგულეს, ფიქტიური მე-2 ყრილობა ჩაატარეს და გადამირჩიეს. ყველა ამ ფაქტის ამსახველი დოკუმენტი ხარვეზებითაა სავსე. როცა თბილისში დავბრუნდი, იუსტიციის სამინისტროში მივედი, თუმცა არც მან და შემდგომში, არც სასამართლომ ჩემი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. იმ ადმინისტრაციულ აქტს ვასაჩივრებდი, რომლის საფუძველზეც, 2002 წელს „ნაციონალური მოძრაობა“ ახლიდან დარეგისტრირდა. სასამართლოში სარჩელი მქონდა შეტანილი, პარტიის საქმიანობა კი, მაინც უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა. ესეც, თავის მხრივ, კანონდარღვევაა. მოსამართლეს კანონის მიხედვით რომ ემოქმედა, სააკაშვილი არჩევნებამდე ახალი პარტიის დარეგისტრირებას ველარ მოასწრებდა. ამის თავიდან ასაცილებლად, მიშა ჯორბენაძესთან გაიქცა, არიქა, მიშველეო...

სხვათა შორის, ჯორბენაძეს მიშაზე კომპრომატები ჰქონდა და კარგა გვარიანად ამიტომაც სცემეს.

**– პარტიის ყრილობის ჩატარება თქვენს გარეშე რამდენად კანონიერი იყო?**

– ეს ყრილობა, რა თქმა უნდა, კანონგარეშე იყო, რასაც ჩემი მხრიდან მყისიერი რეაქცია მოჰყვა – სასამართლოში ვიჩივლე, თუმცა ჯერ ამ პროცესების პრელუდიურ ნაწილზე შევჩერდები:

პარტიის შექმნიდან, გარკვეული დროის შემდეგ, ზურაბ ჟვანიამ ჩემთან თანამშრომლობა მოინდომა. მიშა სააკაშვილი ჩემთან სწორედ ზურაბ ჟვანიამ მოიყვანა...

**– სააკაშვილს მანამდე არ იცნობდით?**

– ვიცნობდი – ჩვენი გზები რამდენჯერმე გადაიკვეთა, თუმცა 1991 წლიდან ცუდი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. უზენაეს საბჭოში ვიყავი, როცა მიშას ბიძამისი „შპიონად“ გვიგზავნიდა – კურიერი იყო და ოპოზიციურ ფრაქციებში გაურკვეველი სახის დოკუმენტებს არიგებდა.

ერთ დღესაც, ჩემი კაბინეტიდან გამოვედი და სააკაშვილი შემეფეთა; ყალბი საშვი აღმოაჩნდა. ვცადე, დაცვასთან წამეყვანა... საშვი დავუხიეთ, პანღური ვუთავაზეთ და გავაგდეთ. სხვათა შორის, ეს შემდეგი შეხვედრებისას გაიხსენა.

**– ზურაბ ჟვანიას თქვენთან თანამშრომლობა რატომ სურდა?**

– უნდოდა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მაგვარ ძალებს რევოლუციური მუხტი აეგორებინათ. მეც მსურდა, რევოლუციაში მონაწილეობა მიმეღო. მთავარი ისაა, რომ ჟვანია არ მენდობოდა, ამიტომ ჰყავდა ორი კანდიდატურა, რომელთაგან ერთ-ერთი „ნაციონალურ მოძრაობას“ შემოუერთდებოდა და ჩემი მოკავშირე გახდებოდა. მიშა უნდა გამხდარიყო „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, მე კი, – მოადგილე (რა თქმა უნდა, ამ წინადადებას არ ვთანხმდებოდი.)

ეს პარტია „ტარანად“ უნდა გამოეყენებინათ – რევოლუციას უნდა შეწირვოდნენ ნაციონალისტ-ზვიადისტები და საბოლოოდ, ხელისუფლება ჟვანიას უნდა შერჩენოდა.

პირველად, როცა ზურამ მიშასთან შეხვედრა მთხოვა, ვუთხარი, ბიძამისი რუსეთის სადაზვერვო სამსახურის პოლკოვნიკია, მიშა კი, მისი „ნასეტკაა“ და რატომ „მტენი“-მეთქი. ისე, რომ იცოდეთ, სააკაშვილი,

გაგრძელება მე-3 გვ.

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

20 - 26 მაისი 2015 | № 20 (284)



„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართული სიტყვავ, ქართული სიტყვავ!“

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

## სკანდალი



„ზურას ქუჩაში სირბილი არ უნდოდა და მიშა ამისთვის უნდა გამოეყენებინა. ეს უკანასკნელიც, კომპრომატების შიშით, ყველაფერს გააკეთებდა. მე კი, მიშასთან ერთად, ქუჩის აქციების ორგანიზატორი უნდა ვყოფილიყავი. ზურას სააკაშვილი შტერად მიაჩნდა და შემდგომ პერიოდში, მიშა პარტიის პირველ პირად ამიტომაც აირჩიეს...“

მე-2 გვერდიდან

როცა საბჭოთა სასაზღვრო ჯარში იყო, ბორისპოლში აგენტად მუშაობდა... ზურამ გამომიცხადა, რომ მიშაზე რაღაც კომპრომატები ჰქონდა. საბოლოოდ, სააკაშვილი სასაუბროდ დავიბარეთ და როცა ზურამ უთხრა, ხვალიდან „ნაციონალისტი“ უნდა გახდეო, მიშა სკამიდან გადავარდა. კითხვა შემოგვიბრუნა, რამე ხომ არ დავაშავეო? ალბათ, არც კი იცოდა, რა ქერის ორმოში ვარდებოდა.

— **ჟვანიას სცენარში სააკაშვილს რა როლი უნდა ეთამაშა?**

— ზურას ქუჩაში სირბილი არ უნდოდა და მიშა ამისთვის უნდა გამოეყენებინა. ეს უკანასკნელიც, კომპრომატების შიშით, ყველაფერს გააკეთებდა. მე კი, მიშასთან ერთად, ქუჩის აქციების ორგანიზატორი უნდა ვყოფილიყავი. ზურას სააკაშვილი შტერად მიაჩნდა და შემდგომ პერიოდში, მიშა პარტიის პირველ პირად ამიტომაც აირჩიეს...

— **ჟვანიას მიშაზე რა სახის კომპრომატები ჰქონდა?**

— ეს იმდროინდელი კომპრომატები იყო, როცა მიშა იუსტიციის მინისტრი გახლდათ.

— **ბატონო მირიან, მაინც, რა კომპრომატებს გულისხმობთ...**

— მიშას იუსტიციის მინისტრობისდროინდელს...

— **ისე, თქვენი საუბრიდან შეიძლება, ვინმემ იფიქროს, რომ ჟვანიას სიკვდილი სააკაშვილს სწორედ ამ კომპრომატების გამო აწყობდა...**

— ვერაფერს ვივარაუდებ... ისიც შეიძლება ითქვას, მიშას ადგილას ზურა რომ ყოფილიყო, საქმე კარგად მაინც ვერ იქნებოდა. ჩემი აზრით, ჟვანია პოზიტიური პიროვნება სულაც არ იყო და უფრო უარყოფითი ძალებისგან იყო მართული.

— **ვის გულისხმობთ?**

— ზურა ბადრი პატარკაციშვილის კაცი იყო. „მოქალაქეთა კავშირიც“ სწორედ ამ უკანასკნელმა ჩამოაყალიბა. ბადრის და ბერეზოვსკის სურდათ, საქართველო მათი „ჯიბის რესპუბლიკა“ ყოფილიყო, ფულის გასათეთრებელი საშუალება. პატარკაციშვილს ჟვანია ჟურნალისტმა განაპოლსკიმ გააცნო...

— **„ნაციონალების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ იდევნებოდით?**

— კი, ორი წელი ემიგრაციაში ყოფნა მომიწია. აქ ჩამოსვლის საშუალება 2007 წლის მოვლენების შემდეგ მომეცა, როცა მიშას ჩემთვის აღარ ეცალა.

— **„ოცნების“ მოსვლის შემდეგ, სასამართლოში სარჩელი ისევ შეიტანეთ?**

— როცა საქართველოში არ ვიყავი, „ნაციონალებმა“ კიდევ ბევრი დოკუმენტის გაყალბება მოახერხეს — სასამართლოდან სარჩელი გამოიტანეს და დოკუმენტებზე ხელს, ჩემს მაგივრად, მიშა სააკაშვილი აწერდა. ამის დამტკიცებას, სასამართლოს გზით, 2013 წელს ვაპირებდი, მსურდა, ექსპერტიზის ჩატარება, მაგრამ სასამართლომ ეს მოთხოვნა არ გაიზიარა. მაშინ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კუბლაშვილი იყო.

ახლა ექსპერტიზის მოთხოვნას განვაახლებ, რადგან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე გვენეტაძეა და ამ საკითხის მიმართ პირადი ინტერესი არ აქვს. თუ ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნას კიდევ არ დააკმაყოფილებენ, პროკურატურის წინ აქციებს გავმართავ.

ისე, „ნაციონალები“ დღესაც მემუქრებიან.

— **მუქარებს ვისი პირით გითვლიან?**

— ამას მხოლოდ გამოძიებას გავანდობ. „ნაციონალურ მოძრაობაში“ დღესაც მყავს ჩემი ხალხი, ეს ეხება საშუალო და ქვედა რგოლებს და სწორედ მათთან მაქვს კომუნიკაცია.

— **ბატონო მირიან, თქვენს სარჩელს წარმატების შანსი აქვს თუ თქვენი გააქტიურება მხოლოდ პოლიტიკურ რეაბილიტაციას ემსახურება?**

— ეს საქმე უცხოეთში საკმაოდ გავლენიან იურისტებს გავაცანი და მათი დახმარების იმედიც მაქვს. ამიტომ დიდი შანსია, სარჩელი დაკმაყოფილდეს. როგორც მათ შემირჩიეს მომენტი პარტიის წასართმევად, მეც ასე მოვიქცევი, რათა არჩევნებში მონაწილეობა ვეღარ მიიღონ!

— **„ნაცმოძრაობის“ ანგარიშისა და ქონების დაყადაღებასაც ითხოვთ...**

— ეს ქონება ჩემს ინტელექტუალურ საკუთრებაზე დააგროვეს. ამიტომ სამართლებრივად, ამ ქონების დაყადაღება შესაძლებელია.

— **თუ სასამართლო თქვენს სარჩელს დააკმაყოფილებს და, როგორც ამბობთ, თვითმარქვია „ნაციონალებს“ ქონებასა და სახელს ჩამოართმევს, რა პოლიტიკურ ნაბიჯს გადადგამთ?**

— პარტიას გავაუქმებ და სახელს შევუცვლი. დაახლოებით, ასამდე თანამზრახველი მყავს, საჭირო დროს ყრილობასაც ჩავატარებთ და პარტიასაც შევქმნით.

— **რომელი „პრო“ ხართ — რუსული თუ დასავლური?**

— ჩემი საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია, რა თქმა უნდა, დასავლურია. სხვათა შორის, „ნაციონალები“ დასავლური ღირებულებების მიმდევარნი სულაც არ არიან. მათ ხელს სომხური დაზვერვა უმართავდა. ნუგზარ საჯაიას მკვლელობისას, „ქილერები“ სომხეთიდან ჩამოიყვანეს.

— **თქვენთვის რუსეთთან დიალოგი მისაღებია?**

— როცა ვინმესთან დიალოგი გინდა, რაღაცას უნდა წარმოადგენდე. ამ სახით საქართველო მოკავშირედ არავის უნდა. ჩვენ ვარსებობთ აშშ-ის მიერ შექმნილი მსოფლიო წესრიგის გამოისობით, თუმცა ამ ხელსაყრელ შანსს მაინც ვერ ვიყენებთ...

— **აშშ-სთან დამეგობრება სააკაშვილის დამსახურება არაა?**

— სააკაშვილი ორმაგი აგენტია და ორმაგ თამაშს თამაშობს. 2008-ში, რუსეთთან ომი გააჩაღა. რუსებს, ასევე, სტრატეგიული ობიექტებიც მიჰყიდა.

— **ბოლოს, თქვენი მოთხოვნები შეაჯამეთ...**

— ექსპერტიზის ჩატარება დოკუმენტებზე არსებული ხელნაწერების შესახებ, პარტიის ქონების დაყადაღება, სახელის ჩამორთმევა და მისი საბოლოოდ გაუქმება.

**ესაუბრა დავით გალაშვილი**

„პირველად, როცა ზურამ მიშასთან შეხვედრა მთხოვა, ვუთხარი, ბიძამისი რუსეთის სადაზვერვო სამსახურის პოლკოვნიკია, მიშა კი, მისი „ნასეტკაა“ და რატომ „მტენი“-მეთქი. ისე, რომ იცოდეთ, სააკაშვილი, როცა საბჭოთა სასაზღვრო ჯარში იყო, ბორისპოლში აგენტად მუშაობდა... ზურამ გამომიცხადა, რომ მიშაზე რაღაც კომპრომატები ჰქონდა. საბოლოოდ, სააკაშვილი სასაუბროდ დავიბარეთ და როცა ზურამ უთხრა, ხვალიდან „ნაციონალისტი“ უნდა გახდეო, მიშა სკამიდან გადავარდა. კითხვა შემოგვიბრუნა, რამე ხომ არ დავაშავეო? ალბათ, არც კი იცოდა, რა ქერის ორმოში ვარდებოდა“.

## სტოპკადრი



## გიორგი მარგველაშვილი: „რუსეთის მიმართ სანქციები გასაძლიერებელია!

**ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა თავის ავსტრიელ კოლეგასთან, ჰაინც ფიშერთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე, ავსტრიული მედიის მიერ დასმული იმ კითხვის პასუხად განაცხადა, შენარჩუნებული უნდა იყოს თუ არა რუსეთის მიმართ სანქციები არსებული ფორმით, რაც საქართველოს ეკონომიკასაც აზარალებს.**

**„რეგიონში არასტაბილური ვითარება, რაც აგრეთვე გამოიხატება რუსეთისა და უკრაინის ეკონომიკურ პრობლემებშიც, გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკაზე და მთლიანად სტაბილურობაზე რეგიონში. თუმცა, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ სანქციებზე და იმ ნეგატიურ ეფექტზე, რომელიც ამ სანქციებმა თუნდაც საქართველოსთვის გამოიწვია, უნდა გავიხსენოთ ის, რის გამო იქნა ეს სანქციები შემოღებული. სანქციების შემოღების ერთადერთი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ შეწყდეს უკრაინის ტერიტორიაზე ომი. სანქციების მიზანი მდგომარეობს ყირიმის ოკუპაციის მიუღებლობაში და საერთოდ, რუსეთის მიერ თავის მეზობლებთან აგრესიული ქმედებების, სამხედრო ოპერაციების მიუღებლობაში. შესაბამისად, სანქციები არა მარტო შესანარჩუნებელი, არამედ პოლიტიკური მესიჯი რუსეთის მიმართ, ასეთი ტიპის პოლიტიკის მიუღებლობის ნაწილში, გასაძლიერებელიცაა. ჩვენ როდესაც ველაპარაკებით ჩვენს ევროპელ და დასავლელ პარტნიორებს, ვამბობთ შემდეგს: რუსეთის მიერ მისი მეზობლების აღქმა, როგორც ქვეყნებისა, სადაც რუსეთს გააჩნია პრივილეგირებული ინტერესები და ამ ინტერესების გატარება ხდება სამხედრო ფორმით, ომების ფორმით, არის არა მარტო მიუღებელი ქვეყნებისთვის, როგორიცაა საქართველო, უკრაინა ან სხვები, არამედ ეს არყევს სტაბილურობას მთელს რეგიონსა და ევროპაში. ჩვენ ველით უფრო მკვეთრ კონსოლიდაციას რუსეთის ასეთი პოლიტიკის მიუღებლობის ირგვლივ. შეუძლებელია ვილაპარაკოთ ევროპის სტაბილურობაზე და მის მომავალზე, თუ არ ვისაუბრებთ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების, განსაკუთრებით საქართველოს და უკრაინის პრობლემატიკაზე. ეს პრობლემატიკა ჯამში უნდა გადაწყდეს იმ პოზიტიური ემოციის, პოზიტიური თანამშრომლობის სულისკვეთებით, რაც საერთოდ გააჩნდა აღმოსავლეთ პარტნიორობას, რომელიც შეიქმნა არა ვინმეს წინააღმდეგ, არამედ რეგიონის ქვეყნებისა და მათ შორის, რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე, იმიტომ, რომ ეკონომიკურად ძლიერი, სტაბილური მეზობლები აწყობს არა მარტო ევროპას, არამედ რუსეთსაც“, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.**

**მისივე თქმით, „ბუნებრივია, საქართველო ვერ ხეირობს და პირიქით, ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენა აქვს რუსეთის ეკონომიკურ პრობლემებს, მაგრამ ამ სანქციების მიზანი ძალიან ნათელია“.**

**„ომი არის აბსოლუტურად მიუღებელი და ომის შეწყვეტის პარალელურად მიუღებელია ის, რომ რუსეთი თავის მეზობლებს იარაღის ენით ელაპარაკებოდეს. შესაბამისად, ჩვენ ველით, რომ სანქციები გამოიღებს შედეგს და ამავდროულად ველით იმას, რომ ჩვენი დასავლელი პარტნიორები კიდევ უფრო კონსოლიდირდებიან დამოუკიდებელი ერების არჩევანის დაცვის ირგვლივ“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.**

**„ინტერპრესნიუსი“**

ქართული მწერლობა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართული სიტყვავ, ქართული სიტყვავ!“

ხალხი სამართალს ითხოვს!

# „ნაციონალებისგან“ გამწარებული თელაველი ბიზნესმენი შურისძიებით იმუქრება!

**თელაველ ბიზნესმენს, უწყინარ კაცს სააკაშვილის რეჟიმმა საქმე შეუთითხნა და ციხეში მხოლოდ იმიტომ გამოამწყვდია, რომ ეწამებინა და იძულებული გაეხადა, რეჟიმისთვის ათასობით ლარის ავტომანქანები შეეძინა. დღეს ბიზნესმენი კვლავ უსამართლობაზე წუხს და ანგარიშსწორებითაც იმუქრება... ვფიქრობთ, შესაბამისმა უწყებებმა და ბიზნესის დაცვის ლოზუნგით მოსულმა ხელისუფლებამ ყურად უნდა იღონ რეჟიმისგან დაზარალებული ადამიანის გასაჭირი და სათანადო დასკვნები გააკეთონ. „ამ დანაშაულის ერთ-ერთი ორგანიზატორი ზაზა უზუნაშვილი, ვინც სულში ჩამაფურთხა და ფული ყაჩაღურად წამართვა, დღეს, ციხეში ჯდომის ნაცვლად, კახეთის სუს-ის უფროსის მოადგილედ მუშაობს!“ — ასე დაიწყო საუბარი „თბილისი 24“-თან სანდრო მეგუთნიშვილმა.**

## სანდრო მეგუთნიშვილი: „იმ სახელმწიფოს დედაც ვატირე, სადაც წესრიგის დაცვა ყაჩაღს აქვს მინდობილი!“



**„როგორც კი ხელისუფლება შეიცვალა, ზურაბ ლალიაშვილი უნგრეთში გაიქცა. დათო ლორთქიფანიძემ და ზაზა უზუნაშვილმა პროკურატურაში ოფიციალურად აღიარეს, რომ მანქანები ჩემგან გამოძალული ფულით იყო ნაყიდი! ლორთქიფანიძე დააკავეს და 2 თვეში 10 ათასი ლარი გირაოს სანაცვლოდ გაუშვეს. სასამართლო ახლაც გრძელდება... ზურაბ ლალიაშვილმა, 2013 წლის ზაფხულში, უნგრეთიდან დაბრუნების შემდეგ, ასევე, აღიარა ჩემი დაყაჩაღება, დააკავეს კიდეც, მაგრამ კოჰაბიტირებულ მფარველთან, ხუტა პაჭკორიასთან საქმე ჩააწყო და 2 ათასი ლარი გირაოს ნაცვლად გაათავისუფლეს. დამატებით, თამაზ თამაზაშვილის საქმეზე მისთვის, თურმე, 1000-ლარიანი გირაო შეუფარდებიათ...“**

**სანდრო მეგუთნიშვილი:** — მაშინდელი კუდ-ის თანამშრომელი ზაზა უზუნაშვილი შემოთვლიდა, ამდენი უნდა მოიტანოთო. ვინც არ მიიტანდა, შარს მოსდებდნენ და ეგრევე ციხეში უშვებდნენ. 2010 წლის ივლისის ბოლო იყო, კახეთის კუდ-ის უფროსის მოადგილემ, დათო ლორთქიფანიძემ შეგვკრიბა და გამოგვიცხადა, „აფხაზეთის რადიოს“ დახმარება სჭირდება, თითოეულმა 10-10 ათას დოლარამდე უნდა მოიტანოთო. „აფხაზეთის რადიო“ შირმა იყო. სინამდვილეში, ფული „ნაცების“ ინტერესებს ხმარდებოდა. ვიცოდი, რომ გაძალიანებას აზრი არ ჰქონდა. ამიტომ, ათასი დოლარი ვისესხე და კუდ-ის თანამშრომელ ზაზა უზუნაშვილს მისივე კაბინეტში გადავეცი. ფულს დახედა და მითხრა, ეს რა არის, მასხრად გვიგდებო? ვუპასუხე, ამ დღეებში ჩემი თანამშრომელი, ვინც ფინანსურ საკითხებს წყვეტს, საქართველოში დაბრუნდება და რასაც სხვა ქარხნის დირექტორები მოგართმევენ, იმდენივეს მეც დავდებ-მეთქი. დამემუქრა, ნახე, რაც მოგივაო და მუქარა შემისრულა კიდეც: პროვოკატორი მომიგზავნა, კუდ-ის თანამშრომელი, რომელმაც შეურაცხყოფა მომაყენა, მაგრამ გავშიფრე... სურდა, ფიზიკურად შევხებოდი და თავი შევიკავე. მიუხედავად ამისა, თელავის პოლიციაში წამიყვანეს, სასტიკად მცემეს და ციხეში გადამიყვანეს.

კახეთში, პრაქტიკულად, ტრიუმვირატი მოქმედებდა. ზურაბ ლალიაშვილი კახეთის კუდ-ის უფროსი იყო, მისი მოადგილე — დათო ლორთქიფანიძე, შემსრულებლად კი, უზუნაშვილი ჰყავდათ. მაშინ ყველაფერს კუდ-ი წყვეტდა, თანაც დათო ლორთქიფანიძის ძმა, გია ვანო მერაბიშვილის მოადგილე ბრძანდებოდა და ამ ბანდას პრეტენზიას ვინ წაუყენებდა?

პირადი საჭიროებისთვისაც სძალავდნენ ბიზნესმენებს ფულს. მაგალითად, საწარმოებს 500-500 ლარი შეგვაწერეს.

ციხეში მიყვანისთანავე მცემეს. მას მერეც, კვირაში 2-ჯერ მცემდნენ გონების დაკარგვამდე. დაპატიმრებიდან თვენახევარში, ციხის დირექტორის, ალექსანდრე მუხაძის კაბინეტში შემიყვანეს. იქ დათო ლორთქიფანიძე დამხვდა, რომელმაც მითხრა, თუ აქედან თავის დაღწევა გინდა, 8 ცალი „ტოიოტა პრადო“ უნდა გვიყიდოო. არ მაქვს ამდენი-მეთქი, — ვუთხარი და სასტიკად მცემეს. მერე, „ფუქსებში“ ჩამიყვანეს. თავი რომ არ მომეკლა, მაიძულებდნენ, ტუალეტში შესულს კარი ღია დამეტოვებინა. ორჯერ სადღაც ჯურღმულში შემიყვანეს, თავზე შლემი ჩამომაცვეს, ბორკილებით დამაბეს და მჯდომარე მდგომარეობაში მცემეს... მაიძულებდნენ, იატაკზე დაღვრილი სისხლი საკუთარი მაისურით მომეწმინდა. ასეთი წამების პირობებში, დათო ლორთქიფანიძეს 3-ჯერ შემახვედრეს ციხეში და ჩემგან სამივეჯერ ერთსა და იმავეს მოითხოვდა.

3 დეკემბერს, 15 ათასი ლარი გირაოს ნაცვლად, ოფიციალურად გამათავისუფლეს, მაგრამ ისევ კუდ-ის შენობაში მიმათრიეს, ლორთქიფანიძესთან და უკვე 100 ათასი დოლარი მომთხოვეს. არ გადაიხდი და ციხეში შეგაბრუნებთო, — მითხრა ლორთქიფანიძემ.

თანხის შეგროვებაში სანათესაო და მეგობრები დამეხმარნენ. 2012 წლის 2 მარტს, დათო ლორთქიფანიძე მიმყვა და „თი ბი სი ბანკში“, ვინმე დავით მთაწმინდელის სახელზე, 58 ათასი დოლარი ჩამარიცხინა.

2011 წლის 15 მარტს, კუდ-ის თანამშრომელმა ზურა საჩიშვილმა „ტოიოტას“ ცენტრში მიმიყვანა და დათო ლორთქიფანიძისთვის, რომელიც იქ მელოდებოდა, 40 ათასი დოლარი მიმატანინა. ამ ფულით მათ 2 ტოიოტა „კაბრი“ იყიდეს.

19 მარტს, დათო ლორთქიფანიძემ ისევ დამიბარა. ამჯერად, 1 600 დოლარი მიმატანინეს, მანქანებს სიგნალიზაციები უნდა დავუყენოთ და ღვედები გამოვუცვალოთო.

როგორც კი ხელისუფლება შეიცვალა, ზურაბ ლალიაშვილი უნგრეთში გაიქცა. დათო ლორთქიფანიძემ და ზაზა უზუნაშვილმა პროკურატურაში ოფიციალურად აღიარეს, რომ მანქანები ჩემგან გამოძალული ფულით იყო ნაყიდი! ლორთქიფანიძე დააკავეს და 2 თვეში 10 ათასი ლარი გირაოს სანაცვლოდ გაუშვეს. სასამართლო ახლაც გრძელდება...

ზურაბ ლალიაშვილმა, 2013 წლის ზაფხულში, უნგრეთიდან დაბრუნების შემდეგ, ასევე, აღიარა ჩემი დაყაჩაღება, დააკავეს კიდეც, მაგრამ კოჰაბიტირებულ მფარველთან, ხუტა პაჭკორიასთან საქმე ჩააწყო და 2 ათასი ლარი გირაოს ნაცვლად გაათავისუფლეს. დამატებით, თამაზ თამაზაშვილის საქმეზე მისთვის, თურმე, 1000-ლარიანი გირაო შეუფარდებიათ...

ზაზა უზუნაშვილს სამსახურიდან გათავისუფლება აკმარეს, მაგრამ როგორც ჩანს, პატრონი გამოუჩნდა და დაპატიმრების ნაცვლად, კახეთის სუს-ის უფროსის მოადგილედ დანიშნეს! ის ჩემს ოჯახზე დღესაც ძალადობს — სასამართლოზე მოწმეებს, რომლებმაც ჩემს წინააღმდეგ ძალადობაში ამხილეს, აშინებს; ჩემი რძალი სკოლის დირექტორობიდან გაათავისუფლებინა, ჩემი ძმისშვილის პოლიციური კარიერა კი, დაბლოკინა!

ამ ფორმიანმა ყაჩაღებმა სააკაშვილის პერიოდში ხომ გამაუბედურეს, ახლაც, ახალი ხელისუფლების დროსაც იგივეს აგრძელებენ! იმ სახელმწიფოს დედაც ვატირე, სადაც წესრიგის დაცვა ყაჩაღს აქვს მინდობილი! მხოლოდ მე კი არა, უზუნაშვილ-ლორთქიფანიძე-ლალიაშვილის მიერ ათობით ნაწამები, გაძარცვული და შეურაცხყოფილი ადამიანი შემიძლია ჩამოგითვალოთ!

ამას წინათ ზურაბ ლალიაშვილს გადავეყარე და გამწარებულმა, ცხვირ-პირი მივუნგრიე, რადგან თავხედურად მიმტკიცებდა, მე არაფერ შუაში ვარ, ყველაფერი დათო ლორთქიფანიძის და ზაზა უზუნაშვილის ბრალიაო! არადა, ეს ერთი ყაჩაღური ბანდაა და ცინიზმია, რომ სისხლისმსმელი ზაზა უზუნაშვილი კვლავ ამხელა თანამდებობაზე მუშაობს. ჩემთვის სულში ჩაფურთხებას მაგ არაკაცს ნამდვილად არ შევარჩენ. ხმამაღლა ვაცხადებ: თუ ჯალათ ზაზა უზუნაშვილს თანამდებობიდან დაუყოვნებლივ არ გაათავისუფლებენ და არ დააპატიმრებენ, გპირდებით, განაჩენს მე თავად გამოვუტან!“

**„თბ24.გე“**

## 80 წლის ჯემალ ჭკუასელს

მარად და მარად, სულ ასე,
მტერი სულ დღე-დღე კვდებოდეს,
მრავალჟამიერ ჭკუასელს,
ღმერთო, სულ ემღერებოდეს!
დღეს აღარავინ არ მღერის,
დღეს კივიან და წივიან,
„ერისიონის“ სახელი —
შენი კაცობის წვლილია.
გული არასდროს ჩაგრულობს,
გული სიყვარულს შერთვია,
მეცხრე ცაშია „ჩაკრულო“,
სიყვარული ხომ ღმერთია!

**შენი ჯანსუღ ჩარკვიანი**
**17 მაისი, 2015 წელი**



ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა
20 - 26 მაისი 2015
№ 20 (284)


პოეზია

# ომარ ხაიამის როზაიეზი

(ალექსანდრე ელერდაშვილის თარგმანი)

1
მოდი, გული გამიხარე, მოდი ჩემთან, ჩემო კარგო,
იქნებ შენი სილამაზით ჩემს ვაებას რამე არგო?!
შენთან მინდა მოვილხინო, შევსვა ერთი დოქი ღვინო,
სანამ დოქად გადამზელენ, დოქში მინდა თავი ჩავრგო.
2
ხვალინდელ დღეზე რადგან პასუხს ვერავინ აგებს,
შენს სევდიან გულს, ღვინის გარდა, ვერარა არგებს;
მთვარიან ღამეს შევსვათ ღვინო, რადგან ეს მთვარე
მუდამ იქნება... ჩვენ კი ვერსად ვეღარ მოგვაგნებს.
3
ყურანის კითხვა თუმცა ბრძენი ხალხის ხვედრია,
მათაც არ ესმით ის, რაც ძნელად მისახვედრია;
ჯამის ფსკერზე კი რაგინდ ძველი ეწეროს ლექსი,
რომ ვერ გაიგოს, მე ჯერ კაცი არ შემხვედრია.
4
შენ ღვინის სმას თუ გიკრძალავს შენი საქმე, წონა, გვარი,
ჩვენი მაინც არ გაკიცხო შვება, ღვინით მონაგვარი;
შენ სიფხიზლე ნუ გგონია სიმდიდრე და მონაგარი —
პური შენი ბატონია, ჩვენთვის ღვინო მონა არი.
5
ვნების აკვანი თუმცა გულში ბევრჯერ დაგვერწა
და სიყვარულის ალმურითაც სახე აგვეწვა,
მაინც არ ვიცით, თიხით შექმნილ მოკვდავთა შორის
მარადისობის მოქანდაკემ რისთვის ჩაგვძერწა.
6
მუტრიბი მღერის, მე ნანგრევში ვაგდივარ მთვრალი
და ღვინოს ნატრობს გული, სული, ბაგე და თვალი;
არც შენდობა მსურს, არც მაშინებს ცოდვა და ბრალი,
არ მახსოვს მიწა და ჰაერი, ცეცხლი და წყალი.
7
ჯემშიდიც და ბარამ-გურიც ფლობდნენ კოშკს თუ
კამარებს,
დღეს კი მათში თავის მოდგმას ჯეირანი ამრავლებს;
ჯერი ედგათ ჯეირნებით გასაძღომი ბარამებს,
მაგრამ დადგა ჯერი ნებით თვით აძღობდნენ სამარეს.
8
თავზედ ღრუბელი დამდგომია და ცრემლებს მაღვრის,
თან მეუბნება: „ეს ცხოვრება უღვინოდ არ ღირს!“
დღეს თუ სხვის საფლავს ჩვენ გავთელავთ ცეკვა-თამაშით,
ხვალ ჩვენს საფლავზე სხვას ნახავენ, ქეიფით დაღლილს.
9
ახლა, როცა შენი ვარდის აყვავების წელია,
შენ უღვინოდ რატომ ზიხარ, რატომ მოგიწყენია?
ეს საწუთრო მუხთალია, ავია და ძველია,
მოილხინე, ასეთი დღის კვლავაც პოვნა ძნელია.
10
დღეის ფიქრით ხვალინდელი დღე ვერსაით ვერვინ ჰპოვა,
ეგ ნაღველიც შენმა გულმა სულ ამაოდ დაიგროვა;
რაც წავიდა, გუშინ იყო და ვინ იცის, ხვალ რა მოვა,
წარსულზე და მომავალზე განა ღირსღა შენი გლოვა?!
11
ვინც შვილი იყო წუთისოფლის, შმაგის თუ მშვიდის,
კვალი ამაოდ ძებნა ოთხის, ექვსის თუ შვიდის...
ღვინო დალიე, არვინ იცის, რა გზით მოხვედი,
იმხიარულე, არვინ იცის, ვინ საით მიდის.
12
შენი სიავით ჟამთასრბოლავ, ბევრს უკვნესია,
უსამართლობა ოდითგანვე შენი წესია,
მიწის წიაღში, ო, რამდენი უძვირფასესი
იაგუნდი და მარგალიტი დაგითესია.
13
გულო, საწუთროს შენი კვნესა არა სწყინდება
და ტკბილი სულიც მალე სადღაც გაგიფრინდება;
მიტომაც გიჯობს ამ მდელოზე ილხენდე ერთხანს,
სანამ ეს მდელო შენს საფლავზე აბიბინდება.
14
ცხოვრების ზღვაში ვნახეთ, რაც რამ მარგალიტია
და ვერ გავიგეთ, ყალბია თუ ჭეშმარიტია;
ის საფიქრალი, რაც ცხოვრებამ ვერ დაიტია,
ფიქრადვე დარჩა, სიკვდილმა რომ შემოგვიტია.
15
ეს დოქიც თურმე კაცი იყო, ისიც თვრებოდა,
რომ დათვრებოდა, მერე სატრფოს ეახლებოდა;
დოქის სახელურს რომ უყურებ, ის ხელი იყო,
ლამაზმანების ყელ-კისერს რომ გარს ევლებოდა.
16
ბედი იმ დოქში, რაც მოუკლავს წყურვილს ღატაკებს,
თიხასთან ერთად მეფის თვალებს ჩააქანდაკებს,
თითო ღაწვისგან გამოძერწავს თითო ფიალას,
მისცემს ლოთებს და ყურს მიუგდებს, ვინ რას ქადაგებს.
17
ამ ძველ საწუთროს სახელი აქვს ცრუ და არამი,
მის ძველ კედლებში სამყოფი აქვს ყველას ვარამი;
ის სასახლეა, სადაც ასი ჯემშიდი მჯდარა
და არის კოშკი, სადაც ნახეს ასი ბარამი.
18
ვით ნიაღვარში წვიმის წვეთი და ზვავში ფიფქი,
დღეო გასულო, საწუთროში უკვალოდ მიქრი;
სანამ ვარ ქვეყნად, ეს ორი რამ არ დამამწუხრებს:
უკვე წასულ და ჯერარმოსულ დღეებზე ფიქრი.
19
ტურფა ვარდის სიცოცხლეში აყვავების თვეა კარგი,
ღვინით ღამენათევისთვის განთიადის მზეა კარგი,
რაც გაქრა და რაც წავიდა, რაც ხსოვნაში გადავიდა,
მასზე ფიქრებს დაეხსენ და... დღევანდელი დღეა კარგი!
20
ჩვენს აქ მოსვლამდე დღეც იყო და ღამეც ყოფილა,
ამ ცისქვეშეთში, ალბათ, რაღაც საქმეც ყოფილა;
ჩვენს ფეხქვეშ მიწა ლამაზმანის თვალებს მაგონებს,
აქ რომ იყო და, ალბათ, სხვაგან სადმეც ყოფილა.
21
დიდხანს ვძებნე და არაფერი დამიხვდა წინ მე,
გადავიღალე წარმართობით გარეთ თუ შინ მე;
რომ მეუბნებით - „ჯოჯოხეთი არ აგცდებაო“ -
ნუთუ სამოთხეს ან ჯოჯოხეთს სწვევიხართ ვინმე?!
22
ვინც ამ ფიალის ნამცეცები ერთად შეყარა,
სიტყვის სათქმელად ჩვენ ჯერ არსად შემოგვეყარა;
ან იმ მიწაზე რად ისურვა ჯავრი ეყარა,
ლამაზმანების მტვერი სადაც მრავლად ეყარა.
23
რადგან სიცოცხლე მოწყალებას არ არს ჩვეული,
მოილხინე და დაივიწყე ხვედრი წყეული;
ჭკუით იცხოვრე, რადგან შენი ტურფა სხეული
მხოლოდ მიწაა და მტვერია წყალს შერეული.
24
გაზაფხულზე, ღრუბელი რომ პირს ჩამოჰბანს ვარდს და ტიტას,
ღვინო სვი და ეგ ნაღველი მკლავებს აღარ ჩამოგწყვიტავს;
დღეს ამ ბალახს შენ გათელავ, ხვალ ის იტყვის თავის სიტყვას,
როცა შავი სამარიდან შენს ნარჩენებს ამოიტანს.
25
მთვრალმა ბულბულმა ოდეს ჰპოვა ბაღნარის კარი,
შემოეგება მას იქ ვარდი, პირმომღიმარი;
მერე ჩამოჯდა ჩემს მახლობლად და ჩამჩურჩულა:
„წარსულ სიცოცხლეს ნუ მისტირი... რაც არი, არი!“
26
ჟამთასრბოლა თუკი ჩვენი ხოცვა-ჟლეტით არ დაცხრა,
ზეცა, გინდა, შვიდი იყოს და, თუ გინდა, რვა და ცხრა;
თუკი სიკვდილს არ ავცდებით არც მე, არც შენ და არც სხვა,
სულერთია, ჭია დაგხრავს, თუ ნადირი დაგაცხრა.
27
თუ გაზაფხულდა, თუ ბარბაცებს მთვრალი ყაყაჩო,
რად გინდა, სატრფოს ბაგეების გარდა, სხვა სარჩო?
ღვინო დალიე, ამ ბებერმა წუთისოფელმა
თავის მორევში შენი მსგავსი ბევრი დაახრჩო.
28
ვერ ჩასწვდები ჭეშმარიტ აზრს, ვერ გაიგებ, ვინ ხარ, რა ხარ
და მიტომაც შენს სიცოცხლეს ასეთ ფიქრებს ფუჭად ახმარ;
სჯობს ფიალას ეფერო და, რომ მოკვდები ან დღეს, ან
ხვალ,
სამარისთვის სულერთია, ფხიზელი თუ მთვრალი ჩახვალ.
29
რადგან ქარია ყველაფერი, რაც კი რამ არის,
რადგან ყველაფერს ელის ხვედრი მტვრის და სამარის,
შენ მარადიულს წამიერად შეავლე თვალი
და ჩათვალე, რომ წამიერიც მარადჟამ არის.
30
შავი მიწა, ფეხს რომ ადგამს დღეს ხან ერი და ხან ბერი,
ერთდროს ქალის ბაგე იყო, ვარდისა და ღვინის ფერი;
ეს ლამაზი აგურები, დღეს რომ მორთეს იმით ჭერი,
ან ვეზირის ხელი იყო, ანდა სულთნის თმა და წვერი.
31
ყოვლისშემქმნელმა როცა მოჭრა სამყაროს თარგი,
თვით არ იცოდა — რა არ ვარგობს და რაა ვარგი...
მე თუ ცუდი ვარ, რად მიბოძა თვისი იერი,
ან ასე უღვთოდ სულს რადა მხდის, თუკი ვარ კარგი?!
32
იდუმალების ფარდის ახდა ძალუძს არავის,
გრძნეულ ზრახვათა ამომცნობი არვინ არ არის.
აფსუს, წყვდიადი მიწის გულში დავიდებთ ბინას...
ჩვენი ცხოვრება სიზმარია... აბა, რა არის?!
33
სიზმრად ვნახე ვიღაც ბრძენი, მითხრა — „რა დროს ძილიაო?
აქ სიცოცხლის ვარდი ჭკნება, ცხადში გადაშლილიაო;
ძილში ყოფნით ვერ შეიცნობ მას, ვინც ყოფნის შვილიაო,
სანამ დროა, გამოფხიზლდი! — ძილი მიწის წილიაო“.
34
ორ სამყაროში მოწანწალე მგზავრებსა ვგავართ,
თავსა და ბოლოს ვერ ვხედავთ და შუაზე დავალთ;
არავინ ამბობს ჩვენთან მართალს — ვინ ვართ და რა ვართ,
რა გზით მოვედით წუთისოფლად და რა გზით წავალთ.
35
შენი ხილვა, ტურფა ქალო, ო, რა საამურია,



მოდი, ღვინო მომაწოდე, ხომ იცი, რომ მწყურია...
და თუ ამან დამავიწყა, რაც რამ ქვეყნად შურია,
ძაღლი ვიყო, თუ მახსოვდეს სამოთხე და ჰურია.
36
იცოდე, შენც და შენი სულიც ბეწვზე კიდიხართ,
რადგან არყოფნას ჩალის ფასად შეუსყიდიხართ;
ღვინო დალიე, არვინ იცის, საიდან მოხველ,
იმხიარულე, არვინ იცის, საით მიდიხართ.
37
მწდეო, ამ ვარდნარს, დღეს რომ ყვავის გულის სალხენად,
გწამდეს, ხრიოკი დაერქმევა მალე სახელად;
მაშ, ღვინო ვსვათ და, მაშ, მოვკრიფოთ ვარდის კონები,
სანამ ეს მდელო უქცევიათ ნაგვის საყრელად.
38
ბნელი ცხოვრების გზაზე მავალს რადგან ვედრები,
აღარაფერი დამრჩა ქვეყნად დასაყვედრები;
მადლობა უფალს, საკუთარი რომ მაქვს ტკივილი
და ამას მაინც სხვას არავის არ ვევედრები.
39
მოვძებნოთ მდელო, სადაც ია-ვარდი თესია,
ღვინო შევსვათ და მოვილხინოთ, როგორც წესია;
ლამაზი ქალიც თუ გვეახლა გამთენიისას,
აღარც მეჩეთი გვეხსომება, არც ეკლესია.
40
სიცოცხლის რტოებს აყვავებას ერთხანს აცლიან
და ლამაზ პერანგს სუდარაზე მალე გაცვლიან,
შენს სხეულს, როგორც მფარველ კარავს, ნუ მიენდობი,
რადგან ამ კარავს მალე საყრდენს გამოაცლიან.
41
ხალხი ამბობს: „არ არსებობს სამოთხეზე კარგი რამო!“
მე კი ვამბობ: „სანამ ცოცხლობ, კარგად უნდა სვა და ჭამო“;
ის ნისია დაივიწყე და იზრუნე ნაღდის გამო —
შორიდან ხომ დაფდაფების ბრახაბრუხიც არის ამო.
42
ვიცი, რომ მკიცხავ ლოთობისთვის, ვიცი, რომ მძრახავ,
ვიცი, ჯოჯოხეთს ვერ გავცდები, ვერ გადავლახავ;
და რომ აგზავნი ჯოჯოხეთში ლოთსა და მიჯნურს,
ხვალ ხომ სამოთხეს, ვით ხელისგულს, ცარიელს ნახავ?!
43
მე ჯერ არ ვიცი, ჩემს სულზე ვინ ბატონობს და ვისია,
წყეული ჯოჯოხეთის თუ ტურფა სამოთხის ღირსია?!
ბარბითის კვნესა, ღვინის სმა, სატრფოს ალერსი მდელოზე,
ჩემთვის ეს სამი ნაღდია, ის სამოთხე კი — ნისია.
44
მთვარის სხივებმა გაარღვიეს სიბნელის მახე,
შენც შენი შვება დღეს ამ სავსე მთვარესთან ნახე;
მოილხინე და წარმავალ დროს ნურას შესჩივი —
თავად მთვარესაც დაეცლება მალე ეს სახე.

ქართული მწერლობა
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

პროზა

# ია

## შიო არაგვისპირელი



კალოებზე მთელ დღეს სიცხის გულზე ტრიალმა ისე დაქანცა გლეხობა, რომ რა წამს ახლად გალეწილი ხორბალი თუ ქერი ჯინებში ჩაცალა და ბზე კი, კალოს პირას მიაგროვა, მაშინვე დაწვა ქოხებში და ღრმა ძილს მისცა თავი, რომ ახლა მეორე დღეს შეუდგეს კალოზე ისევ იმ მომქანცავს და თავბრუდამსხმელ ტრიალს.

ალექსის კალოს პირას ქოხში მარტო იმის ცოლ-შვილი იწვა და ქოხის იქით - იმისი მოჯამაგირე. თითონ კი, საღამოს სოფელში წავიდა და ცოლ-შვილს ამბავი დაუგდო, თუ ამაღამვე არ ჩამოველ, დილაზე ადრე მაინც მოგეშველებით კალოს ჩაშლაშიო. დიდი ხანია, იმისმა ცოლმა და ორმა პატარა ქალ-ვაჟმა დაიძინა და მოჯამაგირემ ხომ დაწოლის უმალ ხვრინვა ამოუშვა. მარტო თიკოს, ალექსას გასათხოვარ ქალს, არა სძინავს და მოუსვენრად არის. მალი-მალ მუთაქიდან თავს იღებს და ქალი-აყვანა მთის წვერისკენ იხედება, საიდანაც მთვარე უნდა ამოვიდეს და იმის შუქმა უნდა ანიშნოს, რომ ისიც, ისიც, რომელმაც იმის უმანკო გულში მეტად ტკბილი და დამათრობელი გრძნობა აღძრა, რაც არა-ერთსა და ორს უმანკოს ათევინებს ღამეს და ხან ერთ გვერდს აცვლევინებს და ხან მეორეს, ხან პირისახეს ბალიშში ამალვინებს და უკმაყოფილობის გამო, ცრემლს აფრქვევინებს და ხან კიდევ ტკბილის, ნეტარის ღიმილით უბრწყინებს სახეს, რომ ისიც მთვარის ამოსვლისას ქოხის პირდაპირ კონცხის წვერიდან გადმოსტვენს...

დღეს იალაღიდან ჯერისთვის ჩამოვიდა, იმასთან ერთად შუადღემდის კალოზე ტრიალებდა, ერთად უქცევდა, ერთხნობას ერთადაც ისხდნენ ქოხს ქვეშ, მაგრამ იმათთან ერთად სხვებიც ირეოდნენ, რომ თვალით მაინც გამოეცხადებინათ ერთმანეთისთვის გრძნობა. ხედავდნენ, გრძნობდნენ, რომ იმათი გულები ერთმანეთის სიახლოვის გამო ბუდიდან აპირებდნენ გადმოვარდნას; ერთმანეთის ქშინვა ეყურებოდათ, ისე ახლო იყვნენ და ხმის გაცემას კი არა, შეხედვასაც ვერა ბედავდნენ. „რის მაქნისია ამისთანა სიცოცხლე, თუკი გულს ვაჩუმებთ“-ო, — გაიძახოდნენ უსიტყვოდ და ჯავრისაგან თითებს იმტვრევდნენ.

მარტო ერთხელ მოასწრო ქოხს ქვეშ თიკოსთვის შეეხედნა და ეს საკმარისი იყო, რომ თიკოს მდუღარე გადასხმოდა. გული გადუქანდა და ნაზი, დაწმენდილი სახე ჯერ შეეფერფლა და შუბლზე მარგალიტისებრ წვრილი ცივი ოფლის წვეთები ამოასხდა, მერე კი, ალმურმა აუარა და ტანი მთლად გაუხურდა. მაშინვე წამოდგა და ქოხის გვერდს მოეფარა, რომ პირისახეს არ გამოექვეყნებინა იმისი საიდუმლოება. იმან კი, ამოიოხრა, როცა თიკო ბოძს მოეფარა და თავი ძირს ჩაჰკიდა.

— დათია, წავიდეთ და ჯერი წაიღე, თორემ დაგიგვიანდება, — უთხრა ამ დროს იქვე მოფუსფუსე თიკოს დედამ და ქოხიდან გავიდა.

დათამაც მაშინვე თოფი მხარ-იღლივ გადაიგდო და აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა.

— თიკო, მთვარის ამოსვლისას იქიდან გადმოგისტვენ, — ქოხიდან გამავალმა ოდნავ წასჩურჩულა, რაკი აქ სხვა არავინ იყო იმათ მეტი და თვალით კონცხზე აჩვენა.

ამ სიტყვებმა თიკო სულ ააკანკალა და ქოხის ბოძს რომ არ მიყრდნობოდა, გადიქცეოდა კიდევაც. მოუთმენლად ელოდა თიკო დაღამებას. იმ დღეს სუყველაფერს დაბნევით, არეულად აკეთებდა და ხშირად სულ უნებურად სიამოვნებით გაეღიმებოდა. კალოს გადაშვების დროს იმისი დედაც დაბრუნდა და სთქვა: დათია წავიდა და, ვინ იცის, ვახშმობამდის უწევს იალაღს თუ არაო.

— ფეხ-მარდი ბიჭია, როგორ არ უწევს! — უპასუხა ალექსიმ ცოლს და არნადს ხელი წამოავლო.

ამის შემდეგ დათია აღარავის მოჰგონებია, გარდა თიკოსი, რომელსაც სულ თვალწინ ედგა და გონებიდან არ მოშორებია. მალი-მალ მოესმოდა იმისი ხმა: „თიკო, მთვარის ამოსვლისას იქიდან გადმოგისტვენო“ და კანკალი აიტანდა...

დაღამდა. კალოზე ხმაურობა მისწყდა. ყველამ მიიძინა. თითქოს მთვარესაც მისძინებია, რომ არ ამოდის და თიკოს გამოსაჯავრებლად იგვიანებს...

— რა ვქნა, სხვა დროს კი ადრე ამოდიოდა, ეხლა რაღა მოუვიდა?! — მხარ-თეძოზე წამოჯდომით უკმაყოფილოდ წაიბუტბუტა თიკომ და ჩაჟინებით მიაცქერდა ქალი-აყვანა მთის წვერის პირდაპირ ცას, რომლის მუქ ლურჯ ფერს და ზედ მოკაშკაშე ვარსკვლავებს სიციაგე ეპარებოდათ. რამდენადაც ცა ცრიაგდებოდა, იმდენად თიკო ღვიოდა, შვენდებოდა; იმის მაყვალა თვალებს ელვარება ემატებოდა, ქუთუთოებს თრთოლა ეპარებოდა; მარწყვისფერი ტუჩები კიდევ მძიმედ ვარდივით ეფურჩქნებოდა, თმაგაშლილი სწორედ საოცნებო არსებას ემსგავსებოდა...

— ამოვიდა! — უნებურად აღტაცებით წამოიძახა თიკომ, როდესაც მთის წვერზე მთვარის სულ მცირედ ნაწილს თვალი მოჰკრა და მთლად სმენად გარდაიქცა.

კონცხიდან ოდნავი სტვენა მოისმა. თიკო სტვენის გაგონებაზე წამოვარდა და ნიავივით კონცხისკენ ძნის გვერდით გასრიალდა. საჩქაროდ კონცხის მეორე მხარეს მოექცა, სადაც გულის ფანცქალით დათია მოელოდა და მისვლისთანავე დათიას გახსნილ მკერდს მიესვენა; ლაფანივით მოიქნა, მოეშვა და ისე მისუსტდა დათიას გულზე მისვენებული, რომ განძრევის თავი აღარა ჰქონდა. დათია კი თავის ძლიერ მკლავებს გარსა ხვევდა და ისე იკრავდა გულში, თითქო თიკო სულში უნდა ჩაიძვრინოსო.

დათია დაეშო ძირს და ლოდზე ისე ჩამოჯდა, რომ თიკო კალთაში მოექცა. მოელვარე თვალებით დასცქეროდა თიკოს მიბნედილ, მილულულ სახეს და მღელვარება უასკეცდებოდა, რადგანაც ეს მშვენიერება, ეს ნაზი არსება იმის მკლავებს შუაა და იმის მკერდზე იყო მისვენებული. თუ დღეს დათა უბედურად სთვლიდა თავის თავს, სამაგიეროდ, ახლა „მეფე ვარო“, გაიძახდა უსიტყვოდ და, ყეენიც რომ წარმოუდგეს ეხლა წინ, იმასაც თავს არ მოუხრის.

ასე იყვნენ დიდხანს და იმით მყუდროებას არა არღვევდა-რა. მხოლოდ იქვე, მინგრეულ ბოგირს ქვევით, უჯარა ჩახრიალებდა და შეყვარებულთ ნანას ეუბნებოდა, ხანდისხან კიდევ ვენახების ბოლოში წნორისა და ფურცლის ტოტებზე წამწკრივებული ბეღურები ერთმანეთს ალერსით ჩაჟივჟივებდნენ და ფრთების ფათურით ერთმანეთს ეკვროდნენ.

— მცივა!.. — კარგა ხნის შემდეგ მისუსტებული ხმით წამოიძახა თიკომ და თახთახმა აიტანა.

დათას კალთაში ქალი სულ ხტოდა და თრთოდა და ზედ ეკვროდა, რომ გამთბარიყო.

— რადა, გენაცვა, რა დაგემართა?! — მზრუნველობით ჰკითხა დათამ და ტყაპუჭის უბეები და კალთები გარს შემოახვია.

— არ ვიცი, რადა!.. ფეხებზედაც მომახვიე, — კანკალით უპასუხა თიკომ და ტყაპუჭის ქვეშ ორივე ხელი დათას გარს შემოარტყა.

— აჰა, გენაცვა! დაიცადე! ჰო, ეხლა-კი დაგთბება, — ეუბნებოდა დათა და თან თიკოს კალთაში იჭუჭკავდა, — კიდევა გცივა?

— აღარა, ეხლა-კი გავთბი.

— ვინა ხართ! — შეშინებულის კილოთი ვიღაცამ დაიძახა ამ დროს ბოგირიდან და ფეხი წინ ველარ წარმოსდგა. შეყვარებულები ამ ხმაზე შეკრთნენ და ფეხზე წამოიჭრნენ. გაქცევა და დამალვა მოისურვეს, მაგრამ მუხლთ მოეჭრათ. ან-კი სადღა წავიდოდნენ, როდესაც მოულოდნელი სტუმარი თავს ედგათ. მთვარეს კარგა მაღლა ამოეწივნა და კონცხი დღესავით გაეშუქებინა.

„დათიკო!.. დათა!.. დათა იალაღს წავიდა!.. მოჩვენებაა!.. ალებია!“ — კანკალით გაიფიქრა ალექსიმ და გაფითრებულმა პირჯვრის წერით უკან დაიწია. დათა და თიკოკი თავჩაღუნულები იდგნენ და ძლივს-ღა სუნთქავდნენ, რადგანაც ალექსი იცნეს.

— დათა, თიკო, თქვენა ხართ?! — ძლივს წაილუღლუღა ალექსიმ.

— ჩვენა ვართ!.. — უპასუხა მოკრძალებით დათამა და მძიმედ ქშინვა დაიწყო.

— თქვენა?! — ბრაზ-მორევით შეჰყვირა ალექსიმ და საჩქაროდ იმათ გვერდით გაჩნდა.

— შე გაგლეჯილის შვილო, შენა, ჩემ მოჯამაგირეს უნდა ეთრევინო, ჰა? — თმაში ხელის წატაცებით დაუტია ალექსიმ და თიკო წინ წამოიბერტყა.

ქალი მუხლებზე დაეცა, როდესაც ალექსიმ თმით წამოიბერტყა და ტირილით შეევედრა:

— მამავ!..

— ალექსი, ნუ სტანჯამ ე გოგოს!.. - გულნატკენობით მიმართა დათამ და ალექსის ხელი დაუჭირა.

— რაო? აი, შე... — ბრაზისაგან გული ყელში მოებჯინა და სიტყვა გააწყვეტინა. სიტყვის მაგივრად ალექსიმ ისე წამოჰკრა გულის ფიცარში, რომ დათა დაბარბაცდა და კინაღამ გადაიქცა.

— მაშ, ეგრე, ალექსი?! — უკვე გაჯავრებულმა დათამ წამოიძახა, მსწრაფლ ხანჯალი ამოიღო და წინ უყელა ალექსის, რომელიც თიკოს გზისკენ მიათრევდა.

— აი, შე წუნკალავ!.. - დაიღრიალა ალექსიმ, დათია რომ ხანხჯალ-ამოღებული წინ დაინახა და თიკოს თავი ანება, — ჩემი ხანჯალი შენ ხანჯალზე ნაკლებ არ გასჭრის, წუნკალავ! — შეუტია ალექსიმ და ხანჯალი გაიძრო.

— ვაი!.. — სასოწარკვეთილებით ისე შეჰკივლა თიკომ, როცა ხანჯლებ-ამოწვდილებს შეხედა, რომ მთამ, ველმა, ვენახებმა აიტაცეს ეს სასოწარკვეთილებითი „ვაი“ და შორს, შორს გააქანეს. უეცარმა შეკივლებამ კალოზე ძაღლები დააფეთიანა და ააყეფა. ქოხებში კიდევ მიძინებული გლეხები ღრმა ძილიდან გამოაღვიძა და პირჯვარი გადააწერინა. გონს ვერ მოსულიყვნენ, თუ რამ შეაფრთხო ისინი... დაკივლებასთან ერთად თიკო აფთარივით იმათ შუა გაჩნდა, ხელები გაშალა და უგრძნობლად ძირს დაეშვა...

ერთმანეთის პატივის-მცემლები და შემთხვევით მოსისხლე მტრებად გარდაქცეულები ახლა სულ სხვა გრძნობამ და აზრმა შეიპყრო. ორსავე მკლავები მოუდუნდა და ხანჯლები ხელიდან გავარდა.

ორსავე ერთი-ღა ახსოვდა: როგორმე თიკო მოებრუნებინათ. ერთმანეთს არ აცლიდნენ ქუდებით წყლის მოტანას.

გადაფითრებული თიკო მიწაზე იყო გადასვენებული და იმის ტუჩებს ოდნავ სიწითლე თანდათან ეპარებოდა. აგერ ლოყებსაც სიწითლემ წამოჰკრა და თვალის ქუთუთოები შეერხა. ცოტა ხანიც და, თვალებიც გაახილა.

— მამავ!.. — მისუსტებული ხმით შესძახა, გვერდით მდგომი მამა რომ დაინახა, და გაფითრებული ხელი ძლივს შუბლზე გადისო.

— აქა ვარ, შვილო, ნუ გეშინიან!.. — უპასუხა ალექსიმ და თითონაც ალერსით თმას სწორება დაუწყო.

მოაგონდა უეცრად ხანჯალ-ამოღებული დათა და ტანში შიშის ჟრუანტელმა დაურბინა.

— „ის?!“ — შუბლ-შეჭმუხვნით დაეკითხა მამას და საჩქაროდ წამოჯდა.

— ისიც აქ არის!..

— თიკო!.. — სიხარულით წამოიძახა დათიამ, როდესაც წყლის ნაპირიდან სავსე ქუდით გამობრუნდა და წამომჯდარ თიკოს თვალი მოჰკრა და სავსე ქუდი მოაპირქვავა.

— დათა!.. — არა ნაკლებ სიხარულით წამოიძახა თიკომ და იმისკენ მომრბენ დათიას მკლავები გაუწოდა.

— გენაცვა, ხომ კარგადა ხარ?! — ქაქანით დაეკითხა დათია და გვერდზე მოჯდომით ხელები გადაჰხვია.

— კარგად, ჩემო დათი, კარგად!.. — უპასუხა თიკომ და დათიას გულს მიესვენა.

ალექსი კი დაფიქრებული შესცქეროდა შეყვარებულთა ალერსს და ღმერთს მადლობასა სწირავდა, რომ თიკო ასე ადვილად გადარჩა ხიფათს...

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

20 - 26 მაისი 2015 | № 20 (284) | 7

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

## გახსენება

# ჯემალ ჩახავას 75 წლის იუბილე მარადიულში

პოეზია მხოლოდ ნეტარება არ გახლავთ, პოეზია ცრემლიცაა და ტკივილიც. ლექსი, მუზასავით, მეცხრე ციდან მობრძანდება და თუ კარი დროზე არ გაუღე, მიდის იქ, საიდანაც მოვიდა.

ჯემალ ჩახავას პოეზიას სიჭაბუკის სხივი ამშვენებდა. ნიშანდობლივია მისი პოეზიის ტაძართან მიახლოვება, ხოლო მისი სულიერი განცდა მისსავე საუფლოში ტრიალებდა.

უდახვეწილესი ვაჟკაცი იყო და მიხარია, რომ ფოთელებმა დიდი პატივი სცეს მის სახელს — ფოთში, ერთ ქუჩას ჯემალ ჩახავას სახელი დაარქვეს. 18 მაისს კი, მისი 75 წლის იუბილე იზეიმეს.

დიდი მადლობა, ფოთელებო!

მივესალმები თქვენს ერთგულებას, თქვენს სიყვარულს ჯემალისადმი.

ღმერთმა გიმრავლოთ ჯემალ ჩახავასნაირი ქართველები!

ჯანსუღ ჩარკვიანი

## ჯემალ ჩახავა



### ოუ, ნანა

ოუ, ნანა, ნანაია, დილავოი ნანინა,
ამ ჰანგებმა სატრფოსათვის ვარდი მიმატანინა,
მოსისხლესთვის ჭრილობები მევე მომაბანინა,
ოუ, ნანა, ნანაია, დილავოი ნანინა.
შენი ხმები სადაც მტკივა, იქვე უნდა გავფინო,
მაფშალიას მოტივებო, თქვანი გოლუაფირო.
შენი ხმები, შორს რომ ვიყავ, იქიდანაც მესმოდა
და უშენოდ ჩემი გული ჩონგურივით კვნესოდა.
ოუ, ნანა, ნანაია, დილავოი ნანინა,
შენს ჰანგებთან მიმასვენა, არაფერი არ მინდა,
ეი, ჯიმა, სიჭაბუკე რა უეცრად გაფრინდა
და ტყის მაფა მეფერება ოდიშური ზღაპრიდან.
მიყვარს ჩელა, ოჩეშხვეიც, ძაბრალეც და არირაც,
მაგრამ ჩემთვის სულ სხვა არის, დილავოი ნანინა,
ხობისწყალო, ჩხოუშიავ, ანაკლიის ნაპირო,
უთქვენობით როგორ გავძლო, თქვანი
გოლუაფირო.
თქვენს კალთაში იბადება საოცარი ჰანგები,
ალბათ ხელი ურევია ამ სიმღერებს განგების,
თოლსინთელევ, ნეტავ შენთვის ფეხი დამაბანინა,
ოუ, ნანა, ნანაია, დილავოი ნანინა.

### მამის წერილი

შემოდგომაა ახლა სოფლად და
კალთას იბერტყავს ეზო და კარი,
კრეფა ხილისა ყველგან მოთავდა,
მადლობა ღმერთს, რომ გვაღირსა ქარი.
მე, მოხუც მამას, რა ამიყვანდა
იმ ვაშლის ხეზე, შენ რომ დასტოვე,
მოვხუცდი, შვილო, მეც დამიღამდა,
სიძაბუნეს ვგრძნობ და სიმარტოვეს.
ღვინო დავწურეთ, მაგრამ ქვევრებში
ძველიც ბევრია, ახალს რა ვუყოთ?
თუ გამახარებ ამ სიბერეში,
იქნებ ეს ღვინო ვინმეს წაუღო.
დედაშენი კი სულ მოტყდა, ბაბა,
თუმც აღარ არის ახლაც მოცლილი.
სანამ ჩვენ თვითონ გავითხრით საფლავს,
არ უნდა გვნახო, შე დალოცვილო.

### იმ დღეების კიდევ ერთხელ გახსენება

შენს მინდორში მიყვარდა უთენია სირბილი,
ოი, როგორ მომწონდა შენი მიწის სირბილე.
ის დღე ჩემთვის სხვა იყო, როცა დაგინახავდი,
ო, რა ცირა იყავი, ოქროს ყალმით ნახატი.
კაბა გეცვა ცისფერი, სახე გქონდა ყირმიზა,
სასაცილო ღიმილი და ნახტომი ირმისა.
ოცი წელი გავიდა იმ ლამაზი დღეიდან,
ჩემი ბიჭი გეძახის ახლა უკვე დეიდას!
გული სევდით მევსება, სულში იწვის ხანძარი,
ვესალმებით ერთმანეთს უკვე როგორც და-ძმანი.
თავის დროზე ვერ ითქვა ის სათქმელი ბოლომდე,
ჩემი ნატვრა ეგ იყო, მუდამ კარგად მყოლოდე.
ახლა ჩვენი შვილები ერთად დანავარდობენ,
არაფერი აწუხებთ, არაფერზე დარდობენ.
სადღაც გულის სიღრმეში კვლავ იღვიძებს იარა,
ყველაფერი მინდება, სიყვარული კი — არა.

### საქართველო

ჩემო საყვარელო მიწავ, ნამიანო,
მინდა, ტკივილები ისევ დაგიამო,
შენი სიხარული ჩემად გამხდომია,
შენი სიგრძე-განი ირმის ნახტომია.
უნდა მაცოცხლო და უნდა დამაბერო,
ჩემო თვალის ჩინო, ჩემო საქართველოვ,
ჩემი დარდების დიდო წყაროსთავო,
ჩემო ხატო და ჩემო სალოცავო.

### მოწყენის ერთი დღე

დღეს ასე მოხდა, ვარ მოწყენილი,
კვნესის გიტარის თეთრი სიმები,
ცა წვიმისაგან ჩამოწველილი
მახურავს თავზე, როგორც იმედი.
ჩემთვის ვარ ახლა, ჩემთვის, სრულებით,
როგორც ოქროსთან ვიღაც „მეშჩანი“
და ჩემი ლექსის სათოფურები
სავსეა სევდით და კაეშანით.
ეს დღე ჩემია, დღეა პოეტის,
კვდება ვიღაცა გზაზე სიცილით
და სული ჩემი, უსათნოესი,
სავსეა ლამაზ დღის სიმძიმილით.
ათასი ჩიტის შრიალა ფრთებით
ჩემი მიზანი მიფრინავს ცისკენ,
და ამ ჩემს კოლხურ სპილოსფერ ძვლებში
გაბზარულ ტკივილს დევივით ვითმენ.
ეცემა მწუხრი კოლხეთის ველზე,
ასწლოვან ხეთა ისმის გოდება,
დაკარგულ დღეებს ბავშვივით ვეძებ
და ჩუმი სევდა კვლავ მეორდება.
მე ჩემი სისხლის ყველა წვეთს გაძლევ...
ჩემთან ხარ ახლა და უნდა გიძმო
და ლექსებს, როგორც დაუცლელ ვაზნებს,
ჩუმ ჭრილობებში ქილებად ვიწყობ.
დღეს ასე მოხდა, ვარ მოწყენილი,
კვნესის გიტარის თეთრი სიმები,
ცა წვიმისაგან ჩამოწველილი
მახურავს თავზე, როგორც იმედი.

### ბაღი

თეთრი ბაღია ერთობ საამო,
აპრილი სუნთქავს გრილი ტუჩებით,
ძვირფასო ჩემო, მე ამ საღამოს
ულექსოდ ვეღარ გადავურჩები.
რა ვქნა, რომ ახლაც სულში ხმაურობს
გარდასულ დღეთა ტანჯვა იოლი,
აქ დადიოდა ლანდი პაოლოს,
ტიციანის და გალაკტიონის.
თეთრი ბაღია, ბაღი აპრილის,
ძალზე პატარა, სულ ერთი ციდა,
პოეზიისთვის სისხლი დაღვრილი
შხაპუნა წვიმად ჩამოდის ციდან.

### შემოდგომის ფრაგმენტი

ქეჩოზე მაწევს ხარკი და ღალა
და ყოველ დილას მოაქვს სიცილი,
ბავშვივით ვუმზერ შურსა და ღალატს
და სათნოებას ვეღარ ვიცილებ.
ისევ ფიქრი და ისევ ლოდინი
და მიძნელდება დარდის აკრეფა,
ფერმკრთალი ღამე ძველი მოტივით
თმაგაჩეჩილი მღერის სარკმელთან.
დაუხვეტია ნიავს ფოთლები,
აუწყვეტია ნავს მდინარიდან,
შენ ახლა ჩემთან ისევ მოხვედი,
ბავშვობის ჩემი სიმწუხარიდან.
ფერად სიზმრებით ავსებულ კალათს
კვლავ უბრუნდება უცხო მშვენება,
უჯრიდან ვიღებ უთეთრეს ბარათს
და მე არ ვიცი, რა მეშველება.

### ზოგჯერ

არ გაიოცო,
არის იღბალი...
არ ისმის ჩემთან
შენი ხსენება,
ძვიფასო ჩემო,
მე დავიღალე,
სიჩუმე მინდა
და მოსვენება.
ნუ გაიოცებ,
ნუ გაიოცებ,
გამიწყდა ძაფი
უკვე მოთმენის,
გემუდარები,
ჩემთვის ილოცე,
ღმერთს შეავედრე
ჩემი ცოდვები.
მე არ ვიხსენებ
ახლა არაფერს,
ვერც გავიხსენებ
ახლა ვერაფერს,
ორივე ხელით
ვხურავ დარაბებს,
რომ შავმა ფერმა
სძლიოს ყველა ფერს.
დღეს ასე იყოს,
ხვალ კი... ხვალისთვის
ხვალინდელი დღე
ჩემთვის იზრუნებს,
დამიბრუნდება,
ალბათ, ხალისიც
და გავაკეთებ,
რასაც ისურვებ.
ახლა კი... ახლა
ჩემთვის დამტოვე,
არ ისმის ჩემთან
შენი ხსენება,
სიჩუმე მინდა
და სიმარტოვე,
სიჩუმე მინდა
და მოსვენება.

## მოყვარულთა კლუბი

## გიორგი მენთეშაშვილი

### დუელი

ძველი დამბაჩა — გაწმენდილი და
მომართული,
რომ არ გიმტყუნოს...
ათი ნაბიჯი წინ და უკან უნდა იარო
ასე უაზროდ, ასე გიჟურად
დეკემბრის თოვლში...
და შეტრიალდე,
და შეუშვირო შენს წილ ტყვიას ბებერი
შუბლი,
ან ახალგაზრდა,
ეს იმაზეა — როდის აგირევს ცხოვრებას
ქალი...
და გაისვრიან,
ვიღაც გაისვრის, ან შენ ან ვიღაც...
და დაეცემით მოცელილი,
ან შენ ან ვიღაც...
აირევიან უწესრიგოდ შავი ხეები,
და შავი ფრთებიც უწესრიგოდ
დაგაცხრებიან
ან შენ ან იმას...
და ერთადერთი რაც წესრიგით
იმართებოდა
იყო ცხოვრება, შენი წილი, ან ვიღაცის,
ეს სულ ერთია...
და ცხოვრებაში შენც პირველად მოგინდა
რაღაც,
მოგინდა რაღაც უცნაური არეულობა,
მაგრამ დასრულდა,
გვიანია უკვე ოცნება...
და ერთადერთი რაც გეღირსა ამ
ოცნებიდან,
ესაა ლეშის უწესრიგო განაწილება...

### ეს მოხდა როცა

ეს მოხდა მაშინ,
როცა ჯერ კიდევ მზე იყო ღმერთი,
როცა ჯერ კიდევ ცეცხლს სცემდნენ თაყვანს...
ეს მოხდა ასე:
ვიღაცა თურმე შემოდგა მთაზე
და აიშვირა ხელები ცისკენ,
და მოითხოვდა რაღაცას მისგან...
და დააბრალეს,
თავისუფლებას ითხოვსო კაცი,
ღმერთის გარეშე ისურვაო ცხოვრება, თურმე...
და სასწაულიც თუ გინდა სწორედ,
ის კაცი თავად ყოფილა ღმერთი...

### ასე და შემდეგ

ყოველდღე საწოლს იმ იმედით
ვტოვებ ცარიელს,
რომ საღამოხანს სავსე სხეულს
მივიტან უკან...
გუშინაც, მახსოვს, დაწოლამდე
ვფიქრობდი მასზე.
ქუჩის გადმოღმა, სარკმლის აქეთ
სხეული დუღდა...
სადღაც, მიწაზე დავარდნილი
სინათლის ფსკერზე,
თავს გადამხდარი ამბებიდან
პატარა კადრი:
ნაცნობ ქუჩაზე, ნაცნობ ჩიხში
უცნობი სუნთქვა...
და ნაცნობ სახლში,
გახუნებულ სხეულებს შორის
ვხედავდი სახეს და განვლილი
წლებიდან ერთ-ერთს,
ნაკლებად მკრთალსო, რომ იტყვიან
ვწონიდი უტყვად...
მეგობრით სავსეს, ცოტაც ფული
ჯიბეში ალბათ...
და მაინც ურცხვად...
ის წამი რომ მერჩივნა მახსოვს...
და დღესაც, დილით, იმედი და
ასე და შემდეგ...
და მერე, ქუჩას ჩემებურად
მივდევდი მარტო...
და გზის გადაღმა, აგურებით
ნაშენებ კედელს,
მე ახლაც მახსოვს,
ღიმილი, რომ ღებავდა მწვანედ...
და სავსე სხეულს საწოლამდე
მივათრევ მძიმედ,
ცარიელ ჩვრებში გახვეული
სიმძიმეს ვიხსნი...
სხეული კვდება, როგორც ყოველ
ჟანგისფერ ღამეს,
და ისევ ფიქრი...

### ანარეკლი

გარეთ ვიღაცა ვიღაცას კოცნის და
შეშლილი წვეთები ამ შეშლილ
ამინდში მინებზე დარბიან...
ღრუბლებმა ბავშვივით ტირილი მორთეს და...
ცერებზე შემდგარი ბრბო ზეცას მიმწვდარა, ესენი თავს ხრიან...
მე წვიმას ვქურდავ და... თავდახრილს ცრემლები თვალებზე მადგება...
ტუჩებთან ტუჩები - ო! ისე ახლოა.. და თითქოს ეს კოცნა ხელიდან გამექცა...
არადა ვხედავ, რომ იმ ბიჭმა იმ გოგოს რაღაცა აჩუქა,
არადა ვხედავ, რომ იმ გოგომ კოცნისას თვალები დახუჭა...
შევყურებ სარკმელს და... უფალო, გადიდებ, ეს სახე მეცნობა,
დახუჭულ თვალებს და ამ გიშრის წამწამებს დაღლა რომ ეტყობათ,
სახესთან შევიგრძნობ...
შევყურებ სარკმელს და... დამცინი, უფალო? — ის ბიჭი, შეხედე!
ის ბიჭი, იმ გოგოს, წელზე რომ ეხვევა, მე არ ვარ? — შეხედე!
ნუთუ, ეს სარკმელი, სარკეა უბრალოდ, ორად რომ გამხლიჩა...
იქნებ მეც უბრალოდ ლანდი ვარ არსების, ლანდად რომ აღვიქვამ...
არ ვიცი, ეს სარკის რომელი მხარეა... და ის კი ნაღდია:
გარეთ ვიღაცა ვიღაცას კოცნის და...
შეშლილი წვეთები ამ შეშლილ ამინდში მინებზე დარბიან...

№ 20 (284)
20 – 26 მაისი 2015
ქართული სიტყვა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

**სკანდალური ექსკლუზივი**

# საიდუმლო მეთოდები, რომლებითაც სპეცსამსახურები ადამიანებს აზომბირებენ

**ის, რაზეც უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკი, უსაფრთხოების ექსპერტი კონსტანტინე ფორჩხიძე „ქართული სიტყვის“ ექსკლუზიური ინტერვიუების დღევანდელ, ასე ვთქვათ, გამოშვებაში ისაუბრებს, მხოლოდ სკანდალური კი არა, შოკისმომგვრელია. დიახ, ქართველი სპეცსამსახურელი იმ მეთოდებს შიფრავს, რითიც უშიშროება, როგორც კონკრეტული ადამიანის, ასევე, ადამიანთა ჯგუფის ზომბირებას ახდენს. ფორჩხიძის თქმით, ამ კუთხით სპეცსამსახურის ინტერესის ობიექტს მხოლოდ რიგითი მოქალაქეები კი არა, თავად სპეცსამსახურის თანამშრომლები, პოლიტიკოსები და საზოგადოებრივად აქტიური სხვა „ტიპებიც“ წარმოადგენენ. უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკი ბოლო დროს მომრავლებულ წვრილ-წვრილ პრორუსულ დაჯგუფებასაც სწორედ ზომბირების კონტექსტში განიხილავს და განმარტავს, რომ უშიშროებას მხოლოდ „ტვინის გამორეცხვა“ კი არა, ვთქვათ, მასობრივი შიშისა და ფსიქოზის შექმნაც ეხერხება... მაშ, ასე: „ქართული სიტყვა“ ყველაზე ტაბუირებულ თემას აშიშვლებს!**




**— ბატონო კოტე, „ევრაზიული კავშირი“ რას ნიშნავს?**

— „ევრაზიული კავშირი“ სახეშეცვლილი საბჭოთა კავშირი, ანუ ჩუბაისის ეკონომიკური იმპერიის ჩანასახია, რომელშიც მხოლოდ პოსტსაბჭოთა ქვეყნები კი არა, შეიძლება, ზოგიერთი სხვა სახელმწიფოც, მაგალითად, მონღოლეთი, ან ჩრდილოეთ კორეაც გაერთიანდეს. საერთოდ, სახელს მნიშვნელობა არ აქვს.

**— ცხადია, მაგრამ ობივატელმა შეიძლება იკითხოს, თუკი ევრაზიული კავშირიც, ევროკავშირის მსგავსად, ეკონომიკურ სიკეთეებს გვთავაზობს, მასში გაწევრიანებაზე უარი რატომ უნდა ვთქვათო? შესაძლოა, ზოგმა ისიც თქვას, რატომ არ შეიძლება, საქართველო ევროკავშირის წევრიც იყოს და ევრაზიული კავშირისაცო?**

— ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება რომელიმე სხვა კავშირში გაწევრიანებას არ გვიკრძალავს.

რაც შეეხება ევროკავშირსა და ევრაზიულ კავშირს შორის განსხვავებას, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ევროკავშირი იმპერიული ზრახვების მქონე სახელმწიფოთა გაერთიანება არაა. ევრაზიული კავშირი კი, რუსეთსა და მის იმპერიულ ზრახვებზეა დამყარებული.

**— ქართველი რუსეთუმეების თქმით, დასავლეთიც ჩვეულებრივი მოძალადეა, ეგაა ოღონდ, საქართველოს ანექსიას ეკონომიკით ახდენსო...**

— როგორ გეკადრებათ!

ევროკავშირს თავი რომ დავანებოთ, საქართველოს გადარჩენაში უდიდესი როლი თურქეთსა და აშშ-საც მიუძღვის. სამწუხაროდ, მეხსიერებასთან, როგორც ჩანს, პრობლემა გვაქვს, თორემ მე-20 საუკუნის 90-იან წლებში შიმშილისგან სწორედ ამ ქვეყნებმა გვიხსნეს და ამის არდანახვა უმადურობაა. მაშინ რუსეთი რატომ არ გვეხმარებოდა?.. საერთოდ, დასავლეთისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანის უფლებები და თავისუფლებაა. იქ საზოგადოება ჰომოფობიასა და სხვა დისკრიმინაციული განწყობებისგან თავისუფალია. სწორედ ესაა ამოსავალი წერტილი და დასავლეთი დახმარებას იმიტომ გვიწევს, რომ ქართველი ერი, პრაქტიკულად, ევროპული ცივილიზაციის აკვანია. სწორედ ამიტომ იღწვის ევროპა, რომ საქართველო ევროპული ღირებულებებისა დ ფასეულობების ქვეყანა გახდეს.

**— ისე, ბატონო კონსტანტინე, უცნაური ხალხი ვართ: მაგალითად, ჯალ-ალ-ედინს ან სხვა დამპყრობელს, რომელმაც ხელი ქართველთა სისხლში გაისვარა, მტრად მივიჩნევთ, რუსეთს კი, რომელმაც, შორს რომ არ წავიდეთ, 2008-ში გიორგი ანწუხელიძე წამებით მოგვიკლა, ვიღაცები ლამისაა, „ბაბაია“-ს ეძახიან...**

— „ენ-დი-აი“-ს გამოკითხვაში დაფიქსირებული ის 31 პროცენტი, რომელიც ევრაზიული კავშირის მომხრეა, ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს. ყოველ შემთხვევაში, არ მჯერა, რომ საქართველოს მოსახლეობის 31 პროცენტი ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების მომხრეა. ამასთან, „ენ-დი-აი“-ს კვლევა „აი-რა-ი“-ის კვლევისგან კარდინალურად განსხვავდება.

**— ამით რისი თქმა გინდათ?**

— „აი-რა-ი“-ის კვლევებზე „ნაცმოძრაობას“ ყოველთვის ნაკლები გავლენა ჰქონდა.

**— ვთქვათ, ასეა, მაგრამ „ნაცმოძრაობას“ რაში აწყობს, რომ ევრაზიული კავშირის მომხრეთა რიცხვი ხელოვნურად გაზარდოს?**

— დღეს „ნაცმოძრაობა“, პრაქტიკულად, თეთრი ყვავის როლშია და პროდასავლურ ოპოზიციურ სპექტრს მასთან კოალიციაში

**„დასავლეთისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანის უფლებები და თავისუფლებაა. იქ საზოგადოება ჰომოფობიასა და სხვა დისკრიმინაციული განწყობებისგან თავისუფალია. სწორედ ესაა ამოსავალი წერტილი და დასავლეთი დახმარებას იმიტომ გვიწევს, რომ ქართველი ერი, პრაქტიკულად, ევროპული ცივილიზაციის აკვანია. სწორედ ამიტომ იღწვის ევროპა, რომ საქართველო ევროპული ღირებულებებისა და ფასეულობების ქვეყანა გახდეს“.**

## უშიშროების პოლკოვნიკი გვაფრთხილებს

შესვლა არ აწყობს. „ნაციონალები“ ევრაზიული კავშირის მომხრეთა ხელოვნური გაზრდით ხაზს თავიანთ საჭიროებას უსვამენ.

**— შეიძლება, მაგრამ ამ პროცენტებს ხელზე პრორუსებიც იხვევენ და რა გამოდის — „ნაცებსა“ და რუსაპეტებს საერთო მიზანი აქვთ?**

— „ნაციონალებს“ მხოლოდ ერთი მიზანი აქვთ — ხელისუფლებაში დაბრუნება! საამისოდ კი, ერთადერთი გზა არსებობს — სახეშეცვლილი „ნაცმოძრაობა“ პროდასავლურ ოპოზიციურ ძალებთან ერთად კოალიციაში გაერთიანდეს.

**— მაშასადამე, „ენ-დი-აი“-ს კვლევა საგარეო მოხმარებისთვისაა, ანუ მიშას ხალხი ცდილობს, ცივილური მსოფლიო დაარწმუნოს, „ოცნება“ რუსეთისკენ მიილტვისო და ამით დღევანდელი ხელისუფლების მიმართ საერთაშორისო დამოკიდებულება შეცვალოს?**

— დიახ, ეს პოლიტიკური მესიჯია...

**— ჩვენში დარჩეს და, დასავლური ღირებულებების „ნაცებთან“ გაიგივება, ვფიქრობ, არ შეიძლება, რადგან ეს ღირებულებები ჩვენი წინაპრებისთვისაც მნიშვნელოვანი იყო, თუნდაც სულხან საბა გავიხსენოთ...**

— ეს სპეცსამსახურების დამსახურებაა!

**— სპეცსამსახური რაღა შუაშია?**

— მოგვიანებით აგიხსით, თუ როგორ ახერხებს სპეცსამსახური ადამიანების გონებიდან რაღაცების წაშლას. გახსოვთ, მიშა ამბობდა ხოლმე, საქართველოში პირველადო, ჩვენ ვართ ერთადერთი ძალაო და ასე შემდეგ...

ვანო, უცნაურად არ მოგეჩვენათ, რომ ევრაზიული განწყობის მომხრეთა და პრორუსულ პარტიათა რეიტინგებს შორის განსხვავება თითქმის 20 პროცენტია?

**— ანუ?**

— ჩვენს პოლიტიკურ სპექტრში პრორუსული განწყობის სულ ორი პარტიაა, თუმცა მათ მიერვე ჩატარებული კვლევების მიხედვითვე, ამ ორივე ძალის საერთო რეიტინგი 10 პროცენტია. ამ ფონზე, საკითხავია, საზოგადოების 31 პროცენტი ევრაზიული განწყობის როგორაა?

**— იზიარებთ მოსაზრებას, რომ გამოკითხულებმა ევრაზიული კავშირის მნიშვნელობა არ იცოდნენ?**

— არც ეს უნდა გამოვრიცხოთ. შეკითხვაში ევრაზიული კავშირი კი არა, რუსეთი რომ ყოფილიყო ნახსენები, შედეგი მკვეთრად განსხვავებული იქნებოდა.

**— სხვათა შორის, მგონი, ხათუნა ლაგაზიძემ იხუმრა, კარგი იქნება, ანალოგიური გამოკითხვა პარლამენტშიც ჩატარდეს და ვნახოთ, რა შედეგი „დაიდებაო“...**

— აბსოლუტურად სწორი შენიშვნაა...

**— კოტე ბატონო, ზუსტად მაშინ, როცა „ენ-დი-აი“-ს კვლევებზე ამხელა აჟიოტაჟი ატყდა, თავდაცვის მინისტრმა, თინა ხიდაშელმა თავის ერთ-ერთ მოადგილედ მკვეთრად დასავლური ორიენტაციის ანა დოლიძე დანიშნა. „მესიჯების ენაზე“ ეს რამეს ნიშნავს?**

— რა თქმა უნდა...

ვანო, იმის თქმა არ მინდა, რომ ყველაფერი ეს ჩვენი ინტერვიუების ციკლმა მოიტანა, მაგრამ ეს ერთ-ერთი აგური იყო, რომელიც აბსოლუტურად სწორად „დავდეთ“ და ყველას დავანახეთ, რომ თავდაცვის სამინისტროში, რომელიც ერთ-ერთი ძირითადი ძალოვანი უწყებაა, ყველაფერი კარგად არ იყო — იქ რუსულმა სპეცსამსახურებმა საკმაოდ ღრმად შეაღწიეს, რაც შეუმჩნეველი არც ევროპას დარჩა და არც — აშშ-ს. საერთოდ, დასავლეთს, გადამწყვეტ მომენტში, ღია მოქმედება სჩვევია. ახლაც ასე მოიქცა და რუსეთს დაანახა, საქართველო ჩემი გავლენის სფეროაო, თუმცა პირდაპირ ვამბობ: ყველაფერი ამით არ დამთავრებულა და მაქვს ინფორმაცია, რომ რუსული სპეცსამსახურები ცდილობენ, თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო სტრუქტურა თავიანთი ძველი კავშირებით უზრუნველყონ. ამიტომ, თინა ხიდაშელს მივმართავ: იმ კადრებთან მიმართებაში, რომლებსაც მრჩევლებად შესთავაზებენ, ფრთხილად იყოს. ასევე, ფრთხილად უნდა იყოს მისი ახლადდანიშნული მოადგილე, დათო ებრალიძე, რომელიც შესყიდვებს კურირებს და რომელსაც სალომე ზურაბიშვილის პარტიიდან ვიცნობ და ვიცი, რომ განათლებული, ერუდირებული და პროდასავლური პიროვნებაა.

თავდაცვის მინისტრის მოადგილედ ანა დოლიძის დანიშვნა ბევრმა, მათ შორის, „ნაცმოძრაობამაც“ ძალიან ცუდად აღიქვა. დავით დარჩიაშვილმა განაცხადა, შესაბამისი ბეგრაუნდი არ აქვსო. ერთი, შესაბამისი ბეგრაუნდი და გამოცდილება რომელ „ნაციონალს“ ჰქონდა, როცა ხელისუფლებაში მოვიდნენ?! თანამდებობას ბეგრაუდი კი არა, ელემენტარული აზროვნება და ორიენტირების დაცვა სჭირდება, რაც ანა დოლიძეს არ გაუჭირდება.

**— ანა დოლიძე, როგორც ვიცი, აშშ-ში მუშაობდა. თქვენი აზრით, თავდაცვის მინისტრის მოადგილეობას რატომ დასთანხმდა?**

— ეს, ალბათ, მისი და თინა ხიდაშელის ერთობლივი შეხედულებებითაა განპირობებული. ცუდი არაა, რომ ქალბატონი თინა სანდო კადრებს იზიდავს. ეს გუნდურობის პრინციპია, ანუ კადრები, რომლებიც ხიდაშელმა მოიყვანა, ვიწრო პოლიტიკურ თამაშებს არ დაიწყებენ. ძალოვან სტრუქტურაში ასეთი თამაშები სრულ კრახს ნიშნავს. რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან ასოცირებული არც ანა დოლიძეა და არც — დათო ებრალიძე...

მოკლედ, რუსული და სხვა არაკეთილმოსურნე ქვეყნის სპეცსამსახურები ჯარით კი არა, შესყიდვებით დაინტერესდებიან — მაგალითად, ქართული მხარე როგორ ტექნიკას ყიდულობს. თუკი კონტრდაზვერვითი საქმიანობით უზრუნველყოფილი არ იქ-

გაგრძელება მე- 9 გვ.

## სკანდალური ექსკლუზივი

მე-8 გვერდიდან

ნება, თავდაცვის სამინისტროს ე.წ. სამოქალაქო სექტორში უცხო სპეცსამსახურებს შეღწევა არ გაუჭირდებათ. სამწუხაროდ, დღეს კონტრდაზვერვა, პრაქტიკულად, არ არსებობს. ვიდრე ყველაფერი ეს დალაგდება, თავდაცვის მინისტრმა და მისმა გარემოცვამ კონტრსადაზვერვო ფუნქციაც უნდა შეასრულონ და ინფორმაციის დაცვა უზრუნველყონ.

**— რა ამის პასუხია და, ამ დღეებში თურქეთმა, პრაქტიკულად, ღიად განაცხადა, რომ საქართველო ნატო-ს წევრი აუცილებლად უნდა გახდეს...**

— მთელი რუსული პრესა აჭრელებულია, რომ რუსეთი აზერბაიჯანზე ზეწოლას ახდენს, რათა ოფიციალურმა ბაქომ ევრაზიულ კავშირში შესასვლელად ნაბიჯი გადადგას. თუკი ასე მოხდა, ეს გეოპოლიტიკური კრახი იქნება.

**— რატომ?**

— თუ აზერბაიჯანი ევრაზიულ კავშირში შევიდა, დღის წესრიგში ჩვენთვის ენერგომატარებლების ფასების გადახედვის საკითხი დადგება. ამ ფონზე, საინტერესოა, „სოკარ“-მა საქართველოში 700-მილიონიანი პროექტი სწორედ ამიტომ ხომ არ ჩაშალა?

თურქეთმა ძალიან სერიოზული განცხადება ნატო-ს გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე გააკეთა, თან არ დაგავიწყდეთ, თურქეთი ნატო-ს, ასე ვთქვათ, დისტრიბუტორი ქვეყნებიდან ყველაზე მძლავრი სამხედრო ძალაა. მოკლედ, თურქეთის განცხადება ნატო-სთვის მესიჯია.

**— ეგებ, ოფიციალურმა ანკარამ ნატო-ს განწყობა გაახმოვანა?**

— შესაძლოა, ასეცაა... თუ დასავლეთში ვინმე ფიქრობს, რომ საქართველო ნატო-ს წევრი ვერ გახდება, ამ განწყობას, შესაძლოა, ის მოჰყვეს, რომ დასავლეთმა კავკასიის რეგიონზე გავლენა დაკარგოს და აქ ფეხი რუსეთმა მოიკიდოს, რაც ცუდი, პირველ რიგში, დასავლეთისთვის იქნება.

ისე, თურქეთს დასავლეთზე, მათ შორის, გერმანიაზე სერიოზული გავლენა აქვს...

**— ბატონო კოტე, გერმანიაზე გამახსენდა: რუსაპეტები გვმოძღვრავენ, აი, ანგელა მერკელი რუსეთს როგორ მოწიწებით ელაპარაკება და კრემლს ოკუპანტი ჩვენც არ უნდა ვეძახოთო...**

— რუსეთი ოკუპანტია და თუ არ ვიტყვით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა რუსეთის მიერაა დარღვეულიო, გამოვა, რომ მომავალზე, ანუ ტერიტორიების დაბრუნებაზე არ ვფიქრობთ! მართალია, რუსეთმა სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობა აღიარა, მაგრამ ეს აღიარება მსოფლიოს არაღიარების პოლიტიკამ გადაწონა. ბუნებრივია, რუსეთი აღიარებას უკან არ წაიღებს, მაგრამ კრემლისთვის მთავარი სავაჭრო თემა მაინც ტერიტორიული მთლიანობაა. ქართველი ხალხი კი არ ფიქრობს, რომ ეს საკითხი უკანა პლანზე უნდა გადავიდეს. ჩვენი განვითარებისა და თუნდაც ეკონომიკური პრობლემების მოგვარების გზა სწორედ ტერიტორიულ მთლიანობაზე გადის! დიახ, საქართველო განვითარებას მხოლოდ გამთლიანების მერე დაიწყებს!

**— ბატონო კონსტანტინე, წეღან „მეხსიერების წაშლა“ ახსენეთ. ეს პუტინის „ჰიბრიდული ომის“ შემადგენელი ნაწილია?**

— ასე პირდაპირ ვერ ვიტყვი, თუმცა სპეცსამსახურები ტექნოტრონულ მეთოდებს აქტიურად იყენებენ.

**— ეს რას ნიშნავს?**

— თანამედროვე მეცნიერებამ საფუძველი ადამიანთა ქცევის, აზროვნების, შეგრძნებებისა და მოქმედებების სპეციალური ტექნოტრონული მეთოდებით გამოყენებას დაუდო, ანუ ლაპარაკია შესაბამის აპარატურასა თუ ჰიპნოზზე. სპეცსამსახურები მხოლოდ ადამიანზე კი არა, ადამიანთა ჯგუფებზეც, მაგალითად, პოლიტიკურ პარტიებზე ზემოქმედებენ. სხვათა შორის, ამ კატეგორიას შეიძლება, ის პატარ-პატარა პრორუსული დაჯგუფებები მივაკუთვნოთ, რომლებიც ბოლო დროს გამოჩნდნენ და ერთი მიმართულებით „უბერავენ“.

**— ადამიანებზე ზემოქმედების ტექნოტრონულ მეთოდებს მხოლოდ რუსული სპეცსამსახურები იყენებენ?**

— არა...

**„მაქვს ინფორმაცია, რომ რუსული სპეცსამსახურები ცდილობენ, თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო სტრუქტურა თავიანთი ძველი კავშირებით უზრუნველყონ. ამიტომ, თინა ხიდაშელს მივმართავ: იმ კადრებთან მიმართებაში, რომლებსაც მრჩევლებად შესთავაზებენ, ფრთხილად იყოს. ასევე, ფრთხილად უნდა იყოს მისი ახლადდანიშნული მოადგილე, დათო ებრალიძე, რომელიც შესყიდვებს კურირებს და რომელსაც სალომე ზურაბიშვილის პარტიიდან ვიცნობ და ვიცი, რომ განათლებული, ერუდირებული და პროდასავლური პიროვნებაა“.**

**— მაინც, ვერ გავიგე, ეს ტექნოტრონული მეთოდები რას ნიშნავს...**

— რას და, — აუდიო-ვიზუალურ გამაღიზიანებლებით, ელექტროშოკით, ულტრა და ინფრაბგერითი, ზემაღალი და ტორსული, ასევე, დარტყმითი ტალღებით ზემოქმედებას.

**— კოტე ბატონო, მოდით, თითოეული ეს მეთოდი გაშიფრეთ...**

— კი ბატონო, მერე კი, ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, გეტყვით, საქმე რასთან გვაქვს.

**— მოკლედ, გისმენთ...**

— ზემოქმედების აუდიო-ვიზუალური მეთოდი ისეთი ძალიან სუსტი გამაღიზიანებლების გამოყენებას გულისხმობს, რომლებიც ცნობიერად არ აღიქმებიან, თუმცა ადამიანის ქვეცნობიერში ღრმად აღწევენ.

**— ანუ, „მეხუთე კადრის“ ეფექტი?**

— (იღიმება) გცოდნიათ... აუდიო-ვიზუალური გამაღიზიანებელი ერთგვარი შთაგონების ხერხია, რომელიც ცნობიერების მხრიდან კრიტიკას არ ექვემდებარება, ანუ ცნობიერება ვერ აღიქვამს, მაგრამ ამგვარი ზემოქმედებით აზროვნებისა და ქცევის საჭირო მიმართულებით სათანადო ორიენტირებაა შესაძლებელი...

**— ბარემ, მაგალითებიც დაასახელეთ...**

— დაგისახელებთ... აუდიო-ვიზუალურ ზემოქმედებას ყველაზე უფრო კეთილი ადამიანები ექვემდებარებიან. ამ მიმართულებით გამოიყენება, როგორც სმენითი (აუდიო), ასევე, ვიზუალური (მხედველობითი) არხები. ამიტომ არსებობს ორი მეთოდი — აუდიო და ვიდეოსტიმულაცია.

აუდიოსტიმულაციის დროს, წინასწარ შერჩეულ ადამიანზე ან ადამიანთა ჯგუფებზე ზემოქმედებისთვის, მისთვის საყვარელი მელოდიის დისკზე ჩაწერისას, სათანადო შენელებული ტექსტის, ე.წ. შთაგონების ტექსტის „დატანა“ ხდება.

**— ეს ტექსტი დაკვირვების ობიექტს ესმის?**

— არა. ტექსტის სიჩქარე 10-15-ჯერაა შენელებული და, მელოდიასთან ერთად, ობიექტს მხოლოდ ყრუ ხმაური ესმის, რაც შეიძლება, ცუდი ჩანაწერით ახსნას. ამ ხერხით ადამიანის ქვეცნობიერში „შთაგონებითი ინფორმაციის“ შეტანა ხდება. სხვათა შორის, ამ მეთოდს „გე-რე-უ“-ს ე.წ. ბალაშიხას სკოლაში აქტიურად იყენებენ, სადაც პროფესიონალ მკვლელებს ამზადებენ.

**— ესე იგი, აუდიო ზემოქმედებით ადამიანს შეიძლება, მკვლელობა აიძულონ?**

— დიახ...

**— „შთაგონების ტექსტით“ ადამიანის დაზომბირებას რა დრო სჭირდება?**

— როცა სპეცსამსახური ობიექტის შესწავლას იწყებს, მის შესახებ ყველა დეტალს არკვევს, იმასაც კი, თუ როგორი მუსიკა უყვარს და დღეში რამდენჯერ უსმენს.

**— ეს გავიგე, მაგრამ ბატონო კოტე, 21-ე საუკუნეში საყვარელი მელოდიის მოსმენა ინტერნეტითაც შეიძლება — უამრავი ე.წ. მუსიკალური საიტია. შესაბამისად, სპეცსამსახური ჩემს საყვარელ მელოდიას როგორ „დამიშიფრავს“?**

— ვანო, დაკვირვების ობიექტი არ ხართ, თან ამ მეთოდს, როგორც წესი, მაშინ იყენებენ, როცა ვთქვათ, რომელიმე პოლიტიკოსი, ან საზოგადოებისთვის ცნობილი სხვა რომელიმე პერსონა სადმე სასწავლებლად მიდის. მისი ორიენტირების შეცვლა სწორედ ამ დროს ხდება.

**„რუსეთი ოკუპანტია და თუ არ ვიტყვით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა რუსეთის მიერაა დარღვეულიო, გამოვა, რომ მომავალზე, ანუ ტერიტორიების დაბრუნებაზე არ ვფიქრობთ! მართალია, რუსეთმა სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობა აღიარა, მაგრამ ეს აღიარება მსოფლიოს არაღიარების პოლიტიკამ გადაწონა. ბუნებრივია, რუსეთი აღიარებას უკან არ წაიღებს, მაგრამ კრემლისთვის მთავარი სავაჭრო თემა მაინც ტერიტორიული მთლიანობაა. ქართველი ხალხი კი არ ფიქრობს, რომ ეს საკითხი უკანა პლანზე უნდა გადავიდეს. ჩვენი განვითარებისა და თუნდაც ეკონომიკური პრობლემების მოგვარების გზა სწორედ ტერიტორიულ მთლიანობაზე გადის! დიახ, საქართველო განვითარებას მხოლოდ გამთლიანების მერე დაიწყებს!“**



**— ორიენტირის შეცვლა მაინც, როგორ ხდება?**

— მაცადეთ...

რაც შეეხება ვიდეოსტიმულაციას, ამ შემთხვევაში, ვიდეოში ძალიან მცირე ზომის (0,004 წამი) სურათი, ან შთაგონების ტექსტია ჩართული, რომელიც ობიექტის შემდგომ ორიენტაციას განაპირობებს. ეს „დაფარული“ სურათი ან ტექსტი ეკრანზე ყოველ 5 წამში ერთხელ ჩნდება. ამ მეთოდის სუსტი მხარე ისაა, რომ ვიდეოჩანაწერი შეიძლება, „გაიჭედოს“ და ამ დროს ობიექტმა ეკრანზე ე.წ. შთაგონებითი გამოსახულება დაინახოს. ამიტომ, ამ მეთოდს იშვიათად იყენებენ, თუმცა მალე საქართველო ციფრულ მაუწყებლობაზე გადადის და ამ მეთოდის გამოყენება გაადვილდება.

**— „შთაგონების ტექსტი“ შეიძლება, რეკლამაში იყოს ჩადებული?**

— კი, შეიძლება...

**— სხვათა შორის, თავის დროზე, როცა „რუსთავი 2“-ში უშიშროება შევიდა, კულუარებში ითქვა, ერთ-ერთ რეკლამაში კოდირებული ინფორმაცია იყო ჩადებულიო...**

— არ ვიცი, მაგრამ ვიმეორებ, რომ ყველა ეს მეთოდი ადამიანების ზომბირებისთვის გამოიყენება... სწორედ აქედან გამომდინარე, ოპერატიულ-ტექნიკური სამსახური ძალიან მნიშვნელოვანი სტრუქტურაა, რომლის უშიშროებიდან გამოყოფით (ამ თემაზე წინა ინტერვიუში ვრცლად ვისაუბრეთ) და შესაბამისი ზედამხედველობის გარეშე დარჩენით, ქვეყანაში ბევრი ახალი პრობლემა გაჩნდება! ზემოქმედების ერთ-ერთი, ასე ვთქვათ, მეთოდი ჩვეულებრივი ელექტროშოკია, რომელიც, ალბათ, ნებისმიერ პოლიციელს აქვს და რომელმაც ადამიანს შეიძლება, სერიოზული ზიანი მიაყენოს.

**— ფსიქოლოგიური?**

— არა მარტო...

ელექტროშოკის ცოცხალ ორგანიზმზე ზემოქმედება სპეცსამსახურებს სრულფასოვნად აქვთ შესწავლილი და აქტიურად გამოიყენება მეხსიერების მოსაშლელად, დაკითხვის ან წამებისას ტკივილის გამოსაწვევად, ობიექტის სანდო გაუვნებელყოფისთვის.

**— ელექტროშოკის გამოყენებისას ადამიანი რამდენი ხნით ითიშება?**

— აგიხსნით, თუმცა მანამდე გეტყვით, რომ ობიექტზე, თუ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უცნობია, ელექტროშოკის გამოყენება, შეიძლება, ფატალურად დამთავრდეს.

**— როცა ელექტროშოკს მომიტინგეთა წინააღმდეგ იყენებენ, ჯანმრთელობის ცნობას ხომ არ მოსთხოვენ?!**

— რა თქმა უნდა, არ მოსთხოვენ. ამიტომ, მიტინგების დარბევისას ელქტროშოკის გამოყენება არ შეიძლება. ეს სპეციფიკური, ასე ვთქვათ, იარაღია.

სხვადასხვა სიმძლავრის ელექტროშოკი არსებობს. ელექტრო დენი, რომელიც 10 მიკროამპერზე ნაკლებია, ძალიან სუსტად ითვლება. 20 მ/ა სუნთქვის მოშლას იწვევს, 70 მ/ა საგრძნობლად აფერხებს სუნთქვას, 100 მ/ა გამოყენებას გულის ფიბრილაცია მოჰყვება, რომელიც შეიძლება, სიკვდილით დამთავრდეს. 200 მიკროამპერი კი, მხოლოდ დამწვრობას კი არ ტოვებს, არამედ, სუნთქვასაც აჩერებს.

კიდევ ერთ საინტერესო დეტალს გეტყვით: ადამიანის დატენიანებული კანის წინააღმდეგობა 1-დან 5 კილო ომამდეა, სხეულის შიდა, ანუ ქსოვილების წინააღმდეგობა კი, — 100-დან 500 კილო ომამდე. დენი, რომლის ძაბვაც 240 ვოლტზე მაღალია, კანს ხლეჩს.

**— ბატონო კოტე, თქვენი ინფორმაციით, თუნდაც იმ ყბადაღებულ 9 წელში, სპეცსამსახურებს ელექტროშოკი გამოუყენებიათ?**

— ალბათ... თუ ელექტროშოკის გამოყენებისას ენერგია 3 ჯოულს აღწევს, მაშინ გულის გაჩერებაა მოსალოდნელი. 130 ვოლტის ელექტროიმპულსი კი, თავის ტვინის ნეირონებს შლის.

გაგრძელება მე- 10 გვ.

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართული სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

## სკანდალური ექსკლუზივი

**– ყველაფერი ეს ფიზიკური ზეწოლაა და ზომბირება რა შუაშია?**

– მეხსიერების მოშლისა და ადამიანის ბუნებრივი ინსტინქტების ჩასაკლავად 50 ათასი ვოლტი საკმარისია, მაგრამ ამ დროს დენის სიმძლავრე მილიამპერს არ უნდა აღემატებოდეს, ელექტროიმპულსის ენერგია კი, 0,3 ჯოულს არ უნდა სცილდებოდეს.

ელექტროშოკის გამოყენებისას მნიშვნელოვანია, რომ ზემოქმედება ღია კანზე არ მოხდეს. ამასთან, მნიშვნელობა აქვს ზემოქმედების ხანგრძლივობასაც, რომელიც 5 წამზე მეტი არ უნდა იყოს.

ვანო, ახლა ადამიანზე ზემოქმედების სხვა მეთოდებსაც გაგაცნობთ და ჩვენს 9-წლიან წარსულთან პარალელს თავად გაავლებთ.

ზემოქმედების ერთ-ერთი ხერხი ულტრაბგერითი ზემოქმედებაა და ამ შემთხვევაში, გამოიყენება, როგორც სითბური, ასევე, მექანიკური – დრეკადი რხევების, ასე ვთქვათ, მეთოდი, რომლის სიხშირეც 100 კილოჰერცს აღემატება. ასეთი რხევების მცირე ინტენსივობაც კი, აზროვნების სტრუქტურასა და ნერვიულ სისტემაზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს, ასევე, იწვევს თავის ტკივილს, თავბრუსხვევას, მხედველობის გაუარესებას, სუნთქვის შეკვრას, კონვულსიას. ზოგჯერ კი, ცნობიერების სრული გათიშვაცაა მოსალოდნელი. ისე, ულტრაბგერითი ზემოქმედებისთვის ხელსაწყოს დამზადება რთული ნამდვილად არაა.

კარგად ფოკუსირებული ულტრაბგერითი ზემოქმედებით ადამიანის ტვინიდან არასასურველი მოგონებებისა თუ ინფორმაციის სრული წაშლაა შესაძლებელი, ოღონდ საამისოდ აუცილებელია სპეციალური სამედიცინო აპარატურა და ამასთან, სათანადოდ მომზადებული პერსონალი.

**– ეს მეთოდი საქართველოში გამოიყენება?**

– არა. ამ მეთოდებს სპეცსამსახურები კონკრეტულ ადამიანებზე იყენებენ.

**– ანუ, უცხოეთის სპეცსამსახურებმა შესაძლებელია, რომ მსგავსი ზეგავლენა ჩვენს რომელიმე პოლიტიკურ ლიდერზე მოახდინეს?**

– ასეთი ადამიანები მხოლოდ პოლიტიკაში კი არა, შეიძლება, სამოქალაქო სექტორშიც არიან და მათ, ასე ვთქვათ, ამოცნობასაც გასწავლით, თუმცა მანამდე ზემოქმედების შემდეგ, ანუ ინფრაბგერით მეთოდზე ვისაუბროთ.

ეს მეთოდი ადამიანზე ზემოქმედების თვალსაზრისით ძალიან ეფექტურია.

**– რატომ?**

– 16 ჰერცამდე დრეკადი რხევების მექანიკური რეზონანსის ამოქმედება ყურით, როგორც წესი, არ აღიქმება. ყველაზე საშიში 6/9 ჰერცის ე.წ. შუალედური რეზონანსული რხევებია. მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ეფექტი კი, 7 ჰერცით მიიღწევა – ამ დროს რეზონანსული რხევა ადამიანის ბუნებრივი რხევების სიხშირეს ემთხვევა და ნებისმიერი გონებრივი საქმიანობა შეუძლებელი ხდება, ადამიანს ეწყება თავის აუტანელი ტკივილი – ჰგონია, სადაცაა, თავი გაუსკდება.

ინფრაბგერითი ზემოქმედების სამი დონე არსებობს – დაბალი, საშუალო და მძლავრი ინტენსივობის.

დაბალი ინტენსივობის ბგერა იწვევს ღებინებას და ადამიანს მუდმივად ესმის ზუზუნი. ასევე, მოსალოდნელია მხედველობის გაუარესება. გარდა ამისა, ადამიანს შიშის მძაფრი განცდა ეუფლება...

საშუალო ინტენსივობის ბგერა კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოშლასა და ტვინის დაზიანებას იწვევს. ასევე, შეიძლება, გამოიწვიოს პარალიზება, საერთო სისუსტე, ან სიბრმავე.

რაც შეეხება მძლავრი ინტენსივობის ბგერას, მას შესწევს უნარი, დააზიანოს სისხლძარღვთა სისტემა, გული და, ზოგ შემთხვევაში, გულის მუშაობაც გააჩეროს.

უსიამოვნო შეგრძნებები 120 დეციბალიდან იწყება, 130 დეციბალის ბგერა კი, ძლიერ ტრავმას იწვევს.

12 ჰერცამდე ინფრასიხშირეები, 85-110 დეციბალის ძალის ბგერის შემთხვევაში, იწვევენ ზღვის ავადმყოფობის შეგრძნებას და თავბრუსხვევას. 15-18 ჰერცის რხევებს კი, აფორიაქება და პანიკური შიშის განცდა მოჰყვება.

სპეცსამსახურთა არსენალში ასევეა ზემაღალი სიხშირის არაიონიზირებული, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, ელექტრომაგნიტური, მიკროტალღური გამოსხივება, რომელსაც 1-დან 35-ჰერცამდე სიხშირე აქვს და ადამიანის ბიოდენებზე მოქმედებს.

გახსოვთ, 2007 წლის 7 ნოემბერს, „პიკაპებზე“ სპეციალური მოწყობილობა რომ იდგა და ზუზუნებდა?

**– დიახ, მახსოვს...**

– ელექტრომაგნიტური, მიკროტალღური გამოსხივების ზემოქმედებით, ადამიანი რეალობის შეგრძნებას კარგავს, ტონუსი იწევს, ან ეცემა...

**– მაშასადამე, 7 ნოემბერს მომიტინგეებმა რეალობის შეგრძნება ხელოვნურად დაკარგეს და „რუსთაველზე“ მოწყობილი სასაკლაოს მიუხედავად, რიყეზე ამიტომ წავიდნენ?**

– ამ სახის ზემოქმედება, ასევე, იწვევს დაღლილობის, თავის ტკივილისა და ღებინების შეგრძნებას. ამასთან, შესაძლებელია, ადამიანის ინსტინქტური სფეროს სრული სტერილიზაცია, გულის დაზიანება, ტვინისა და ცენტრალური ნერვიული სისტემის ფუნქციის მოშლა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ ელექტრომაგნიტური, მიკროტალღური გამოსხივებით ადამიანის თავის ტვინში ინფორმაციის შეტანაა შესაძლებელი.

რაც შეეხება, ვანო, თქვენს შეკითხვას, ჩემი აზრით, 7 ნოემბერს ზემაღალი სიხშირის გამოსხივება გამოიყენეს, რასაც ხალხის უფრო მეტი აღგზნება მოჰყვა. სხვათა შორის, ამ იარაღის გამოყენება კანონით აკრძალულია.

**– რატომღაც მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ფრაზა გამახსენდა: „ზა როდინუ, ზა სტალინა!“**

– (იღიმება) დიახ, მაშინ ზემოქმედების მეთოდი არაყი იყო...

**– ისე, ყველაფერ ამაში სიახლე არაფერია, რადგან ადამიანზე ზემოქმედების მსგავს თემებს ცნობილი ფსიქოლოგების ნაშრომებშიც წავაწყდებით...**

– ზემაღალი არაიონიზირებული გამოსხივებისას ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო, ასე ვთქვათ, ნივთებიც გამოიყენება, მაგალითად, სატელეფონო და რადიოგაყვანილობის სადენები, კანალიზაციისა და გათბობის მილები, ტელევიზორი, ტელეფონი, ანტისახანძრო სიგნალიზაცია. საამისოდ აპარატურის დამზადება კუსტარულადაც შეიძლება.

ასეთი ტიპის გამოსხივებამ, თუკი ის კონკრეტული ობიექტის, ან ობიექტებისკენაა კონცენტრირებული და მიმართული, შეიძლება, გამოიწვიოს ფეხების კანკალი და დაბუჟება, თავის აუტანელი ტკივილი, გამონადენი ცხვირიდან, შეუჩერებელი ხველა, ცემინება და გულის არითმია. თუკი ადამიანი გამოსხივების ზონას მოშორდება, ეს სიმპტომები გაქრება...

გახსოვთ, 7 ნოემბერს ხალხს ხელები დაუბუჟდა და ღებინების შეგრძნება გაუჩნდა. მართალია, ამას ცრემლსადენ გაზს აბრალებდნენ, მაგრამ ჩემი ღრმა რწმენით, „ნაციონალებმა“ სწორედ ზებგერითი გამაღიზიანებელი გამოიყენეს, თუმცა ამაზე არავინ არაფერს ამბობს. არადა, გამოძიებას, მინიმუმ, უნდა ეკითხა, რა ზუზუნებდა. ისე, საინტერესოა, ეს იარაღი სადაა. აი, სწორედ ესაა საკუთარი ხალხის წინაშე ჩადენილი დანაშაული – მერაბიშვილმა და სხვებმა საკუთარი ხალხის დასაზომბირებლად ზებგერითი გამაღიზიანებელი გამოიყენეს!

**– ბატონო კოტე, ცოტა უცნაურია – სპეცსამსახურელი სპეცსამსახურის საიდუმლოს ფარდას ხდის. რა გრჯით?**

– ეს საიდუმლო არაა... უბრალოდ, ლეგალიზებულ მეთოდებზე ვლაპარაკობ.

**– კარგად გამიგეთ და, თქვენი საუბარიც ზომბირების ერთგვარი ფორმაა!**

– (იცინის) იცით, რა? – მასის მართვა ძალიან რთულია და საამისოდ სერიოზულად მომზადებული ადამიანები არიან საჭირონი. ასეთი მომზადებული მიხეილ სააკაშვილია.

**– ანუ, ზომბირებული?**

– დიახ. ის ხომ საბჭოთა სპეცსამსახურის, კერძოდ, დაზვერვის სკოლაში სწავლობდა და მისი ზომბირება შეიძლება, ისე მო-

> **„გახსოვთ, 7 ნოემბერს ხალხს ხელები დაუბუჟდა და ღებინების შეგრძნება გაუჩნდა. მართალია, ამას ცრემლსადენ გაზს აბრალებდნენ, მაგრამ ჩემი ღრმა რწმენით, „ნაციონალებმა“ სწორედ ზებგერითი გამაღიზიანებელი გამოიყენეს, თუმცა ამაზე არავინ არაფერს ამბობს. არადა, გამოძიებას, მინიმუმ, უნდა ეკითხა, რა ზუზუნებდა. ისე, საინტერესოა, ეს იარაღი სადაა. აი, სწორედ ესაა საკუთარი ხალხის წინაშე ჩადენილი დანაშაული – მერაბიშვილმა და სხვებმა საკუთარი ხალხის დასაზომბირებლად ზებგერითი გამაღიზიანებელი გამოიყენეს!“**

გაგრძელება მე-11 გვ.



ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
20 – 26 მაისი 2015 № 20 (284)

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

## სკანდალური ექსკლუზივი

ახდინეს, რომ თვითონ აზრზეც არ იყო.

**– სააკაშვილის გარდა, კიდევ რომელი ქართველი პოლიტიკოსია დაზომბირებული?**

– მაგალითად, გიგა ბოკერია.

**– „ოცნებიდან“?**

– ყველა, ვისაც ოდესმე სპეცსამსახურთან რამე შეხება ჰქონია, არსებობს ალბათობა, რომ მეტ-ნაკლებად დაზომბირებული იყოს!

**– ის, რომ „ოცნების“ ლიდერები ყველა შეკითხვის საპასუხოდ 9 წელს გაიძახიან, მასების დაზომბირების ერთ-ერთი ნიშანია?**

– რა თქმა უნდა...

ყოველივე ზემოთქმულის გარდა, დაზომბირების კიდევ ერთი მეთოდი არსებობს, რომელსაც ტორსული გამოსხივება ჰქვია და რომელიც განსაკუთრებული ფიზიკური გამოსხივების ტიპია. ის ბუნებრივ გარემოში არ ეკრანირდება, თუმცა ფსიქოფიზიკურ აქტივობაზე ზემოქმედებს – ამცირებს, ან ზრდის. ამ მეთოდით ობიექტის ქვეცნობიერში „აუცილებელი პროგრამის“ კოდირებაა შესაძლებელი.

**– ბატონო კოტე, მსოფლიოსა და საქართველოში სიმსივნისა თუ სხვა უკურნებელი სენის, პრაქტიკულად, ეპიდემიაა. შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ ამის მიზეზი ხალხზე მასობრივი ზემოქმედებაა?**

– გამორიცხული არაფერია. საერთოდ, მასობრივი ზომბირებისთვის ტელევიზიები გამოიყენება. დააკვირდით: ტელევიზიით მხოლოდ უარყოფითი ინფორმაცია გადაიცემა. ეს სპეცსამსახურების ხელწერაა – მასაში აგრესიამ უნდა გაიღვიძოს. ყველა რევოლუცია სწორედ ასე მზადდება.

**– მედია არაფერს იგონებს და იმას აშუქებს, რაც ხდება...**

– კი ბატონო...

ტორსული გამოსხივების აპარატურა მკაცრად გასაიდუმლოებულია, რადგან ადამიანთა დაზომბირებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი იარაღია...

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებების დარღვევად მხოლოდ სატელეფონო მოსმენა და თვალთვალი არ უნდა ჩავთვალოთ. გარდა ამისა, უამრავი რაღაც არსებობს, რომლითაც ადამიანის უფლება ილახება. რა, ფსიქოლოგიური ზეწოლა უფლების დარღვევა არაა?

საქართველოში ყველა ზომბირებაზე ლაპარაკობს, მაგრამ წარმოდგენა ცოტას აქვს, თუ რა არის სინამდვილეში ზომბირება. დაზომბირება ადამიანის ქვეცნობიერის ფორსირებული დამუშავებაა, რის შედეგადაც ადამიანი საკუთარ წარსულთან კონტაქტს კარგავს და „ხაზეინების“ ბრძანებების გაუთვითცნობიერებულ და უპირობო შესრულებაზე პროგრამირდება.

ცნობილია ზომბირების ე.წ. მკაცრი და რბილი ფორმები.

**– დაზომბირების მკაცრ და რბილ მეთოდებს შორის რა განსხვავებაა?**

– მკაცრი მეთოდით ზომბირებულის გამორჩევა ექსტერიერითა და მოქმედების მანერითაა შესაძლებელი, ანუ ამ დროს ემოცია ადამიანის მიერ წარმოთქმულ ფრაზებს არ ემთხვევა. ამასთან, მისი თვალის თეთრი ნაწილი არაჩვეულებრივად თეთრია, ხმა მოშვებული აქვს, არასწორად მეტყველებს. არ შეუძლია კონცენტრირება. აღენიშნება შენელებული მოქმედება და მეხსიერებაში ჩავარდნები. ახასიათებს უნებლიე, სტერეოტიპული ქცევები. გაიხსენეთ: მიხეილ სააკაშვილი საჯარო გამოსვლებისას ხელს ხან ცხვირზე ისვამდა, ხან – თავზე...

რაც შეეხება ზომბირების „რბილ ფორმას“, ასეთი მეთოდით დაზომბირებული ჩვეულებრივი ადამიანისგან ნაკლებად განსხვავდება. საერთოდ, „რბილი ფორმის“ კატეგორიით პროფესიული ზომბირება ძალიან რთულია და ობიექტის საფუძვლიან ფსიქოლოგიურ შესწავლას მოითხოვს. ამიტომ, საამისოდ სპეციალური სამედიცინო და კომპიუტერული აპარატურაც გამოიყენება. ასევე, საქმეში ცნობილი ჰიპნოზიორებიც მონაწილეობენ.

**– ბატონო კოტე, წელანაც გითხარით და კიდევ გიმეორებთ: ამ თემებზე საჯარო ლაპარაკი, ვფიქრობ, არ შეიძლება!**

– რატომ?

**– იმიტომ, რომ ვინმემ შეიძლება, ბოროტად გამოიყენოს!**

– რა გინდათ, გავჩუმდე?!

**– არა, მაგრამ რა გამოძრავებთ?**

– პროვოკაციული შეკითხვაა!..

**– ჩვენს სპეცსამსახურებს ჰიპნოზიორები ჰყავთ?**

– არა... ამ შემთხვევაში, რუსულ და სხვა ქვეყნების სპეცსამსახურებზე ვლაპარაკობ. ყველაფერ ამას იმიტომ ვყვები, რომ ჩვენი სპეცსამსახურების თანამშრომლებმა, რომლებსაც ურთიერთობა უცხოელ კოლეგებთან უხდებათ, გაითვალისწინონ, რომ შეიძლება, ზომბირების ქვეშ მოხვდნენ! თუ არ იცი, რომ ასეთი მეთოდები არსებობს, ვერც საკუთარ თავს დაიცავ და, მით უმეტეს, ვერც ქვეყანას. ქვეყნის ღალატი და შპიონაჟი სწორედ ზემოაღწერილი „ფსიქოლოგიური შეღწევის“ შედეგია.

**– ესე იგი, ყველაფერ ამის მიზანი „დავერბოვკებაა“?**

– აბა, რა?! ამ კუთხით ყველაზე მოწყვლადი სეგმენტი ის ადამიანები არიან, რომლებიც უცხოეთში ხშირად დადიან. ამ თემაზე იმიტომ ვლაპარაკობ, რომ ოპერატიულ-ტექნიკურ სამსახურს ვინმემ ჰარი-ჰარალეზე არ შეხედოს!

რაც შეეხება „მკაცრი ზომბირებისას“ ობიექტის ფსიქოლოგიური დაპროგრამების მეთოდებს, პირველ რიგში, ობიექტს იმ გარემოს აცილებენ, სადაც მანამდე ცხოვრობდა და სათანადო კონტაქტები ჰქონდა. მას ცხოვრების რეჟიმს სრულად უცვლიან.

**– როგორ?**

– ვთქვათ, დაიჭერენ და გამოკეტავენ.

**– მკაცრი ზომბირების დროს, სპეცსამსახური ღიად მოქმედებს?**

– დიახ და ამ მეთოდს ჩვენებიც იყენებენ ხოლმე...

დღის რეჟიმის შეცვლის პარალელურად, ობიექტის გარემოცვის მიმართ უნდობლობის პროვოცირება ხდება, ანუ ობიექტზე ჭორს ავრცელებენ, ემუქრებიან, რაღაცებს ატყუებენ, დასცინიან, შეურაცხყოფას აყენებენ და იმის უგულვებელყოფას ცდილობენ, რაც ობიექტისთვის ყველაზე ძვირფასია. ყურადღება მიაქციეთ: ობიექტს კვების რეჟიმსაც უცვლიან – სპეციალურ დიეტაზე „სვამენ“ – ქიმიო და ბიოდანამატებით გაჯერებულ საკვებს აძლევენ.

ყველაფერ ამის ზემოქმედებით, ადამიანი აბსოლუტურად ინდიფერენტული ხდება და შთაგონებას ექვემდებარება. ამ დროს მის ქვეცნობიერში საჭირო ინფორმაცია შეაქვთ და ცხოვრებას დაპროგრამებით იწყებს.

**– ნებისმიერი ადამიანის დაზომბირება შეიძლება?**

– რასაკვირველია.

„მკაცრი ზომბირების“ მეორე მეთოდი სამსაფეხურიანია, აქედან პირველი „ტვინის გამორეცხვა“, ანუ მეხსიერების გაწმენდა და ჩამოყალიბებული ორინტირების დანგრევაა. „ტვინგამორეცხილ“ ადამიანს არც წარსული აინტერესებს და არც – მომავალი. ახლა, გადახედეთ, ქართულ პოლიტიკაში რამდენი „ტვინგამორეცხილია“.

მეორე ეტაპი „სიტყვიერი კოდირებაა“, როცა ფსიქიკაზე ზემოქმედება გარკვეული იდეებითა და წარმოდგენებით ხდება.

მესამე საფეხური კი, „დამაგრებაა“, რაც შთაგონებული იდეებისა და წარმოდგენების კონტროლს გულისხმობს.

**– დაზომბირებული ადამიანი თავის მდგომარეობას ვერ აცნობიერებს?**

– ვერა...

ზემოხსენებული ფაზების ტექნიკა კი, ასეთია: ობიექტი ჰიპნოზით, ან ძლიერი საძილე საშუალებებით ღრმა ძილში (დაახლოებით, 15 დღე) შეჰყავთ, დღეში ორჯერ, 150 ვატის ფარგლებში, მის ელექტრონულ იმპულსირებას ახდენენ. 10-15 დღის განმავლობაში, შესაბამის შთაგონების ტექსტს ასმენინებენ. ყოველი სეანსის შემდეგ, იმისთვის, რომ შთაგონების ტექსტი რელიეფურად იყოს აღქმული, ობიექტზე ისევ ელექტროშოკით ზემოქმედებენ...

**– დაზომბირებულ ადამიანს სპეცსამსახური რაში იყენებს?**

– მაგალითად, უშვებს პოლიტიკურ ასპარეზზე...

**– მაშასადამე, ყველა პოლიტიკოსს გონივრული ეჭვით უნდა ვუყურებდეთ?**

– ეს თქვენი გადასაწყვეტია...

**ესაუბრა ვანო პავლიაშვილი**

**(თემის გაგრძელება იქნება)**



**„რუსული და სხვა არაკეთილმოსურნე ქვეყნის სპეცსამსახური ჯარით კი არა, შესყიდვებით დაინტერესდებიან – მაგალითად, ქართული მხარე როგორ ტექნიკას ყიდულობს. თუკი კონტრდაზვერვითი საქმიანობით უზრუნველყოფილი არ იქნება, თავდაცვის სამინისტროს ე.წ. სამოქალაქო სექტორში უცხო სპეცსამსახურებს შეღწევა არ გაუჭირდებათ. სამწუხაროდ, დღეს კონტრდაზვერვა, პრაქტიკულად, არ არსებობს. ვიდრე ყველაფერი ეს დალაგდება, თავდაცვის მინისტრმა და მისმა გარემოცვამ კონტრსადაზვერვო ფუნქციაც უნდა შეასრულონ და ინფორმაციის დაცვა უზრუნველყონ“.**



ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა
„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართული სიტყვავ, ქართული სიტყვავ!“

**განათლება**

# „პრემიერმა მითხრა, მალე თამარ სანიკიძე მინისტრი აღარ იქნებაო...“

**„პროფესიული განათლების პროფკავშირების თავმჯდომარის, დენის დავითაშვილის განცხადებით, განათლების მინისტრი თამარ სანიკიძე განათლების სფეროს ძირს უთხრის და ამიტომ პრემიერს მის გადაყენებას ურჩევს:**

— საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ განათლებისა და მეცნიერების სისტემა, დაწყებული სკოლამდელი აღზრდით დამთავრებული პროფესიული განათლებით, ღრმა კრიზისშია. ყველაფერი ეს კი ქვეყნის ეკონომიკაზეა მიბმული. აქედან გამომდინარე, ზოგიერთმა ცნობილმა და პროფესიონალმა მიიღო გადაწყვეტილება, შეექმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელშიც შევიდნენ რამაზ ხუროძე, ომარ ქუცნაშვილი, მიხეილ ანდღულაძე, ვალერი ასათიანი, გივი აბდუშელიშვილი, ავთანდილ არაბული, როინ მეტრეველი, ავთანდილ სილაგაძე, ლადო პაპავა, ჰამლეტ გეგია, მანუჩარ მაჩაიძე, თქვენი მონა-მორჩილი და ა.შ. ზემოთ დასახელებულმა საპატივცემულო პიროვნებებმა იმსჯელეს და გადაწყვიტეს, დაფუძნებულიყო განათლებასა და მეცნიერებაში არსებული პრობლემების გადაჭრის წარმომადგენლობითი საბჭო, რომელმაც შვიდი სხვადასხვა მიმართულებით უნდა იმუშაოს. ესაა სკოლამდელი, ზოგადი, უმაღლესი, პროფესიული განათლება, მეცნიერება, შრომა, დასაქმება და ეკონომიკა. საინიციატივო ჯგუფმა, საორგანიზაციო საქმიანობის შემდეგ, ჩაატარა დამფუძნებელი შეკრება და შექმნა განათლების სფეროში არსებული წარმომადგენლობითი საბჭო.

**— ბატონო დენის, ამ საბჭოს გეგმა როგორია?**

— წლების განმავლობაში, საუბარია, რომ განათლების და მეცნიერების დარგში რეფორმა უნდა განხორციელდეს. ამიტომ, ამ საბჭომ გადაწყვიტა, ჩვენს მიერ შემუშავებული კონცეფცია ხელისუფლებას და პარლამენტს წარვუდგინოთ, რათა რეფორმის განხორციელება დავაჩქაროთ. დღემდე არაა პროფესიული განათლების შესახებ კანონი შექმნილი. მიუხედავად ამისა, სანიკიძის მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი ურცხვად აცხადებს, რომ უკვე შემუშავებული აქვთ პროექტი პროფესიული განათლების შესახებ, რომელიც პარლამენტში დასამტკიცებლად შეაქვთ.

**— იქნებ, მართლაც, შეაქვთ?**

— ეს ტყუილია, რადგან ამ კანონზე მომუშავე ჯგუფის წევრი ვარ. ჩვენი მოთხოვნით, შარშან, 31 მარტს, შეიქმნა კომისია, მაგრამ აღნიშნული კანონპროექტი თვალითაც არ უნახავს. ეს კომისია თავად ნატრიაშვილმა შექმნა, მაგრამ მის 27 წევრს აბუჩად იგდებს — არ აცნობს „პროფესიული განათლების შესახებ კანონში“ შესატანი ცვლილებების ტექსტს. როდემდე შეიძლება, მინისტრის პირველი მოადგილე იყოს?! არც მინისტრია მოსაწონი!

**— ყველაფერ ამის შესახებ პრემიერი საქმის კურსშია?**

— დიახ, უკვე იცის, რომ შეიქმნა საზოგადოებრივი საბჭო, რომელიც უკმაყოფილოა სანიკიძის მუშაობით. ამიტომ, პრემიერმა პასუხი უნდა მოსთხოვოს და ჩემთან ნათქვამი სიტყვა დაადასტუროს.

**— რა ნათქვამი უნდა დაადასტუროს?**

— ღარიბაშვილმა შემომჩივლა, თამარ სანიკიძემ ორჯერ უკვე მომატყუაო. დიახ, სანიკიძე ყველას ატყუებს!

სანიკიძემ მაშინაც მოიტყუა, როცა თქვა, ორი წლის წინ, ორი პროფესიული კოლეჯი — წინამძღვრიანთკარისა (მცხეთის რაიონი) და თბილისის სახელოვნებო კოლეჯი დაფუძნდაო. დღეს ერთიც არ ფუნქციონირებს. მეტიც, წერეთლის №134-ში არსებული შენობა, ავარიულობის გამო, ინგრევა. არ არსებობს აღდგენითი და სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი.

ანალოგიურ მდგომარეობაშია წინამძღვრიანთკარის პროფესიული კოლეჯიც — არ დაწყებულა სარეაბილიტაციო სამუშაოები და სასწავლო პროცესი შეიძლება, 2016 წლის სექტემბრიდან დაიწყოს.

სანიკიძემ პარლამენტარებს დაუმალა, რომ მეორე წელია, ორივე ხსენებულ კოლეჯში 6-6 შტატზე აყვანილ მუშაკებს აფინანსებს. გაურკვეველია, ისინი რა მოვალეობებს ასრულებენ მაშინ, როცა იქ სასწავლო პროცესი ჯერჯერობით არ მიმდინარეობს.



**„სანიკიძე გიორგი მარგველაშვილის „ჯიპა“-ში ბუღალტრად მუშაობდა, მერე, მარგველაშვილმა დააწინაურა და თავის მოადგილედ დანიშნა, თუმცა სანიკიძისთვის მეგობრობა და ერთგულება უცხო ხილი აღმოჩნდა — თავი ღარიბაშვილის გუნდის წევრად მოიაზრა და მარგველაშვილს ზურგი აქცია. საბოლოო ჯამში, სანიკიძე, ჩემი ღრმა რწმენით, თავისი ტყუილებით დაბნეულია და ამ თანამდებობაზე მისი დატოვება ყოვლად დაუშვებელია, რადგან პირველ მოადგილესთან, ნატრიაშვილთან ერთად, პროფესიული განათლების სისტემას ანგრევს!“**

## ცნობილი ადამიანები განათლების მინისტრს ბიუჯეტის განიავებასა და ტყუილში ამხელენ!



სანიკიძემ პასუხი უნდა აგოს საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივად დახარჯვისა და განიავების გამოც. იცრუა, როცა აღნიშნა, უახლოეს პერიოდში 25 ახალი პროფესიული კოლეჯის დაფუძნებაა დაგეგმილიო.

2013 წლის 19 აპრილიდან, მინისტრს 26 პროფესიული კოლეჯის დაფუძნების მოთხოვნით, სპეციალური კომისიის რეკომენდაცია უდევს, მაგრამ მესამე წელია, სანიკიძე 26 რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს, გამგებელს, საკრებულოს თავმჯდომარესა და დამსაქმებლებს ატყუებს, კოლეჯები აუცილებლად დაფუძნდებაო და ეს მაშინ, როცა ამ 26 პროფესიული კოლეჯის დაფუძნების კონკრეტული გეგმა არ აქვს!

**„ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი თავიდანვე უპატრონოდ იყო მიგდებული. სანიკიძემ, ცხადია, იცოდა, მეცნიერ-მუშაკებს რომ კაპიკებზე ამუშავებდა, მაგრამ ანაზღაურება არ მოუმატა. განაცხადა, საცავების მოწესრიგება და პროგრამების დაფინანსება დავიწყეთო, მაგრამ ამ ქალს ქართული კულტურა და ისტორია საერთოდ არ აინტერესებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, განათლების სისტემას ასე არ გაანადგურებდა. იმედია, მის თვალთმაქცობას წერტილი მალე დაესმება და განათლების მინისტრად შესაფერის კანდიდატურას მოძებნიან“.**

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 2013-2014 წლებში, სამინისტრო პროფესიულ კოლეჯებში სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხებს ვერ ითვისებდა. კრიტიკას ვერ უძლებს სანიკიძის განცხადება, რომ სამინისტრომ ევროკავშირის მოთხოვნები შეასრულა და მასთან შეთანხმებით შეიმუშავა „პროფესიული განათლების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებები. ეს კანონპროექტი ამჟამად საქართველოს პარლამენტში იხილება, თუმცა სამინისტრომ ყველაფრისმომცველი კანონპროექტის ნაცვლად, პარლამენტში ისეთი დოკუმენტი შეიტანა, რომელსაც თავმოყვარე ადამიანები კანონპროექტად ვერ შევაფასებთ. ეს საჭირო კანონპროექტიდან ნაწილობრივ და კონტექსტიდან ამოგლეჯილი ჩანაწერია, რომელიც იურიდიული თვალსაზრისითაც გაუმართავია, არ შეესაბამება დღეს მოქმედი კანონის ძირითად ჩანაწერებს — შემოტანილია ახალი ტერმინები მაშინ, როცა კანონში შესაბამისი განმარტებები არაა. ამასთან, ეს დოკუმენტი კოლეჯებსა და, ექსპერტებთან შეთანხმებული არაა.

**— ბატონო დენის, თუკი ყველაფერი, რასაც ამბობთ, პრემიერმა ახალ მინისტრთა კაბინეტში თამარ სანიკიძე რატომღა წარადგინა?**

— პრემიერმა ისიც მითხრა, მალე სანიკიძე მინისტრი აღარ იქნებაო, მაგრამ ახლა მის გადასაყენებლად შესაბამისი დრო არ იყო, უახლოეს მომავალში, იმედია, მოვალეობას შეუწყვეტენ. ალბათ, გახსოვთ, გიორგი მარგველაშვილის „ჯიპა“-ში ბუღალტრად მუშაობდა, მერე, მარგველაშვილმა დააწინაურა და თავის მოადგილედ დანიშნა, თუმცა სანიკიძისთვის მეგობრობა და ერთგულება უცხო ხილი აღმოჩნდა — თავი ღარიბაშვილის გუნდის წევრად მოიაზრა და მარგველაშვილს ზურგი აქცია. საბოლოო ჯამში, სანიკიძე, ჩემი ღრმა რწმენით, თავისი ტყუილებით დაბნეულია და ამ თანამდებობაზე მისი დატოვება ყოვლად დაუშვებელია, რადგან პირველ მოადგილესთან, ნატრიაშვილთან ერთად, პროფესიული განათლების სისტემას ანგრევს!

**— ბატონო დენის, პრემიერს რას სთხოვთ?**

— „პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“, სხვა მრავალ საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან ერთად, ქვეყნის პრემიერ-მინისტრისგან, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილისაგან მოითხოვს, ღრმად ჩახედოს სანიკიძის საქმიანობას, შეასრულოს თავისი დანაპირები და უახლოეს პერიოდში დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლოს!

„პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“ თითოეულ ფაქტზე, რასაკვირველია, პასუხისმგებელია და საჭიროების შემთხვევაში, ქვეყნის პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტს ყველა საჭირო მტკიცებულებას წარუდგენს!

**— ბოლოს, ბატონო დენის, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრზე გკითხავთ...**

— ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი თავიდანვე უპატრონოდ იყო მიგდებული. სანიკიძემ, ცხადია, იცოდა, მეცნიერ-მუშაკებს რომ კაპიკებზე ამუშავებდა, მაგრამ ანაზღაურება არ მოუმატა. განაცხადა, საცავების მოწესრიგება და პროგრამების დაფინანსება დავიწყეთო, მაგრამ ამ ქალს ქართული კულტურა და ისტორია საერთოდ არ აინტერესებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, განათლების სისტემას ასე არ გაანადგურებდა. იმედია, მის თვალთმაქცობას წერტილი მალე დაესმება და განათლების მინისტრად შესაფერის კანდიდატურას მოძებნიან.

ესაუბრა ნათია ლებანიძე

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

ქართული სიტყვა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!"

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

20 - 26 მაისი 2015 | № 20 (284)



სამართალი

# პოლიციამ გარდაცვლილი ჟურნალისტის, თეა ასათიანის ძმას საქმე შეუთითხნა?!

**2014 წლის 19 აგვისტოს, მოქალაქე კახაბერ ასათიანი დააკავეს და ბრალად სისხლის სამართლის 260-ე მუხლი წაუყენეს, რაც დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვას გულისხმობს და 7-14 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. კახა ასათიანის ადვოკატის, მაგდა კოტრიკაძის თქმით, სასამართლო დავა თითქმის წელია, იმის გამო მიმდინარეობს, რომ ბრალდების მხარე სუსტათაა წარმოდგენილი. შეგახსენებთ: ბლადებული კახა ასათიანი ჩვენი კოლეგის, აწ გარდაცვლილი ჟურნალისტის, თეა ასათიანის ძმაა. კახა პოლიციის განყოფილებაში სწორედ მაშინ წაიყვანეს, როცა მისი მძიმე სენით დაავადებული და სიცოცხლის უკანასკნელ საათებს ითვლიდა. „ქართული სიტყვა" კახა ასათიანის ადვოკატს, მაგდა კოტრიკაძეს ესაუბრა.**

**— ქალბატონო მაგდა, როგორც ამბობთ, თქვენი დაცვის ქვეშ მყოფს პოლიციის თანამშრომელმა „სუბოტექსი" ჩაუდო. ამას რის საფუძველზე ასკვნით?**

— მოდით, ყველაფერი ქრონოლოგიურად გავიხსენოთ: ვიდრე დაპატიმრება მოხდებოდა, კახა ასათიანი, მეგობართან ერთად, გლდანის საშაურმედან გამოვიდა. ორი პირი მიუახლოვდა და თავი გლდანის პოლიციის მეორე განყოფილების თანამშრომლად წარუდგინა. შენთან საქმე გვაქვსო, განუცხადეს. კახა მათ მოთხოვნას დაემორჩილა და უპრობლემოდ გაჰყვა — მანქანაში, სადაც ხელბორკილები დაადეს, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ჩაჯდა. მეგობარმა გოჩა მუკბანიანმა, რომელიც კახას ახლდა, ერთ-ერთ პოლიციელს ჰკითხა, სად მიგყავთ, ადვოკატი დასჭირდება თუ არა და მის ოჯახს შევატყობინოო? მათ მიაძახეს, ჩაჯექი მანქანაში და უკან გამოგვყევიო. გოჩამ ნახა, თუ როგორ გადმოიყვანეს კახა გლდანის პოლიციის მეორე განყოფილებაში და როგორ შევიდნენ შენობაში.

**— როცა განყოფილებაში მიიყვანეს, რა უთხრეს, რის საფუძველზე გაკავებთო?**

— დაკავების მიზეზი არ ჰქონდათ. ამიტომ, ერთ-ერთი პოლიციელი, ზურა დათუაშვილი ცდილობს, ჯინსის შარვლის უკანა ჯიბეში „სუბოტექსი" ჩაუდოს, თუმცა კახა ამას ხვდება და ეუბნება, „ნაციონალების" დრო არ გეგონოთ და არაფერი შეგეშალოთო. შესაბამისად, მათი მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა.

როცა კახა საპყრობილეში გადაიყვანეს, წყალსაც კი არ სვამდა — ფრთხილობდა, რადგან მოსალოდნელი იყო, ნარკოტიკული საშუალება წყალში გაერიათ და ამით თავიანთი მიზნისთვის მიეღწიათ.

დაკავების შემდეგ, კახა შეჰყავთ პოლიციის უფროსის კაბინეტში, თავად განყოფილების უფროსი იქ არ იყო. მოგვიანებით, მისი მოადგილე, ტუხაშვილი მოდის და ჩხრეკას ესწრება. კახა ჯიბიდან საფულეს თავისი ხელით იღებს და მაგიდაზე დებს. შემდეგ, უტარდება ზედაპირული ჩხრეკა. ამ დროსაც ვერ ხერხდება ნარკოტიკის ჩადება და აღმოჩენა, თუმცა ეს ზურა დათუაშვილს ხელს არ უშლის, „ნივთმტკიცება", რომელიც ვითომდა კახას ჯიბეში აღმოაჩინა, პირდაპირ აჩვენოს.

ყველამ, ვინც კახას იცნობს, კარგად იცის, რომ ნარკოტიკულ საშუალებებთან შეხება არასოდეს ჰქონია, მაგრამ შეთითხნილი ბრალდების საფუძველზე, დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვის გამო მაინც დააკავეს.

**— ასათიანსა და პოლიციის თანამშრომლებს შორის უთანხმოება მანამდეც ხომ არ არსებობდა?**

— ყველაფრის მიუხედავად, კახა გირაოთი გამოუშვეს. მისი გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობა დავაყენეთ, რადგან ოჯახში მძიმე მდგომარეობა ჰქონდა — მისი დის, ჟურნალისტ თეა ასათიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა დღითი-დღე უარესდებოდა. ამის მერე, ადვოკატები უფრო გავაქტიურდით — ამ უსამართლო ქმედების გახმაურება გვინდოდა და ამიტომ საჩივარი პროკურატურაში შევიტანეთ... როგორც სჩანს, პოლიციელებს ეს არ ესიამოვნათ და გლდანის მეორე განყოფილების თანამშრომლები შეეცადნენ, კახა პროვოკაციაზე წამოეგოთ.

**— რას გულისხმობთ?**

— საცხოვრებელ კორპუსთან პერიოდულად დარაჯობდნენ. ერთ დღეს კი, ერთი მათგანი, ტუხაშვილი მანქანიდან გადმოვიდა და კახას უთხრა, შენ, ბიჭო, ისევ გარეთ ხარ, რატომ არ დაგიჭირესო?! ასეთი ქმედებები გვაძლევს საფუძვლიან ეჭვს, ვივარაუდოთ, რომ ამ ადამიანებს კახა ასათიანის დაკავების ინტერესი ჰქონდათ.

**— რატომ?**

— ეს გამოძიებამ უნდა დაადგინოს.

**— როგორც ვიცი, საქმეში ბევრი უზუსტობაა...**

— დიახ, ასეთი ფაქტი ბევრია დ ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. უმთავრესზე მოგახსენებთ: როცა ასათიანი დაიჭირეს, ოქმში ჩაიწერა, რომ მისი აყვანა ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა, მერე გადათქვეს და ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია საშაურმეთი ჩაანაცვლეს. თუ კახას ნარკოტიკი, მართლაც, ჰქონდა, რატომ ადგილზევე არ გაჩხრიკეს? იქ ბევრი ხალხი იყო და განყოფილებაში გადაყვანა ვარჩიეთო, თავი იმართლეს. გეკითხებით, როდის იყო, პოლიცია სპეცოპერაციას, ან ჩხრეკას ხალხის ხათრით არ ატარებდა? ბუნებრივია, არავის არაფერი გამოუძიებია. გამოძიების დაწყების მოთხოვნით, პროკურატურაში საჩივარი შევიტანეთ, მაგრამ გამოძიება ისევ გლდანის მეორე განყოფილებას დაევალა. შეგახსენებთ: ეს ის ადამიანები არიან, ვინც კახა ასათიანის წინააღმდეგ შეგნებულად მოქმედებდნენ.

**— დაკავების შემდეგ, კახას ნარკოლოგიური შემოწმება ჩაუტარდა?**

— ცხადია, ჩაუტარდა და ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედება არ აღმოაჩნდა. საგულისხმოა, რომ კახა ასათიანის დაკავება კონკრეტული პირის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე მოხდა, რაც მიღრმავებს ეჭვს, რომ საქმე შეიძლება, პირად ანგარიშსწორებასთან გვაქვს: პოლიციელ მელაძეს ვიღაცამ ინფორმაცია მიაწოდა, რომ ასათიანი ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა, ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად მიღებული პასუხებით კი, მისი ბრალდება გაბათილდა. პროკურატურამ სასამართლოს წინაშე ის მოწმეები წარადგინა, რომლებიც კახაბერ ასათიანის დაკავებაში მონაწილეობდნენ. დღეის მდგომარეობით, პროკურატურამ მოწმეთა დაკითხვა ამოწურა.

ასევე, მინდა ყურადღება გაამახვილოთ ძალიან მნიშვნელოვან ფაქტზე: ვიდრე ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლებდა, მოსამართლე არევაძემ საქმის პროკურორს მიმართა, თუ რატომ არ იყო საქმის გამოძიება დაწყებული. პროკურატურის წარმომადგენელმა საქმის გამოძიების არდაწყება იმით განმარტა, რომ ამ კონკრეტულ სიტუაციაში დანაშაულის ნიშნები, თურმე, არ იკვეთება.

**— როგორც ვიცი, შემდეგი სასამართლო პროცესი 25 მაისსაა ჩანიშნული...**

— დიახ, მაგრამ სავარაუდოდ, კიდევ გადაიდება. პროცესი აქამდეც რამდენჯერმე გადადეს, რადგან ბრალდების მხარე მომზადებული არ იყო, რომ კახა ასათიანზე ბევრი სიცრუე ელაპარაკა. ვიმედოვნებ, მოსამართლე სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს, რადგან ჩვენს მიერ წარდგენილი ყველა მტკიცებულება კარგად შესწავლილი, არგუმენტირებულია და საბოლოო განაჩენის მიღებაში დადებით როლს ნამდვილად ითამაშებს.

აქვე, მინდა, ერთი ფაქტიც გავიხსენო: ერთ-ერთ სასამართლო სხდომაზე მოსული იყო ვანის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი პაატა ლეჟავა, რომელმაც განაცხადა, რომ კახა ნარკოტიკულ საშუალებას ცხოვრებაში არ გაკარებია. არც რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრია და არც — ცნობადი სახე, ამიტომ ხალხს მოუწოდა, რომ ამ უსამართლობის წინააღმდეგ ხმა აემაღლებინა. აუცილებელია, შესწავლილ იქნეს ზურა დათუაშვილის, ტუხაშვილისა და მათი თანმხლები პირების ქმედებები, დაიკითხოს გლდანის მეორე განყოფილების უფროსის მოადგილე და ყველა ის პირი, ვინც კახა ასათიანის დაკავებაში მონაწილეობდა.

**— ქალბატონო მაგდა, ბევრს არ სჯერა, რომ ნარკოტიკების ჩადება ახალი ხელისუფლების დროსაც ხდება...**

— სამწუხაროდ, პოლიციაში ძველი კადრები — „ნაციონალების" დროს მომუშავე ჩინოვნიკები ისევ არიან და ისინი დანერგილი მეთოდის გამოყენებას აგრძელებენ. პოლიციაში განუკითხაობა კვლავ ხდება და ძალიან ცუდია, თუ ეს მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა არ იცის. თუ იცის და ჩუმადაა, კიდევ უარესი. „ნაციონალები" ხელისუფლებიდან იმიტომ გავუშვით, რომ სამართლიანობა დაგვემკვიდრებინა. თუკი საქმეები ისევ მათ მიერ შემუშავებული მეთოდებით უნდა შეითითხნოს, ხალხი ამას აღარ მოითმენს. გარეთ გამოვალთ და აქციებს მოვაწყობთ!

**ესაუბრა ნათია ლებანიძე**

სამართალი




## ზაქარია ქუცნაშვილი პრემიების აღებაზე შეზღუდვის დაკანონებას ითხოვს

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ზაქარია ქუცნაშვილი მაღალი თანამდებობის პირებისთვის, მიმდინარე საბიუჯეტო წლის განმავლობაში, პრემიების აღების უფლების შეზღუდვას მოითხოვს.**

**მისი თქმით, დეპუტატ დიმიტრი ხუნდაძის მიერ რამდენიმე დღის წინ გამოთქმულ მოსაზრებას საკანონმდებლო ინიციატივის სახე უნდა მიეცეს.**

**„მინდა, ამ კვირაში ეს მოსაზრება ვაქციო საკანონმდებლო ინიციატივად, რითაც შევეცდებით, ჩვენი მოქალაქეების ხარჯების გაზრდის კვალობაზე, შევამციროთ ჩინოვნიკების შემოსავლები. ლარის დევალვაციამ გაზარდა ჩვენი მოქალაქეების ხარჯები. ადექვატური და შესაბამისი იქნება, თუ შევამცირებთ ჩინოვნიკების შემოსავლებს", — განმარტა ზაქარია ქუცნაშვილმა.**

**მისივე ინფორმაციით, საკმაოდ ფართო იქნება იმ პირთა წრე, ვისაც უნდა შეეხოს პრემიების აღების უფლების შეზღუდვა. მათი ვინაობის წინასწარ დაანონსებისგან დეპუტატი თავს იკავებს, თუმცა აცხადებს, რომ მის სიაში დაბალი რანგის საჯარო მოხელეები არ შევლენ.**

**ზაქარია ქუცნაშვილი დარწმუნებულია, რომ მის ინიციატივას კოლეგები მხარს დაუჭერენ, რადგან პარლამენტმა თვითონ შექმნა პრემიაზე უარის თქმის მაგალითი და ამ შემთხვევაში, მორალური უფლება აქვს, სხვა მაღალი თანამდებობის პირებს მოსთხოვოს ანალოგიურ რეჟიმში ჩაიყენონ თავი.**

**ზაქარია ქუცნაშვილი აცხადებს, რომ პრემია, ასევე, არ აუღია პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილსაც.**

„ჯი-ეიჩ-ენ"-ი

## ზურაბ ადეიშვილი: „მე ვიყავი ახალი ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი!"

**საქართველოს იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა, ბრალდებულმა ზურაბ ადეიშვილმა უკრაინულ მედიას ინტერვიუ მისცა და განაცხადა, რომ სწორედ ის არის ახალი ხელისუფლების პირველი მსხვერპლი.**

**„ახალმა ხელისუფლებამ თავისი პოლიტიკური ოპონენტების დევნის გზა აირჩია. მე ვიყავი ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი, ჩემს წინააღმდეგ აღძრეს სისხლის სამართლის საქმე. სასამართლო პროცესი ჩემს გარეშე მიმდინარეობს ორ წელზე მეტია, გადაწყვეტილება კი ამ დრომდე არ არის მიღებული.**

**ფორმალურად მე მადანაშაულებდნენ იმაში, რომ პატიმრების უფლებები ირღვეოდა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ პენიტენციური სისტემა საქართველოში იუსტიციის სამინისტროს არ ექვემდებარება, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი.**

**ეს დაიწყო 2012 წლის გლდანის ციხის ირგვლივ აგორებული სკანდალის დროს. ჩვენ მაშინ ხელისუფლებაში ვიყავით და ციხეებში წამების ორგანიზატორები დავაკავეთ, მაგრამ ახალმა ხელისუფლებამ ზოგიერთი მათგანი გაათავისუფლა იმისთვის, რომ ჩემსა და სხვების წინააღმდეგ კვალი დაეფარათ. ახლა „ინტერპოლი" მიხვდა, რომ პოლიტიკური ნიშნით მდევნიან, მაგრამ ახლა არ შემიძლია დავბრუნდე საქართველოში", — განაცხადა ადეიშვილმა.**

„ტბ24.გე"

№ 20 (284)
20 - 26 მაისი 2015
ქართული სიტყვა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

# ინგა გრიგოლიას „რეაქციის“ კულუარები – როგორ იგეგმება გადაცემა




კოლეგა

## „ინგასთან მუშაობა მარტივი არაა!“ – სოფო ხუციშვილი წარმატების საიდუმლოს შიფრავს

**„ქართულ სიტყვაში“ უამრავი ადამიანი მოდის ხოლმე... ზოგი გამწარებულია, ზოგი – ჭკვიანი, ზოგი – ნაცნობი, ზოგსაც შია. ჰოდა, რამდენჯერ გამიგია: „ეუჰ, უყურე? ყველაზე მაგარი გადაცემა დღეს ეგაა „რეაქციაო“... „იმედის კვირაზეც“ იგივეს ამბობენ.... ქმნიან თუ არა „იმედში“ ხელოვნურ სკანდალებს, რას ედავებოდა „რეაქციას“ ჟურნალისტური ეთიკის ქარტია და რაში დაეხმარა არხს ახალი სარეკლამო კანონი – „ქართული სიტყვა“ ზემოხსენებული გადაცემების პროდიუსერ სოფო ხუციშვილს ესაუბრა:**

– ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დამთავრებისთანავე, აქტიური ჟურნალისტი არ გავმხდარვარ. თავიდან სტატიებს გაზეთ „ქიმიკოსში“ ვწერდი, რომელიც ქალაქ რუსთავში გამოდიოდა. შემდეგ, ცოტა ხანს, ეკონომიკური პროფილის გაზეთში ვიმუშავე, რომლის მთავარი რედაქტორიც თომა ჩაგელიშვილი იყო. ტელევიზიაში ჩემი პირველი ნაბიჯი ტელეკომპანია „კავკასიის“ კორესპონდენტობა გახლდათ. დიდხანს ვიმუშავე და მივხვდი, რომ ზუსტად ტელევიზია იყო ის ადგილი, სადაც თავს ბედნიერად ვგრძნობდი. ჩვენი გაკეთებული თითოეული რეპორტაჟი პატარა გმირობას უდრიდა. 2003 წლის რევოლუციის პერიოდი იყო და ხარისხიანი ტექნიკა არ გვქონდა. რამდენჯერ ვიღაცის კარზე დაგვიკაკუნებია და გვითხოვია, აპარატურის „დატენვაში“ მოგვხმარებოდა. ამასობაში, ბევრ რამეს მივეჩვიე – გულწრფელობას, ობიექტურობას, ოპერატიულობას...

ამის შემდეგ ვიმუშავე რადიოში. რაც შეეხება ინგა გრიგოლიას, პირველად „პრაიმ ტაიმში“ შევხვდი: ეს უდიდესი პროექტი რომ დაიწყო, შემარჩიეს და ჩემი თავი გამოვცადე, პოლიტიკურ თოქ-შოუში თუ რისი გაკეთება შემეძლო. ახალ ამბებში მუშაობას ოპერატიულობის, დასწრების, სისწრაფის ხიბლი აქვს, სადაც მხოლოდ წყაროებზე ხარ დამოკიდებული. პოლიტიკურ თოქ-შოუში კი, რომელიც კვირაში ორჯერ გადიოდა, გაცილებით მეტი მუშაობა, ინფორმაცია, ბეგრაუნდი, ანალიტიკური აზროვნება და, უბრალოდ, უფრო მეტი ძველი ინფორმაცია გჭირდებოდა. უნდა გაგეხსენებინა, ვინ რასთან იყო დაკავშირებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ იმუშავებდი. „პრაიმ ტაიმის“ დახურვის შემდეგ, დავიშალეთ. მე რადიო „ფორტუნაში“, საინფორმაციოს წამყვანად ვმუშაობდი. მერე კი, „იმედში“ საინფორმაციო გადაცემის პროდიუსერი ვიყავი...

როცა ახალი ხელისუფლება მოვიდა, სულ რამდენიმე თვით, უმუშევარი დავრჩი. სხვა სამსახური არც მიძებნია. მოულოდნელად, ინგამ დამირეკა და მითხრა, რომ ახალი პროექტის დაწყება უნდოდა. მე, ინგა გრიგოლიამ, ნოდარ მელაძემ, თამარ ფხაკაძემ და ნინო სტურუამ მუშაობა „ტვ3-ზე“ დავიწყეთ – ვაკეთებდით ყოველდღიურ პოლიტიკურ თოქ-შოუს, მაგრამ, ბექა, იცი, როგორ იყო? – დიდი ვეშაპები პატარა აუზში რომ აცურაო, თუმცა ახლა რომ ვიაზრებ, თუ რა ენერგია ჩადო იმ პროექტში ინგამ და ჩვენც როგორ მივყევით მის ტემპს, წარმოუდგენლად მეჩვენება.

საერთოდ, ინგასთან მუშაობა კომფორტია: როცა გადაცემაში სტუმარი „გჭირდება“, ურეკავ და ეუბნები, ინგა გრიგოლიას გადაცემიდან გირეკავო, პრაქტიკულად, უარს არ ამბობს.

ჩემს ცხოვრებაში ყველაზე რთული მომენტი მაშინ იყო, როცა გადაცემას კრიმინალის ზრდაზე ვაკეთებდით: მე და ჩემმა კოლეგამ ნინო დიდებულიძეს სახლში მივაკითხეთ, ქალს, რომელსაც ერთი შვილი, შვილიშვილსა და რძალთან ერთად, ადრე ავარიაში გარდაეცვალა, მეორე კი, მოუკლეს. ორმოციც არ იყო გასული და შევთავაზეთ, რომ თავისი სათქმელი პირდაპირ ეთერში ეთქვა... დავითანხმეთ...

**– სოფო, მხოლოდ „რეაქციის“ კი არა, „იმედის კვირის“ პროდიუსერიც ხარ. საერთოდ, პროდიუსერის მოვალეობა რა არის?**

– როცა ვმუშაობთ, გუნდის ყველა ჭანჭიკი იმდენად მობილიზებულია, ისეთი ერთნაირია ჩვენი ღირებულებები, რომ ერთი სხეული ვართ. რა თქმა უნდა, განსხვავებული მოსაზრებაც არის, მაგრამ ჩვენ, ყველამ ძალიან კარგად ვიცით, თუ რას ელოდება მაყურებელი და რა უნდა გავაკეთოთ. ინგას უამრავი დადებითი თვისება აქვს, მაგრამ მასთან მუშაობა მარტივი არაა, რადგან საკმაოდ მომთხოვნია, პირველ რიგში, საკუთარი თავის მიმართ.



„როცა ვმუშაობთ, გუნდის ყველა ჭანჭიკი იმდენად მობილიზებულია, ისეთი ერთნაირია ჩვენი ღირებულებები, რომ ერთი სხეული ვართ. რა თქმა უნდა, განსხვავებული მოსაზრებაც არის, მაგრამ ჩვენ, ყველამ ძალიან კარგად ვიცით, თუ რას ელოდება მაყურებელი და რა უნდა გავაკეთოთ... „რეაქციაში“ სამი პროდიუსერი ვართ – მე, ვახო ხუზმიაშვილი და ლევან ჩხაიძე. სხვათა შორის, ინგა, ჟურნალისტის გარდა, შესანიშნავი პროდიუსერიცაა. ჩვენ გვევალება თემის მოფიქრება, დამუშავება, საინტერესო სტუმრების შერჩევა, მათთან კონტაქტი, საინტერესო შეკითხვების მოფიქრება...“

„რეაქციაში“ სამი პროდიუსერი ვართ – მე, ვახო ხუზმიაშვილი და ლევან ჩხაიძე. სხვათა შორის, ინგა, ჟურნალისტის გარდა, შესანიშნავი პროდიუსერიცაა. ჩვენ გვევალება თემის მოფიქრება, დამუშავება, საინტერესო სტუმრების შერჩევა, მათთან კონტაქტი, საინტერესო შეკითხვების მოფიქრება...

**– გადაცემისთვის თემებს როგორ არჩევთ?**

– პოლიტიკური თოქ-შოუ, თავისთავად, სიფრთხილის შემცველია, რადგან შენ საზოგადოებას აზროვნებისა და ქცევის წესებს კარნახობ. ასევე, სთავაზობ ადამიანებს, რომლებსაც უნდა მოუსმინოს. მედია, მართლაც, მეოთხე ხელისუფლებაა... პასუხისმგებლობის გარდა, ეს დიდი რისკიცაა. ამიტომ თემას იმ რეალობიდან ვირჩევთ, რომელიც არსებობს. აუცილებელია, თემა იყოს აქტუალური და ყველასთვის გასაგები. გადაცემის „ოქროს წესი“ ბალანსია, რომელსაც არასოდეს ვარღვევთ. ჩვენი მიწოდებული ინფორმაციაც ზუსტი და ობიექტურია.

ჩვენ სხვის ნაბიჯებს არ მივყვებით და ჩვენს სიტყვას ვამბობთ. ეს ჩვენი პრინციპია. ამიტომაც, ხშირად პირველები ვართ. არსებობს თემები, რომლებიც ყოველთვის საინტერესოა: კრიმინალის ზრდა, ე.წ. „აიდი“ ბარათები... ამას ყოველთვის ვნებათაღელვა მოჰყვება.

**– სტუმრებს ცნობადობისა და კონკრეტულ თემასთან კავშირის მიხედვით იწვევთ?**

– ჩვენი სტუმრები, შეიძლება იყვნენ ცნობადებიც და არაცნობადებიც, მით უმეტეს, გვაქვს დარბაზის სეგმენტი, რაც ძალიან დიდი ფუფუნებაა. ხანდახან დარბაზში აღმოჩენა კეთდება – ადამიანი თავის აზრს ისე კარგად და საინტერესოდ ჩამოაყალიბებს ხოლმე, რომ მომდევნო გადაცემაში შეიძლება, პირდაპირ მთავარ სტუმრად მოვიწვიოთ.

**– სოფო, სტუმრებს წინასწარ უთანხმებთ, რაზე უნდა ისაუბრონ და რაზე – არა?**

– სტუმარი ისე არასდროს მოგვყავს, თუ მისი პოზიცია არ ვიცით. მოგეხსენებათ, დღეს ძალიან ბევრი ადამიანი აფიქსირებს პოზიციას ინტერნეტში და მათ პოზიციას გადაცემაში მოწვევამდე ვსწავლობთ. თუ დამატებით რაიმე გვაინტერესებს, ამ შემთხვევაში, თითოეულ მათგანთან განვიხილავთ, რას ფიქრობს. ეს სელექციისთვისაა საჭირო: უნდა ვიცოდეთ, მაგიდასთან ვინ რომელ მხარეს დავსვათ და როგორ გადავანაწილოთ.

**– არ ყოფილა შემთხვევა, როცა სტუმარს „სიურპრიზი“ მოუწყვია და პირდაპირ ეთერში რადიკალურად განსხვავებული პოზიცია დაუფიქსირებია?**

– არა, ასეთი შემთხვევა არ ყოფილა, თუმცა მომხდარა, რომ სტუმრისგან ნაკლე-

გაგრძელება მე-15 გვ.

## კოლეგა

მე-14 გვერდიდან

ბი მოლოდინი გვქონია და ეთერში უფრო მეტი „მოუცია“, ან პირიქით...

**— ე.წ. საყვარელი რესპონდენტები გყავთ, განსაკუთრებულად სკანდალურები, ან საინტერესონი?**

— ორივე გადაცემა, თავისთავად, ძალიან მაღალრეიტინგულია, რისი საიდუმლოც ისაა, რომ ადამიანები საკუთარ სათქმელს ღიად ამბობენ. დღეს არავინ არავის ზღუდავს და, იმედია, ყოველთვის ასე იქნება. ჟურნალისტისთვისაც თავისუფალ სიტყვაზე მნიშვნელოვანი არაფერია!

საყვარელი რესპონდენტები, რა თქმა უნდა, გვყავს. საკმაოდ საინტერესოდ მეჩვენება ხოლმე გიორგი მარგველაშვილის ეთერი. ჩემთვის გიორგი მარგველაშვილისა და ინგას დიალოგი „ჰარდ თოქის“ ნიმუშია. პრეზიდენტი კარგი რესპონდენტია, ცოტა ფრთხილი, მაგრამ ძალიან ღრმა.

ძალიან ბევრია, ვისი მოსმენაც არასოდეს მომბეზრდება. სხვათა შორის, ლევან ვასაძე რთულად დასათანხმებელი სტუმარია, მაგრამ როგორც რესპონდენტი, საკმაოდ საინტერესოა, რადგან საზოგადოებას ბევრ ისეთ მესიჯს გადასცემს, რომელიც შემდეგ ცხარე განხილვის საგანი ხდება ხოლმე. კახი კალაძეც ძალიან კარგია, როგორც სპიკერი და საინტერესო რესპონდენტი.

**— როგორც მინისტრი, კალაძე როგორია?**

— ყველა ის მთავარი ნაბიჯი, რომელიც კალაძემ, როგორც მინისტრმა და ვიცე-პრემიერმა გადადგა, რასაკვირველია, ვიცი, თუმცა მის საქმიანობას არც იმდენად ვიცნობ, რომ ღრმა შეფასება გავაკეთო. როცა ვკითხეთ, ტარიფი 15 მილიონით სუფსიდირდებოდა თუ არა, დაადასტურა, არ დაუმალავს და ეს ჩემთვის დასაფასებელია. ვთვლი, რომ კარგი მენეჯერი და მინისტრია.

**— გადაცემის რეიტინგის ხელოვნურად აწევას ცდილობთ ხოლმე?**

— რეიტინგი ხელოვნურად არასოდეს შეგვიქმნია. იმაზე, მარკეტინგულად უფრო მოთხოვნადი და გაყიდვადი რა იქნება, ყველა ვმუშაობთ.

**— არხების, შესაბამისად, გადაცემების კონკურენცია, ლოგიკურად, ალბათ, პროდიუსერებისა და ჟურნალისტების პირად კონკურენციაში გადადის... „იმედის კვირისა“ და „რეაქციის“ მთავარ კონკურენტებად რომელ გადაცემებს თვლი?**

— „იმედის კვირა“ „პოსკრიპტუმზე“ ერთი საათით ადრე იწყება და... ეთერში ვემთხვევით. ფორმატები ერთმანეთისგან განსხვავებულია, თუმცა უშუალო კონკურენტად აღვიქვამთ. „რეაქციის“ პირდაპირი კონკურენტი „არჩევანია“, რომელიც გიორგი გაბუნიას მიჰყავს, მაგრამ ინგა გრიგოლია ყველაზე ინფორმირებული და გავლენიანი ჟურნალისტია. ვთვლი, რომ საუკეთესოც. ნებისმიერი რამ, რაც ქვეყნის საგარეო თუ საშინაო საქმეს ეხება, პირველად ინგასთან „მოდის“ და ჩვენს გუნდში იშლება. სხვათა შორის, პოლიტიკურ თოქ-შოუს ძალიან საინტერესოდ გეგმავს „კავკასიაც“.

**— თუმცა, ჩემი აზრით, „კავკასიას“ რაღაც აკლია...**

— გავრცელების არეალი აკლია. „კავკასია“ პატარა ტელევიზიაა და ვიწრო სეგმენტი უყურებს.

**— ესე იგი, „იმედის“ მთავარი კონკურენტი „რუსთავი 2“-ია, არა?**

— რა თქმა უნდა, „რუსთავი 2“ დიდი კონკურენტია.

**— სოფო, რომელიმე გადაცემა გამორჩეულად დაგამახსოვრდა?**

— „რეაქციის“ ერთ-ერთ გადაცემაზე მოგიყვები, რომლის თემაც ქალაქის დაუმტკიცებელი ბიუჯეტი იყო. საკრებულოში მხარეების მწვავე დაპირისპირების მიუხედავად, საზოგადოებისთვის ეს თემა მაინც მშრალად რჩებოდა. ამიტომ გასაკეთებლად ბანალურ თემად გვეჩვენებოდა. ჩემმა კოლეგამ და მეგობარმა, გიორგი ნიორაძემ მოგვაწოდა იდეა, აქცენტი იმ ადამიანებზე გაგვეკეთებინა, რომლებსაც განსაკუთრებით სჭირდებოდათ ბიუჯეტის თანხა და დაუმტკიცებლობის გამო, პრობლემები ექმნებოდათ. ესენი ლეიკემიით დაავადებულნი და ონკოლოგიური ავადმყოფები იყვნენ...



**„ყველა ჩემი კოლეგის მუშაობას ძალიან დიდ პატივს ვცემ, თუმცაღა რაიმე დაჯგუფების ჩამოყალიბება, ქარტიის სახელით ნაკეთები განცხადებები, მენტორის ტონით საუბარი და მითითება, თუ ვინ რა უნდა გააკეთოს, არ მესმის!“**

როცა მუშაობა დავიწყეთ, აღმოჩნდა, რომ ეს რეალური პრობლემა იყო. რამდენიმე ოჯახმა გვთხოვა, გადაცემაში მოსულიყო და პირდაპირ ეთერში დაეფიქსირებინა საკუთარი აზრი. დარბაზიც საოცრად აქტიური იყო... ერთ-ერთმა მშობელმა ითხოვა, რომ მისი შვილისთვის საშუალება მიეცათ, თავისი სათქმელი ეთქვა და ინგაც დასთანხმდა... 13-14 წლის ბავშვმა თქვა, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა (ეს ბავშვი დააფინანსეს, ოპერაციაც გაუკეთეს, მაგრამ სამწუხაროდ, გარდაიცვალა). ამას დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა... ჟურნალისტურმა ქარტიამ ბრალი არაეთიკურობაში დაგვდო. ეს იყო მეორე შემთხვევა, როცა ქარტიამ გაგვაკრიტიკა და თქვა, რომ ჩვენ რაღაც შეკითხვებზე უნდა გვეპასუხა.

**— სიტყვამ მოიტანა და, „ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“ რა არის, ქარტიის საბჭოს წევრებს რა მიზანი აქვთ?**

— გულწრფელად გეტყვი: ყველა ჩემი კოლეგის მუშაობას ძალიან დიდ პატივს ვცემ, თუმცაღა რაიმე დაჯგუფების ჩამოყალიბება, ქარტიის სახელით ნაკეთები განცხადებები, მენტორის ტონით საუბარი და მითითება, თუ ვინ რა უნდა გააკეთოს, არ მესმის!

**— ჩემი აზრით, ქარტია „ჟურნალისტურ სასამართლოს“ აწყობს, მაგრამ ვერ ვხვდები, მოსამართლის მანტიას რატომ ისხამს?**

— გარდა იმისა, რაც წეღან გითხარი, ვფიქრობ, რომ თუ შენიშვნას სხვას აძლევ, მაშინ შენ თეთრი ხალათი და ხელთათმანი უნდა გეცვას!

ბოლო გახმაურებული პრეცედენტია — სახელისუფლებო გუნდმა ერთ-ერთ გადაცემაში მოსვლაზე უარი გვითხრა — გადაცემამდე 2 საათით ადრე გაგვაგებინეს, რომ არ მოვიდოდნენ და ეს, პრაქტიკულად, ბოიკოტი იყო. ჩვენ, ასე ვთქვათ, შეუვალი პოზიცია დავიკავეთ. ამის მერე ჟურნალისტურმა ქარტიამ კიდევ მოითხოვა რაღაცის ახსნა. არ ვთვლი, რომ ეს სწორია.

**— ისე, გადაცემა ყველაზე საინტერესო როდისაა, როცა სტუმრები, მაინც და მაინც, პოლიტიკოსები არიან?**

— გადაცემა ყველაზე საინტერესო სწორედ მაშინ გამოდის, როცა რომელიმე თემის ირგვლივ, პოლიტიკოსებს კი არა, საზოგადოების სხვადასხვა ნაწილს ვიწვევთ. ეს ჩვენი საზოგადოების რეალურ სურათს ყველაზე უკეთ აჩვენებს.

**— სოფო, „რეაქციასა“ და „იმედის კვირაზე“ ახალმა სარეკლამო კანონმა რა გავლენა მოახდინა?**

— უცნაურ რაღაცას გეტყვი: ჩვენთვის რეკლამა აქილევსის ქუსლივით იყო, რადგან ცხარე, საინტერესო კამათისას რესპონდენტებისთვის სიტყვის გაწყვეტა გვიჭირდა — ტემპის დაკარგვა არ გვინდოდა, არც სტუმრები ჩერდებოდნენ. ამიტომ, ხან 5 წუთი ემატებოდა, ხან — 10... ახლა, გულწრფელად რომ გითხრა, ახალმა კანონმა საქმე გაგვიიოლა: გინდა თუ არა, გადაცემა უნდა „გაჭრა“!

**— კვირაობით, როცა „იმედის კვირა“ და „პოსკრიპტუმი“ ერთმანეთს ემთხვევა, ხალხმა მაიცდამაინც ერთ ან მეორეს რატომ უნდა უყუროს?**

— ჯერ ერთი, ჩვენს გადაცემას თოქ-შოუს სახე აქვს და ძალიან ბევრი მოულოდნელობა ახლავს, რაც მაყურებლისთვის საინტერესოა. მეორეც, ჩვენს გადაცემას 3 ძალიან კარგი წამყვანი ჰყავს — ინგა გრიგოლია, ეკა ხოფერია და შალვა რამიშვილი. სამივეს საკუთარი ხელწერა და განსხვავებული კითხვები აქვს. ზუსტად ვიცი, რომ „იმედის კვირას“ ძალიან ბევრი მაყურებელი ჰყავს. ვერავინ იტყვის, რომ რომელიმე მხარის გავლენა გვაქვს, ჩვენი გადაცემა მიუკერძოებელი, ობიექტური და დაბალანსებულია.

დღეს მაქსიმალურად თავისუფალნი ვართ და არ ვიზღუდებით. ჟურნალისტისთვის თავისუფალი არეალი ოაზისია. ჟურნალისტის ფუნქციაა, შეკითხვები ისე დასვას, რომ ამ შეკითხვებმა დამატებითი შეკითხვები წარმოშვას.

**— ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დაამთავრე და, როგორ ფიქრობ, პროფესიული ცოდნა სასწავლებელმა მოგცა თუ პრაქტიკამ?**

— უნივერსიტეტმა, როგორც პროფესიონალს, შედარებით ცოტა მომცა... ჩანახატების კარგად წერა და ლიტერატურის ცოდნა, რა თქმა უნდა, კარგი და აუცილებელია, მაგრამ ეს ჟურნალისტიკა არაა. 21-ე საუკუნის ჟურნალისტიკა უნივერსიტეტში არ მისწავლია, თუმცა ამ ფაკულტეტმა ბევრი სასიამოვნო შეგრძნება „მომცა“.

**— სოფო, მაინც, რა არის ჟურნალისტური ეთიკა?**

— ტიციანის პუბლიცისტიკის წაკითხვამ მიმახვედრა, რომ ყველა ეპოქას თავისი ეთიკა და ესთეტიკა აქვს. დღეს ზღვარი, ასე თუ ისე, მაინც წაშლილია. მთავარია, მე, როგორც ჟურნალისტი, ეთიკურობის იმ ნორმაზე დავფიქრდე, რასაც ობიექტურობა ჰქვია. დღეს ყველაფრის თქმა და ჩვენება შეიძლება, ოღონდ ფორმას გააჩნია. ზუსტად ამ ფორმებზე ფიქრი მასწავლა ჩემმა პროფესიამ და განვლილმა გზამ!

**„ჩემს ცხოვრებაში ყველაზე რთული მომენტი მაშინ იყო, როცა გადაცემას კრიმინალის ზრდაზე ვაკეთებდით: მე და ჩემმა კოლეგამ ნინო დიდებულიძეს სახლში მივაკითხეთ, ქალს, რომელსაც ერთი შვილი, შვილიშვილსა და რძალთან ერთად, ადრე ავარიაში გარდაეცვალა, მეორე კი, მოუკლეს. ორმოციც არ იყო გასული და შევთავაზეთ, რომ თავისი სათქმელი პირდაპირ ეთერში ეთქვა... დავითანხმეთ...“**

**ესაუბრა ბექა ლიბრაძე**

№ 20 (284)
20 – 26 მაისი 2015
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
„შენ — უკვდავების ჩამონადენო, [...]
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქ[...]

კულტურა

# ანრი ჯოხაძე: „ქართული პოლიტიკა მოსაწყენი გახდა!“

**მთელ ქვეყანას პირზე ლარის კურსი აკერია. ცხოვრება, მართლაც, გართულდა, მაგრამ ხანდახან ყურადღების სხვა თემაზე გადატანა, მოდუნება და დაძაბული სახეების გარეშე საუბარიც კარგია... მინისტრებისა არ იყოს, მეც სპონტანურად წავედი, მაგრამ ინტერვიუზე და არა — კაბინეტიდან... მოკლედ, ჩემი მასპინძელი მომღერალი ანრი ჯოხაძეა...**

**— ანრი, როგორ ფიქრობ, საქართველოში პოპულარული შეიძლება, მარტივად გახდე?**

— კი, რა თქმა უნდა, თუმცა პროფესიას გააჩნია. ასევე, იმ პერიოდსაც აქვს დიდი მნიშვნელობა, რომელშიც მოღვაწეობ. ამჟამად მომღერალს აქვს შესაძლებლობა, თავისი სიმღერა ინტერნეტში განათავსოს, შემდეგ, მეგობრებმა მისი ვიდეორგოლი გაავრცელონ და ასე, ეტაპობრივად პოპულარული გახდეს. 90-იანებში კი, გარკვეული ჯგუფები წყვეტდნენ, უნდა გემღერა თუ არა. ამ ჯგუფების არცნობის გარეშე, შეიძლება, სცენაზეც ვერ ასულიყავი.

**— მხოლოდ 90-იანებში კი არა, როგორც ამბობენ, „ნაცმოძრაობის“ მმართველობის დროსაც, გარკვეული ჯგუფი წყვეტდა, ვის უნდა ემღერა და ვის — არა...**

— ჩემი აზრით, კარგი მომღერალი, რომელიც სხვადასხვა კონცერტზე იმღერებს, ყველა მთავრობას სჭირდება...

**— ქართული სატელევიზიო სივრცე მუსიკალური კონკურსებითაა გაჯერებული. პროექტის მიმდინარეობისას, კონკურსანტები პოპულარულნი არიან, შემდეგ კი, საზოგადოებას ავიწყდება. ასე რატომ ხდება?**

— ეს კონკურსში მონაწილე მომღერლებს უნდა ჰკითხო.

**— არ ფიქრობ, რომ მათი დავიწყება ქართული ბაზრის სიმცირის ბრალია?**

— მომღერალი იმ შემთხვევაშია რეალიზებული, თუ საკუთარი რეპერტუარი აქვს. ეს მსოფლიო შოუბიზნესის დაუწერელი კანონია. შემსრულებელი თუთიყუშის როლში არ უნდა იყოს და მხოლოდ სხვისი კოპირებით არ უნდა იფარგლებოდეს.

რაც შეეხება ბაზარს, ასეთია მოცემულობა და ყველა ამას უნდა მოერგოს.

**— დამწყები მომღერალი რომ იყო, ზემოხსენებულ შოუებში მონაწილეობას მიიღებდი?**

— რატომაც არა?! მაშინ, როცა პოპულარული გავხდი, აბსოლუტური ვაკუუმი იყო და ასეთი მასშტაბის პროექტებზე ვერც ვიოცნებებდი. კონკურსანტები ძალიან ბევრს სწავლობენ — 15-16 წლის ბავშვისთვის დიდი სცენა უდიდესი გამოცდილებაა.

**— ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარება შოუბიზნესზე მოქმედებს?**

— შოუბიზნესზე ყველაზე მეტად ზეგავლენას სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები ახდენს. ეს კი, პოლიტიკურ პროცესებთან პირდაპირ კავშირშია.

**— ლარის გაუფასურებამ შოუბიზნესიც დაამძიმა?**

— ბოლოდროინდელმა კრიზისებმა კორპორატიული საღამოები შეამცირა — როგორც ჩანს, მსხვილი კომპანიები წვეულებებისა და ზეიმების მოწყობას თავს არიდებენ. ამგვარი ღონისძიებები ქართველი მომღერლებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან დიდი კონცერტები საკმაოდ იშვიათად ტარდება. მიუხედავად ამისა, უახლოეს მომავალში დიდ სოლო კონცერტს ვგეგმავ, მაგრამ ყველა ანრი ჯოხაძე არაა. სპონსორის პოვნა ბევრს არ შეუძლია.

**— ერთ ძველ კლიპში ნინო ბურჯანაძის პაროდია გააკეთე. მსგავს „პროვოკაციას“ კიდევ ხომ არ გეგმავ?**

— ქართული პოლიტიკა მოსაწყენი გახდა, აღარაა საინტერესო.

**— მიუხედავად ამისა, საზოგადოებას პოლიტიკა აინტერესებს...**

— საზოგადოების პოლიტიზირებულობა შეიძლება, მისი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებით აიხსნას.

**— პოლიტიკა არ გაინტერესებს?**

— მეტ-ნაკლებად...

**— საზოგადოების რაღაც ნაწილი „რუსთავი-2“-ის მიმართ უარყოფითადაა განწყობილი. შენ, როგორც ამ ტელევიზიის თანამშრომელი, ამის გამო დისკომფორტს არ გრძნობ?**

— ადამიანები, კრიტიკის მიუხედავად, მაინც „რუსთავი-2“-ს უყურებენ. ჩემთვის, როგორც მომღერლისთვის, „რუსთავი-2“-ის ერთ-ერთ უდიდეს პროექტში მუშაობა საამაყოა!

— რამდენიმე წლის წინ, გაადცემა „სიმართლის დრო“-ში შეკითხვაზე — გშურდა თუ **არა შენი ძმის, უარყოფითად უპასუხე, რაც „სიცრუე“ აღმოჩნდა...**

— ეს იყო შოუ.

**— ანუ, სცენარი შეთანხმებული იყო?**

— დაახლოებით...

**— როგორც იტყვიან, 90-იანი წლების ბავშვი ხარ... ქუჩა, როგორც ბევრ სხვას, რატომ არ გიზიდავდა?**

— ამპარტავნებაში არ ჩამითვალოთ, მაგრამ ერთი კარგი თვისება მაქვს: სოციუმის გათვალისწინებით, შემიძლია, რაღაცები „განვჭვრიტო“. ჩემგან „ძველი ბიჭი“ არ გამოვიდოდა. 90-იანების სტანდარტები ჩემთვის მისაღები რომ გამხდარიყო, დღეს ის, ვინც ვარ, ვერ ვიქნებოდი!

**— ბევრი მომღერლისთვის ნარკოტიკი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია...**

— მიმაჩნია, რომ ნარკოტიკს სუსტი ადამიანები მოიხმარენ. ეს სისუსტეა, ეს მდგომარეობა, როცა ადამიანს სიღრმე აკლია და თავის თავს რომ არ ჩაუღრმავდეს, სხვა განზომილებაში გადადის.

**— შენი ინსპირაციის წყარო რა არის?**

— ძირითადად, სიყვარული და ზოგადსაკაცობრიო თემები, რაც არასოდეს გაცვდება. ხანდახან სოციალურ თემატიკაზე „დაფუძნებული“ სიმღერებიც მაქვს.

**— ქართველი მსმენელის გემოვნებაზე რას იტყვი?**

— პატივს ვცემ და მსმენელის კრიტიკა ჩემთვის მიუღებელია. ცუდი და კარგი მსმენელი არსებობს, მაგრამ ყველას თავისი მენტალიტეტი აქვს, რაც იმითაა განპირობებული, ესა თუ ის პიროვნება სად, ან როდის ჩამოყალიბდა.

**— ქართულ შოუ-ბიზნესს სტაგნაციის პერიოდი რატომ აქვს?**

— „ვარდების რევოლუციამდე“ მასაში უფრო მეტი „შავი ფული“ იყო გადანაწილებული. მაშინ ხალხი კონცერტებზე ხშირად დადიოდა და მომღერლებიც დიდი ენთუზიაზმით იყვნენ. დღეს ვითარება შეიცვალა და კონცერტის გამართვა კოლოსალურ თანხას მოითხოვს.

**— და მაინც: რომელი უფრო დიდი პრობლემაა — ფინანსები თუ კრეატიულობა?**

— ჩემი აზრით, კრეატიულობა.

**— სამომავლო გეგმები...**

— უახლოესი სამი თვე „X-ფაქტორ“-ში ვარ. მერე, სოლო კონცერტზე დავფიქრდები...

ესაუბრა
დავით გალაშვილი




**„ადამიანები, კრიტიკის მიუხედავად, მაინც „რუსთავი-2“-ს უყურებენ. ჩემთვის, როგორც მომღერლისთვის, „რუსთავი-2“-ის ერთ-ერთ უდიდეს პროექტში მუშაობა საამაყოა!“**

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

20 - 26 მაისი 2015

№ 20 (284)

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა



პატარა ვარსკვლავი

# „ჩემი ცოლის დაქალების“ ტასოს ნამდვილი და-ძმა უნდა

## „პოპულარობა კარგია, მაგრამ ცოტა მიჭირს და ვიღლები!“





**ქეთა ორბელაძე, ჯერ 9 წლისაც არაა, თუმცა უკვე სუპერპოპულარულია — სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებში“ ტასოს როლს ასრულებს. ქეთა, ანუ ტასო, როგორც პროფესიონალები ამბობენ, სერიიდან სერიამდე იზრდება და დამაჯერებლად თამაშობს. როგორ მოხვდა ქეთა სერიალში? „ქეთა ძალიან პატარა იყო, როცა ცნობისმოყვარეობა და მოხერხებულობა გამოამჟღავნა, თუმცა განსაკუთრებული სამსახიობო მონაცემები არ შემიმჩნევია... მერე, ახლობელმა მირჩია, „რუსთავი 2“-ში, სადაც „ჩემი ცოლის დაქალებისთვის“ ბავშვი სჭირდებოდათ, ქასთინგზე მიმეყვანა. ქეთამ ყველა ქასთინგი წარმატებით გაიარა და მოწონებაც დაიმსახურა. მაშინ მივხვდი, რომ ნიჭი, მართლაც, ჰქონდა და გადავწყვიტე, ხელი შემეწყო. ამით და პროექტის ავტორების დახმარებით, ქეთა პოპულარული ბავშვი გახდა“, — ამბობს ქეთას დედა, თამუნა. ახლა კი, თავად ქეთას მოვუსმინოთ:**

— თავიდან ცოტა რთული იყო, მაგრამ ახლა შევეჩვიე — ყველა მეხმარება და ვცდილობ, ისეთი ტასო ვიყო, მაყურებელს რომ მოეწონოს და ამას, მგონი, კარგად ვახერხებ, რადგან ყველა მაქებს და თბილ სიტყვებს მეუბნება, ქუჩაშიც მცნობენ, მეფერებიან, ეს ის ბავშვია, „ჩემი ცოლის დაქალებში“ ტასოს როლს რომ თამაშობსო

**— ე. ი. პატარა „ვარსკვლავი“ ხარ. პოპულარობა გსიამოვნებს?**

— პოპულარობა კარგია, მაგრამ ცოტა მიჭირს და ვიღლები. ჩემს მეგობრებსაც უნდათ სერიალში თამაში და პოპულარობა, ხშირად მეკითხებიან, გადაღებები როგორ მიმდინარეობსო.

**— ქეთა, ყველაფერი ეს ძალიან კარგია, მაგრამ სწავლას და მეგობრებთან თამაშს ახერხებ?**

— კარგად ვსწავლობ, განსაკუთრებით, მათემატიკა და ქართული მიყვარს. გაკვეთილებს არასოდეს ვაცდენ. მეგობრებთან თამაშსაც ვახერხებ, თუმცა ეზოში ხშირად ვერ ჩავდივარ... სიმღერაზე დავდივარ და ძალიან მომწონს...

**თამუნა, ქეთას დედა:** — ჯერ პატარაა და მე, როგორც მშობელი, ვალდებული ვარ, ყველანაირად გვერდში დავუდგე, როგორც კარიერულ ზრდაში, ასევე, ღირსეულ ადამიანად ჩამოყალიბებაში. თვითონაც დამჯერია და, მთავარია, არ ეზარება. მიუხედავად იმისა, რომ გადაღებებზე იღლება.

**— ქეთა, როგორც ჩანს განრიგს მიეჩვიე. პრეტენზიული ხომ არ ხარ, ვთქვათ, კერძების მიმართ?**

— არა, პრეტენზიული არ ვარ. ყველაზე მეტად წვნიანები და ხორციანი კერძები მიყვარს. ტკბილეულს კი, იშვიათად ვჭამ. დედიკო ცდილობს, ჩემი საყვარელი კერძები მომიმზადოს. მინდა, და-ძმა მყავდეს და მათთან ერთად ვისადილო ხოლმე.

**— მერე, დედიკოს და მამიკოს რატომ არ სთხოვ, რომ და-ძმა მოგიყვანონ?**

— ისე, ჯეკო ძმასავითაა, მაგრამ მინდა, სინამდვილეში დაც მყავდეს და ძმაც. კარგი იქნება, დედამ ეს თხოვნა შემისრულოს.

**— ქეთა, თავისუფალ დროს რითი ერთობი?**

— რაღაცების მოქსოვა მიყვარს. სამაჯურებსაც ვაკეთებ ხოლმე. მომწონს სამკაულები, ბეჭდები და საყურეები. საბავშვო პომადასაც ვისმევ. თვალებზე კი, არაფერს ვისმევ, რადგან არ შეიძლება.

**— ბავშვობა მალე გაივლის. გინდა, პროფესიონალი მსახიობი გახდე?**

— მინდა მსახიობიც ვიყო, ვიზაჟისტი და მომღერალიც, მაგრამ ბოლომდე ჩამოყალიბებული არ ვარ.

**— მალე დაბადების დღე გექნება — 9 წლის ხდები. წინასწარ გილოცავ!**

— დიდი მადლობა. მშობლები დაბადების დღეს აუცილებლად გადამიხდიან და ჩემს მეგობრებს დავპატიჟებ!

**ესაუბრა თათა ხუციშვილი**

**„რაღაცების მოქსოვა მიყვარს. სამაჯურებსაც ვაკეთებ ხოლმე. მომწონს სამკაულები, ბეჭდები და საყურეები. საბავშვო პომადასაც ვისმევ. თვალებზე კი, არაფერს ვისმევ, რადგან არ შეიძლება“.**



№ 20 (284)
20 - 26 მაისი 2015
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართული სიტყვავ, ქართული სიტყვავ!“

## არა-ჩვეულებრივი გვერდი



### ლეგენდარული ბი ბი კინგი 89 წლის ასაკში გარდაიცვალა

მსოფლიოში სახელგანთქმულ ამერიკელ ბლუზმენსა და გიტარისტს, ბი ბი კინგს გაუწყლოება სტანჯავდა, რის გამოც, რამდენიმე კვირის წინ, კლინიკაში გადაიყვანეს. ხანმოკლე მკურნალობის შემდეგ, მუსიკოსი შინ გაწერეს.

როგორც დასავლური მედია იუწყება, ბი ბი კინგი ლას-ვეგასში, საკუთარ სახლში, ძილში გარდაიცვალა.

ბი ბი კინგმა ხმის ჩამწერ სტუდიაში მუშაობა 1947 წელს დაიწყო. ერთხანობას, მემფისში, დისკ ჟოკეიც იყო.

1950-იანებში კინგმა მსოფლიო დაიპყრო. 1964 წელს კი, პირველი ლეგენდარული ალბომი გამოუშვა, თუმცა პირველი დიდი წარმატება როი ჰოვკინსის სიმღერამ მოუტანა (1969 წელი).

ბი ბი კინგის წარმატება 1970-იანებშიც გრძელდებოდა. 1951-1985 წლებში მისი სიმღერები ჩარტებში 74-ჯერ მოხვდა.

### ლინდა ევანჯელისტას 50 წელი შეუსრულდა

ლინდა ევანჯელისტა, რომელიც მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიან სუპერმოდელად ითვლებოდა, 50 წლის გახდა.

ლინდა, რომლის სიმაღლეც 175 სანტიმეტრია, 1965 წლის 10 მაისს კანადაში, იტალიელი ემიგრანტების ოჯახში დაიბადა. 12 წლის რომ გახდა, მეგობრების რჩევით, სამოდელო სააგენტოს მიაკითხა. მოგვიანებით, ნიუ იორკში გაემგზავრა, სადაც პირველი კონტრაქტი გააფორმა.

19 წლის ასაკში ლინდა უკვე ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მოდელი იყო.

საერთოდ, მე-20 საუკუნის 90-იან წლები მსოფლიო სამოდელო ბიზნესისთვის ერთობ „ნოყიერი“ იყო. ამ დროს, ლინდასთან ერთად, პოდიუმზე ისეთი უმშვენიერესი დიაცები იდგნენ, როგორებიც არიან: სინდი კროუფორდი, ნაომი კემპბელი, კეიტ მოსი, კლაუდია შიფერი.

სხვათა შორის, ლინდას ფოტოები 700 ჟურნალის გარეკანზე გამოქვეყნდა. ამასთან, თითქმის ყველა სამოდელო სახლის ჩვენებაში აქვს მონაწილეობა მიღებული.

ასევე, აღსანიშნავია, რომ ლინდა ფოტოგრაფ სტივენ მეისელისა და მოდის სახლ „შანელის“ კრეატიული დირექტორის, კარლ ლაგერფილდის მუზა გახლდათ.

„დღეში 10 000 დოლარზე ნაკლებისთვის, ლოგინიდან არ ვდგები“, — ეს ლინდას ახალგაზრდობისდროინდელი ხუმრობაა.

სუპერმოდელს ახლაც მაღალ ჰონორარს უხდიან. ასე, მაგალითად, მოდის ერთ-ერთმა სახლმა, შოუში მონაწილეობა რომ მიეღო, ლინდას 20 000 დოლარი გადაუხადა...



### ჩინეთში საკონცერტო სცენა ჩაინგრა

რამდენიმე დღის წინ, ჩინეთში ტრაგედია დატრიალდა — კონცერტის დაწყებამდე, გენერალური რეპეტიციის დროს, სცენა ჩაინგრა. გავრცელებული ინფორმაციით, ინციდენტი მაშინ მოხდა, როცა მრავალრიცხოვან ორკესტრს რამდენიმე ადამიანი დაემატა.

სცენის ჩანგრევის შედეგად, 8 ადამიანი მძიმედ დაშავდა.

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

20 - 26 მაისი 2015 | № 20 (284) | 19

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

## არა-ჩვეულებრივი გვერდი



### ნატალი პორტმანი „ოსკარს“ „ყალბ კერპს“ ეძახის

ჰოლივუდელი ნატალი პორტმანი, როგორც თვითონ ამბობს, „ოსკარის“ ქანდაკებას, რომელიც ფილმში — „შავი გედი“ გადასცეს, სახლში, გამოსაჩენ ადგილას არ ინახავს. ეს კი არადა, ნატალის არც ახსოვს, „ოსკარი“ სად დევს.

„ეს ყალბი კერპია და ამიტომ, წარმოდგენა არ მაქვს, სად არის ქანდაკება“, — ამბობს აქტრისა.

### იაპონელი პორნოვარსკვლავი 8 მილიონად გაიყიდა

ჩინელმა მილიარდერმა, რომელსაც „სერიოზულ ძმას“ ეძახიან, იაპონელი პორნოვარსკვლავი, როლა მისაკი 8 მილიონ დოლარად იყიდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ „ყიდვის ხელშეკრულება“ 15-წლიანია, ანუ ამ ხნის განმავლობაში, პორნოვარსკვლავი მილიარდერის საკუთრება იქნება

„როლა ჩემი პირადი დამხმარეა“, — ამბობს მილიარდერი, თუმცა, როგორც დასავლური პრესა წერს, მთელმა პეკინმა იცის, ამ ორ ადამიანს ერთმანეთთან რაც აკავშირებს.

სხვათა შორის, 22 წლის პორნოვარსკვლავი, რომლის ნამდვილი სახელიც ტაკიზავა როლაა, ნახევრად რუსი და ნახევრად იაპონელია. გოგონა რამდენიმე წელია, ჩინურ პორნოინდუსტრიაში წარმატებით მოღვაწეობს. ჩინელები მას „იაპონიის ნაციონალურ სილამაზესა“ და„მამაკაცების ქალღმერთს“ ეძახიან.

### წვერი კანის დაავადებებს აჩენს

როგორც მეცნიერებმა დაამტკიცეს, წვერიანი მამაკაცები უფრო მეტ მიკრობებს ატარებენ, ვიდრე — უწვეროni. ამასთან, როგორც მეცნიერები ამბობენ, წვერში უფრო მეტი მიკრობი და ბაქტერიაა, ვიდრე — საზოგადოებრივ ტუალეტებში. „წვეროსნებს კანის დაავადებებიც ემუქრებათ“, — ამბობს მიკრობიოლოგი ჯონ გოლობიკი და დასძენს, — თავი რომ დავანებოთ იმ ბაქტერიებს, რომელთაც წვერი თავისით იზიდავს, წარმოიდგინეთ, რამდენი რამ გროვდება წვერში საკვების მიღების, დაცემინებისა და ხველების დროს“.

### რომან აბრამოვიჩი ამერიკელებმა მსოფლიო კოლექციონერთა ათეულში შეიყვანეს

ამერიკულმა ჟურნალმა „არტ ნიუსმა“ ცნობილი რუსი მილიარდერი რომან აბრამოვიჩი მსოფლიოს ხელოვნების ნიმუშთა კოლექციონერების ათეულში შეიყვანა.

„რუსი ოლიგარქი, ძირითადად, თანამედროვე ხელოვნებითაა დაინტერესებული“, — წერს გამოცემა.

ხელოვნების ნიმუშთა კოლექციონერების ათეულში, ასევე, მოხვდნენ: ფუფუნების საგნების მწარმოებელი ფრანგი ბიზნესმენები — ფრანსუა პინო, ელენ და ბერნარ არნოები. ამერიკელი მეწარმეები — დებრა და ლეონ ბლეკები, ედიტ და ელი ბროდები, ალექსანდრა და სტივენ კოენები, ემილი და მიჩელ რეიელსები. ჰონკონგელი დეველოპერი ჯოზეფ ლაუ, ლონდონელი ფინანსისტი და გემების მფლობელი ფილიპ ნიარხოსი და ყატარის შეიხი საუდ ბენ მოჰამედ ნებ ალი ტანი შედიან.

„ხელოვნების ნიმუშებში ინვესტირება განსაკუთრებით მომგებიანია“, — აღნიშნავს ჟურნალი „არტ ნიუსი“.

### ყოფილი მოსამსახურე რობი უილიამსის ცოლს სექსუალურ ბრალდებას უყენებს

„აიდა ფილდი ჩემს ცდუნებას ცდილობდა“, — აცხადებს მომღერალ რობი უილიამსის ყოფილი მოსამსახურე. მისივე თქმით, რობის თანამეცხედრე მის საძინებელში ნახევრად შიშველი შედიოდა და სხეულის შეფასებას სთხოვდა.

„აიდა თავისი სექსუალური ცხოვრების დეტალებსაც მიყვებოდა“, — აცხადებს ყოფილი მოსამსახურე.

შეგახსენებთ: რობი უილიამსმა და აიდა ფილდმა ერთმანეთი 2006 წელს გაიცნეს. ოთხწლიანი რომანის შემდეგ, ანუ 2010 წელს კი, იქორწინეს. წყვილს ორი შვილი — თეოდორა და ჩარლტონი ჰყავს.

### ლეონარდო დიკაპრიო „ტიტანიკით“ ამაყობს

მართალია, ჰოლივუდის ყველაზე სასურველ სასიძოდ და ქალების გულთამპყრობლად ითვლება, ამასთან, 30 ფილმში მთავარი როლიც შეასრულა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მსახიობის, როგორც იტყვიან, საკულტო ფილმად მაინც „ტიტანიკი“ ითვლება.

„მართალია, დიდი ხნის წინ იყო, მაგრამ „ტიტანიკზე“ მუშაობა ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი ნაწილია. ამ ფილმით ძალიან ვამაყობ. „ტიტანიკმა“ საშუალება მომცა, ჩემი კარიერა მეკონტროლებინა“, — აცხადებს მსახიობი.

### ვანო პავლიაშვილს!
როგორც ბოსელში, ვბღავი, ვით ხარი,
სულ ნგრევით ვიწყებთ თავქვე შენებას,
მაშ, თუ ღმერთი გწამს, ვანო, მითხარი,
თუ გვეშველება, რა გვეშველება!

### ქართული კრეტინიზმი
სიძულვილმა გაწელა და გაწელა,
ეს ქვეყანა, ნეტა, რამ გააბრიყვა? –
„თუთაშხია“ კონსტანტინემ დაწერა,
„მთვარის მოტაცება“ კიდე – ჭაბუამ?

### ლარი
იმიტომ, რომ ვერ გვიტანენ,
ლარი გაუარესდა.
საჩივარი შეიტანეთ
ან მზესთან, ამ მთვარესთან.

### არა, დღევანდელს!
სისხლი ჩადგა ნაღველში,
მასხრებო და თარსებო,
უნდა ვიყოთ რა დღეში,
დღე თუ აღარ არსებობს.
დღის მტრებს არ შეუშინდეთ,
დღის მტრისაა შავი დღე,
გაუმარჯოს, გუშინდელს,
მერე კიდე, – ხვალინდელს!

### დიქტატ-ორი
დამიჯერეთ, ჩვენ ვართ მართლა
მაგრები,
მწვადს და ხინკალს გვირჩევნია
მწვანილი,
ნაპოლეონს ადიდებენ ფრანგები,
ჩვენ, ქართველებს გვეზიზღება
სტალინი.
მართლისმთქმელი ქვეყნად მხოლოდ
ღმერთია,
ვინც არ იცის, ვაი, ვაი, მის პატრონს,
ჯუღაშვილი ნაღდად დიქტატ-ერთია,
ნაპოლეონს დავარქმევდი დიქტატ-ორს.

### ვითომ...
ავადმყოფი ხარ,
არ ხარ ჯანმრთელი,
კვლავ ველოდები,
ახვარო, შენს ქვას,
ო, რა ძნელია,
იყო ქართველი
და ამავე დროს,
პოეტი გერქვას.


ზურა მეგრელიშვილის ფოტო




თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს (ყოფილი „არამიანცის“) მიმღები – „ემერჯენსი“

დიზაინის საავტორო უფლებები დაცულია

ISSN 2298-0024

მთავარი რედაქტორი: ჯანსუღ ჩარკვიანი
მთ. რედაქტორის მოადგილე: ვანო პავლიაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი, მერაბ ბერძენიშვილი,
ბაჩანა ბრეგვაძე, თემო გოცაძე, ემზარ კვიტაიშვილი,
არმაზ სანებლიძე,

მედია-ჯგუფი: მარიკა კახაძე,
ნათია გოგიტიძე, ნათია ვერძეული,
ნათია ლებანიძე.
დიზაინერი და ფოტოკორესპონდენტი:
ზურა მეგრელიშვილი.

გაზეთი რეგისტრირებულია რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ. რეგისტრაციის №22851

მისამართი:
26 მაისის მოედანი. №1
ტელ.: 272-63-90
E-Mail: qartulisityva@gmail.com

გაზეთი მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპით